

## საბავშვო ბაღის მშენებლობა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფ. სუფსაში

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი

**წარდგენილია**

აზიის განვითარების ბანკში

2020 წლის ნოემბერი

საქართველო

## აბრევიატურები

|        |  |
|--------|--|
| ADB    | აზიის განვითარების ბანკი                                     |
| EARF   | გარემოს შეფასებისა და მიმოხილვის ჩარჩო                       |
| EHS    | გარემოს, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვა                 |
| EIA    | გარემოზე ზემოქმედების შეფასება                               |
| EMP    | გარემოს დაცვის მართვის გეგმა                                 |
| GoG    | საქართველოს მთავრობა   |
| MDF    | საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი                  |
| MoEPA  | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო  |
| MoESD  | საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო   |
| NACHPG | საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო |
| SSEMP  | სამშენებლო მოედნის სპეციფიკური გარემოს დაცვის მართვის გეგმა  |

## სარჩევი

|  |           |
|--|-----------|
| დასკვნითი შეჯამება.....  | 5         |
| <b>A. შესავალი .....</b>   | <b>12</b> |
| A.1 ზოგადი .....   | 12        |
| A.2 საკითხის ისტორია .....   | 12        |
| A.3 ანგარიშის მიზანი.....  | 15        |
| A.4 პროექტის კატეგორია .....   | 16        |
| A.5 პროექტის ინიციატორი.....   | 18        |
| A.6 პროექტის არსი, ზომა და ადგილმდებარეობა.....                        | 19        |
| A.7. IEE საზღვრები.....  | 19        |
| A.8. გამოყენებული მეთოდოლოგია .....                                    | 20        |
| A.9 ანგარიშის სტრუქტურა .....  | 21        |
| <b>B. სამართლებრივი და ადმინისტრაციული ჩარჩო .....</b>                 | <b>22</b> |
| B.1 ეროვნული კანონმდებლობა .....                                       | 23        |
| B.2 გარემოს დაცვის რეგულაციები და სტანდარტები.....                     | 37        |
| პროექტის ხმაურის სტანდარტები .....                                     | 42        |
| B.3 ADB პოლიტიკა.....  | 51        |
| B.4. ეროვნული კანონმდებლობისა და ADB მოთხოვნების შედარება .....        | 54        |
| B.5. ADB–ს ჰარმონიზაცია და საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნები ..... | 61        |
| B.6 ადმინისტრაციული ჩარჩო.....   | 61        |
| <b>C. პროექტის აღწერა.....</b>   | <b>63</b> |
| C.1 პროექტის კატეგორია .....   | 63        |
| C.2 პროექტის აღწერა .....  | 65        |
| C.3 მშენებლობის ორგანიზება .....                                       | 69        |
| C.4 ნაგავსაყრელები.....  | 69        |
| C.5. მისასვლელი გზები.....   | 70        |
| C.6 ამოთხრილი მასალის განკარგვა.....                                   | 70        |
| C.7. ბანაკისა და საწყობის ადგილები.....                                | 70        |
| <b>D. ალტერნატივების ანალიზი.....</b>                                  | <b>72</b> |

|   |                                     |
|---|-------------------------------------|
| <b>E. საწყისი გარემო.....</b>   | <b>74</b>                           |
| E.1. ზოგადი აღწერა.....   | 74                                  |
| E.2. გეოლოგია, გეომორფოლოგია და სახიფათო გეოლოგიური პროცესები.....                    | 74                                  |
| E.3. კლიმატისა და ჰაერის ხარისხი.....   | 76                                  |
| E.4. ხმაური და ვიბრაცია .....   | 76                                  |
| E.5. ჰიდროლოგია.....  | 77                                  |
| E.6. ნიადაგები .....  | 77                                  |
| E.7. ბიოლოგიური გარემო.....   | 78                                  |
| E.8 სოციალურ-ეკონომიკური გარემო .....   | 78                                  |
| E.9 განათლება .....   | <b>Error! Bookmark not defined.</b> |
| E.10. ინფრასტრუქტურა.....   | 79                                  |
| E.11 კულტურული მემკვიდრეობა .....   | 79                                  |
| <b>F. გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედება და ზემოქმედების შერბილების ღონისძიებები ..</b> | <b>80</b>                           |
| <i>F.1 მეთოდოლოგია.....</i>   | <i>81</i>                           |
| <i>F.2 მოკლე ინფორმაცია ღონისძიებებისა და მოსალოდნელი ზეგავლენის შესახებ.....</i>     | <i>82</i>                           |
| <i>F.3 გარემოს დაცვის საჭირო დოკუმენტები.....</i>                                     | <i>86</i>                           |
| <i>F.4 ჰაერის ხარისხი.....</i>  | <i>88</i>                           |
| <i>F.5 ხმაური და ვიბრაცია .....</i>   | <i>89</i>                           |
| <i>F.6 წყლის ხარისხი.....</i>   | <i>92</i>                           |
| <i>F.7 ნიადაგის ხარისხი და ნიადაგის ზედა ფენის მართვა.....</i>                        | <i>93</i>                           |
| <i>F.8 ბიოლოგიური გარემო.....</i>   | <i>94</i>                           |
| <i>F.9 ნარჩენების მართვა .....</i>  | <i>94</i>                           |
| <i>F.10 სავაჭრო მოძრაობა.....</i>   | <i>98</i>                           |
| <i>F.11 არქეოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის ობიექტებზე ზეგავლენა.....</i>         | <i>98</i>                           |
| <i>F.12 ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების რისკები ადგილობრივი საზოგადოებისათვის .....</i> | <i>99</i>                           |
| <i>F.13 შრომითი ჯანდაცვისა და უსაფრთხოების რისკები.....</i>                           | <i>100</i>                          |
| <i>F.14 სამშენებლო ბანაკი.....</i>  | <i>103</i>                          |
| <b>G. ინფორმაციის გამჟღავნება, კონსულტაცია და მონაწილეობა .....</b>                   | <b>105</b>                          |
| <b>H. საჩივრების დაკმაყოფილების მექანიზმი .....</b>                                   | <b>107</b>                          |

|  |     |
|--|-----|
| I. გარემოს დაცვის მართვის გეგმა .....                              | 112 |
| K. დასკვნები და რეკომენდაციები .....                               | 145 |
| დანართი 1. ზეგავლენის შეფასები კრიტერიუმები .....                  | 148 |
| დანართი 2. მონაწილე მხარეებთან შეხვედრის ოქმები .....              | 163 |
| დანართი 3. სწრაფი გარემოსდაცვითი შეფასების (REA) ჩამონათვალი ..... | 168 |

## დასკვნითი შეჯამება

1. 2016 წლის ნოემბრიდან აზიის განვითარების ბანკმა (ADB) მხარი დაუჭირა საქართველოს მთავრობის (GoG) ქალაქის განვითარების ინტეგრირებული და თანამონაწილეობითი მიდგომის კურსს, შერჩეული ურბანული კლასტერების სტრატეგიული დაგეგმარების გაუმჯობესებით, უფრო დაბალანსებული რეგიონული განვითარების მისაღწევად, ინტეგრირებული ურბანული სამოქმედო გეგმების (IUAP) მომზადებით. ამაზე დაყრდნობით, მთავრობამ ADB-ს ურთიერთობაში პრიორიტეტად დასახა გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონე ურბანული ინვესტიციების განხორციელება, მიზანშეწონილობის კვლევებისა და უსაფრთხოების კომპლექსური შემოწმების გათვალისწინებით. ეს მოიცავს ინტეგრირებულ გადაწყვეტებს, რომელსაც მოქალაქეებისათვის თანა-სარგებელი მოაქვს ურბანული კლასტერების განვითარების კუთხით, მათ შორის წყალმომარაგების, კანალიზაციისა და სანიტარული პირობების გაუმჯობესების (ქსელისგარეთა გადაწყვეტების ჩათვლით), ურბანული ტრანსპორტისა და გადაადგილების (მათ შორის, არამოტორიზებული სატრანსპორტო საშუალებები და საზოგადოებრივი ტრანსპორტი), მყარი ნარჩენების მართვის, ეკონომიკური კორიდორების, კულტურული და ისტორიული მემკვიდრეობის კონსერვაციის, წყალდიდობების კონტროლისა და სადრენაჟე სისტემების, ურბანული უსაფრთხოებისა და ადაპტაციის უნარის ჩათვლით.
2. დაბალანსებული რეგიონული განვითარების დაჩქარების მიზნით, პრიორიტეტულია ძირითადი ურბანული მომსახურებისა და ტრანსპორტის მხარდაჭერა, განსაკუთრებით პატარა და რეგიონულ ქალაქებში, რომლებიც ტურიზმის, აგრობიზნესისა და რეგიონალური ვაჭრობის პოტენციური კერაა, როგორც ეკონომიკური ზრდის ძირითადი მამომრავებელი. სტაბილური შედეგების მისაღწევად და ინფრასტრუქტურული პროექტების ოპერატიული და ფინანსური მდგრადობის უზრუნველსაყოფად, მმართველობა და შესაძლებლობების განვითარება უნდა განხორციელდეს შემდგომ პროექტებში.
3. საქართველოს მთავრობა გამოვიდა საცხოვრებლად ვარგისი ქალაქების

საინვესტიციო პროგრამის (LCIP) ამუშავების ინიციატივით საქართველოს მასშტაბით ურბანული და ტურისტული ინფრასტრუქტურისა და მომსახურების გასაუმჯობესებლად. LCIP ხელს შეუწყობს ურბანული კლასტერების სიცოცხლისუნარიანობის გაუმჯობესებას მჭიდროდ დაკავშირებული შედეგებით: (i) ურბანული ინფრასტრუქტურისა და სამსახურების გაუმჯობესებული კომპეტენტურობა და ეფექტურობა, (ii) რეგიონული ტურისტული კლასტერების ხელმისაწვდომობის, კავშირისა და მიმზიდველობის გაუმჯობესება და (iii) ურბანული ინფრასტრუქტურისა და მომსახურების განხორციელებისა და მართვის ინსტიტუციური შესაძლებლობების გაუმჯობესება, (iv) ხარისხიანი სკოლამდელი აღზრდის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებული ხელმისაწვდომობა, გაუმჯობესებული გარემო: ახალი სათამაშო მოედნები ბავშვების მოტორიკის გასაუმჯობესებლად, უსაფრთხო შენობა - სახანძრო სიგნალისა და უსაფრთხოების სისტემების გათვალისწინებით, სუფთა და თანამედროვე სანიტარული ინფრასტრუქტურა, მათ შორის სველი წერტილები და სამზარეულო (v) საბავშვო ბაღის შენობის გაუმჯობესებული გეგმარება; მეტი სივრცე ერთ სულ ბავშვზე და ერთ სულ აღზრდელზე; საბავშვო ბაღის ენერგოეფექტური შენობა; (vi) გაუმჯობესებული საგანმანათლებლო და სამუშაო პირობები ბავშვებისა და აღზრდელებისათვის; (vii) ინკლუზიური, ბავშვზე ორიენტირებული ხარისხიანი განათლების გაუმჯობესებული ხელმისაწვდომობა; (viii) სოციალური ზემოქმედება - მოსახლეობის გაზრდილი შემოსავალი განხორციელების პროცესში (მუშახელის დასაქმება) და მშენებლობის დასრულების შემდეგ;

4. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის (გურიის რეგიონი) სოფ. სუფსაში საბავშვო ბაღის ახალი შენობის მშენებლობა საცხოვრებლად ვარგისი ქალაქების ინვესტიციის პროგრამის ერთ-ერთი პროექტია.
5. საბავშვო ბაღის მშენებლობისთვის გამოყოფილი მიწის ნაკვეთის ფართობია 3504 მ<sup>2</sup>, საკადასტრო კოდი: 27.15.52.668. მიწის ნაკვეთი ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მთავრობის საკუთრებაა. მშენებლობისთვის გამოყოფილ მიწის ნაკვეთზე არ არის შენობები.
6. ახალი ორსართულიანი საბავშვო ბაღის შენობის განაშენიანების ფართობია 980,4 მ<sup>2</sup>, მთლიანი სამშენებლო ფართი 1344,6 მ<sup>2</sup>. პროექტი მოიცავს საბავშვო ბაღის მოწყობას 4 ჯგუფისთვის (100 ბავშვი). საბავშვო ბაღის შენობა მოიცავს საძინებელი ოთახების, სათამაშო ოთახების, მოსასვენებელი ოთახების, სასადილოს, სათავსოების, დარბაზისა და ადმინისტრაციული ოთახების, სარეცხი ოთახების, სამზარეულოს, ლიფტის, საევაკუაციო კიბისა და საქვაბუ ოთახის მოწყობას. პროექტი ითვალისწინებს საბავშვო ბაღის ეზოს კეთილმოწყობას, გასართობი ატრაქციონის, სათამაშო მოედნების, საქანებების, ეზოს სკამების, სასრიალო ტრასების, ნაგვის ურნებისა და სასმელი წყლის შადრევნების (ე.წ. სოკო) მოწყობას. პროექტი ასევე მოიცავს შენობის საინჟინრო ქსელების მოწყობას: წყალმომარაგება და კანალიზაცია, ელექტროენერგია, სუსტი სისტემა, გათბობა-გაგრილება-ვენტილაცია და ა.შ. პროექტით გათვალისწინებულია ბიოლოგიური გამწმენდი დანადგარის / მოწყობილობის დაყენება დღეში 8 მ3

ტევადობით. საბავშვო ბაღის წყალმომარაგების უზრუნველყოფის მიზნით, პროექტით გათვალისწინებულია ჭაბურღილის მოწყობა ფილტრის ტუმბოებით, წნევის მართვის ბოქსით, ჭაბურღილის ზედა ნაწილის მოწყობით, წყლის მრიცხველის კვანძით და წყლის სადენინფექციო სისტემით. ბუნებრივი გაზის მოწოდება გათბობის უზრუნველყოფის მიზნით, მოხდება ადგილობრივი ქსელიდან.

7. სტანდარტული პროექტი განკუთვნილია საბავშვო ბაღების მშენებლობისათვის, 100 ბავშვისთვის, საქართველოს სხვადასხვა მუნიციპალიტეტში. სამშენებლო მენარდე ვალდებულია ჩაატაროს მიწის ნაკვეთის საინჟინრო გეოლოგიური კვლევა, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად უნდა გაიცეს ექსპერტიზის დასკვნა საინჟინრო-გეოლოგიურ კვლევაზე. საინჟინრო გეოლოგიური კვლევის შემდეგ, მენარდემ უნდა გადაინგარიშოს არსებული ტიპური პროექტის გეგმა და, საჭიროების შემთხვევაში, შეიტანოს შესაბამისი ცვლილებები პროექტის გეგმასა და ხარჯთაღრიცხვის შესაბამის ნაწილებში. სამშენებლო ნაწილიც მსგავსი სახით უნდა იქნას წარმოდგენილი; წარმოდგენილი იქნება გამოცდის შედეგიც. ანალოგიურად, მენარდემ უნდა წარმოადგინოს ექსპერტიზის დასკვნა შემოთავაზებულ პროექტზე, საქართველოს მთავრობის 41-ე დადგენილების შესაბამისად, შენობის უსაფრთხოების წესების ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ, რომელიც მიღებულია 2016 წლის 28 იანვარს. მენარდემ უნდა უზრუნველყოს სამშენებლო ტერიტორიის ტოპო გადაღება, ვერტიკალური გეგმების მომზადება, ტიპური გამწვანების პროექტის რეალურ მიწის ნაკვეთზე მორგება და, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი ცვლილებები. მენარდემ ასევე უნდა წარმოადგინოს პროექტი გარე საინჟინრო ნაწილებისთვის. დიზაინის დასრულების დროს, მენარდე განიხილავს ზომებს, რათა თავიდან აიცილოს გარემოზე ზემოქმედება და რისკები. თუ გარემოზე ამგვარი რისკები და ზემოქმედებები გარდაუვალია, მენარდე მოახდენს რისკის შეფასებას და მოამზადებს ადგილზე სპეციფიკური შერბილების გეგმასა და მონიტორინგის პროგრამას, რათა შეამციროს ზემოქმედება მისაღებ დონემდე, როგორც გეგმის ეტაპის ნაწილი.
8. საქართველოში არსებული საკანონმდებლო დებულებების, წესებისა და რეგულაციების თანახმად, პროექტის ფარგლებში განსახორციელებელი სამუშაოები არ შედის საქართველოს გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის დანართ 1 და 2-ის ჩამონათვალში, არ საჭიროებს გარემოსდაცვით სკრინინგს, გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზმ) ჩატარებას ან გარემოზე ზემოქმედების ნებართვას მთავრობისგან.
9. ADB– ს მიერ დაფინანსებული ყველა პროექტი უნდა შეესაბამებოდეს ADB– ს უსაფრთხოების პოლიტიკის დეკლარაციას (SPS), 2009 წ. ADB SPS მიზნად ისახავს განვითარებად წევრ ქვეყნებს ხელი შეუწყოს გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების შემცირებას განვითარების პროექტებში და შეამციროს და მინიმუმამდე დაიყვანოს პროექტის უარყოფითი ზემოქმედება ადამიანებსა და გარემოზე. SPS ვრცელდება ADB– ს მიერ მხარდაჭერილ ყველა პროექტზე და ADB თანამშრომლობს მსესხებლებთან, რათა განხორციელდეს პოლიტიკის პრინციპებისა და მოთხოვნების პრაქტიკაში გამოყენება პროექტის განხილვისა და ზედამხედველობის, და შესაძლებლობების განვითარების მხარდაჭერის საშუალებით. SPS ასევე უზრუნველყოფს პლატფორმას დაზარალებული ადამიანებისა და სხვა

დაინტერესებული მხარეების მონაწილეობისთვის პროექტის შემუშავებასა და განხორციელებაში.

10. ADB-ს გარემოსდაცვითი გარანტიების მიზანია უზრუნველყოს პროექტების ეკოლოგიური სიმტკიცე და მდგრადობა და ხელი შეუწყოს გარემოსდაცვითი საკითხების ინტეგრირებას პროექტის გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ADB SPS მსესხებლებს სთხოვს პროექტის ზემოქმედების განსაზღვრასა და მათი მნიშვნელობის შეფასებას; ალტერნატივების შესწავლას; გარემოს მართვის გეგმების მომზადებას, განხორციელებასა და მონიტორინგს. ADB SPS ითხოვს, რომ მსესხებლებმა კონსულტაცია გაუწიონ იმ ადამიანებს, რომლებსაც სავარაუდოდ დაზარალებიან პროექტით და გამოაქვეყნონ შესაბამისი ინფორმაცია დროულად, კონსულტაციისთვის გასაგები ფორმითა და ენით. შეფასების ანგარიშების მომზადება მოითხოვება პროექტის ზემოქმედების შესაბამისად.
11. საცხოვრებლად ვარგისი ქალაქების საინვესტიციო პროგრამა (LCIP) კლასიფიცირებულია როგორც B კატეგორია ADB SPS- ზე, შესაბამისად, საჭიროა პირველადი გარემოსდაცვითი შეფასება (IEE), პროექტის განსახილველად. აღნიშნული IEE ლანჩხუთის მონუციპალიტეტის სოფ. სუფსაში საბავშვო ბაღის მშენებლობისთვის მომზადდა, რომელიც განხორციელდა სამაგიდე კვლევისა და საბაზისო გარემოს აღწერილი სხვა ხელმისაწვდომი მასალების განხილვის საფუძველზე, ასევე პროექტის არეალის სპეციალისტებთან და დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციის საფუძველზე. წინამდებარე IEE განახლება დეტალური ტექნიკური პროექტირებისა და წინასწარი სამუშაოების საბაზისო გარემოზე ზემოქმედების შეფასების საფუძველზე.
12. პროექტისთვის ჩატარებული გარემოსდაცვითი შეფასების შედეგების თანახმად, სავარაუდოდ, გარემოზე მოსალოდნელი რისკები და ზემოქმედებები მცირეა და შემოიფარგლება მხოლოდ სამშენებლო სამუშაოებით დასახლებულ ტერიტორიაზე. პოტენციური ზემოქმედება მცირე რაოდენობითაა, სპეციფიკურია სამშენებლო მოედნისთვის, ძირითადად შექცევადია, შემოიფარგლება მხოლოდ პროექტის სამშენებლო მოედნით და ადვილად მოგვარდება შემარბილებელი ზომების გამოყენებით.
13. აღნიშნული IEE მოიცავს ზოგადი გარემოს დაცვის მართვის გეგმას (EMP) და გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმას, რომელიც მომზადებულია ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთებისა და წინასწარი პროექტირების გათვალისწინებით. მენარდე მოამზადებს სამშენებლო მოედნისთვის სპეციფიკურ EMP-ს (SSEMP) დეტალური ტექნიკური პროექტირებისა და პროექტირების ეტაპის დროს გარემო პირობების შეფასების საფუძველზე. სამუშაოები არ დაიშვება, სანამ MDF - პროექტის განმახორციელებელი სააგენტო (IA) არ განიხილავს და არ გაცემს ნებართვას სამშენებლო საქმიანობის გასაგრძელებლად.
14. აღნიშნული IEE-ს მომზადების ფარგლებში, გაიმართა კონსულტაციები დაინტერესებულ მხარეებთან პროექტის შესახებ შეხვედრების უკუკავშირის მოსაპოვებლად. COVID-19 პანდემიის დროს პირისპირი ინტერაქციის შეზღუდვების



გამო, 2020 წლის 3 ივლისს, 14:00 საათზე ჩატარდა პირველადი საჯარო საკონსულტაციო შეხვედრა სოციალურ ქსელში (Facebook-ის საშუალებით). შეხვედრის დაწყებამდე მერიის წარმომადგენლებსა და ადგილობრივ მაცხოვრებლებს დაგეგმილი ონლაინ შეხვედრის შესახებ პირადად ტელეფონით აცნობა კომუნიკაციის კონსულტანტმა - ირაკლი ჯაფარიძემ. შეხვედრის დროს განხილული თემები მოიცავდა პროექტისთვის მომზადებულ საწყის გარემოსდაცვით კვლევასა (IEE) და სოციალური უსაფრთხოების ზომების კომპლექსური შემოწმების ანგარიშს (SDDR). შემდგომი კონსულტაციები ჩატარდება პროექტირების ეტაპზე და გაგრძელდება პროექტის დასრულებამდე. კონსულტაციები მიზნად ისახავს დაინტერესებული მხარეების ინფორმირებას პროექტის საქმიანობის მოცულობის, შემოთავაზებული საქმიანობის შედეგად შესაძლო გარემოზე ზემოქმედების შესახებ, ასევე საჭირო ზომებთან ერთად, რომლებიც განხორციელდება იმის უზრუნველსაყოფად, რომ შესაძლო ზემოქმედებები შემოიფარგლება სამშენებლო მოედნით და არ ახდენს გავლენას საზოგადოებაზე. კონსულტაციის პროცესი გაგრძელდება და გაფართოვდება პროექტის განხორციელების პროცესში, რათა უზრუნველყოს დაინტერესებული მხარეების სრული ჩართულობა პროექტში და მონაწილეობა მიიღონ მის განვითარებაში, დასრულებასა და განხორციელებაში. აღნიშნული დაინტერესებული მხარეების მიერ წამოჭრილი ნებისმიერი კომენტარი და / ან პრობლემები ჩაიწერება და სათანადოდ მოგვარდება წინამდებარე IEE- ს განახლებულ ვერსიაში.

15. დაინტერესებული მხარეების პროექტის შესახებ ინფორმირების უზრუნველსაყოფად, გარემოს დაცვის უსაფრთხოების დოკუმენტები, როგორცაა აღნიშნული IEE და მისი განახლება, SSEMP და გარემოსდაცვითი მონიტორინგის ანგარიშები, დროულად გახდება ხელმისაწვდომი საზოგადოებისთვის ADB-სა და MDF-ს ვებგვერდებზე. IEE და გარემოსდაცვითი მონიტორინგის ანგარიშები ხელმისაწვდომი იქნება ინგლისურ და ადგილობრივ ენაზე, რომლებიც დაინტერესებული მხარეებისთვის გასაგები იქნება. საჭიროების შემთხვევაში, IEE, SSEMP და გარემოსდაცვითი მონიტორინგის ანგარიშები გამოქვეყნდება საჯარო საინფორმაციო დაფებზე, ადგილობრივი საზოგადოების სარგებლოდ სამუშაო ადგილებსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე. IEE- ს ფარგლებში აღწერილია საჩივრების განხილვის მექანიზმი (GRM), რათა უზრუნველყოფილ იქნას ნებისმიერი საჩივრის სწრაფად მოგვარება.
16. IEE და EMP წარმოადგენს კონტრაქტორების ხელშეკრულების დოკუმენტის განუყოფელ ნაწილს.
17. აღნიშნული პროექტის ადმსრულებელი ორგანო (EA) არის საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, ხოლო განმახორციელებელი სააგენტო (IA) არის მუნიციპალური განვითარების ფონდი (სსიპ რეგიონული განვითარებისა და საქართველოს ინფრასტრუქტურის სამინისტროს დაქვემდებარებაში). IA უზრუნველყოფს გარემოს დაცვის გარანტიების მოთხოვნების გათვალისწინებას სატენდერო და საკონტრაქტო დოკუმენტებში, პროექტის ბიუჯეტსა და საბავშვო ბაღის მშენებლობის საბოლოო განხორციელებაში. მშენებლობის ეტაპზე, IA სრულ პასუხისმგებლობას იღებს პროექტის სამშენებლო მოედნის უსაფრთხოებაზე, საზოგადოების დონეზე საჩივრების მოგვარებაზე, და

კონტრაქტორების მიერ დამტკიცებული SSEMP- ის შემარბილებელი ზომების შესრულების უზრუნველყოფაზე. IA უზრუნველყოფს უსაფრთხოების მოთხოვნების შეუსაბამობის დროულ გამოსწორებას. IA- ს მხარს დაუჭერენ ზედამხედველობის კონსულტანტები. გარდა ამისა, მენარდეს მოეთხოვება ჩართოს სრულ განაკვეთზე მყოფი გარემოს დაცვის, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების (EHS) ოფიცერი, რომელიც ყველა სამუშაოს დასრულებამდე დარჩება და უზრუნველყოფს SSEMP (ებ)- ის კეთილსინდისიერად შესრულებას .

18. სამშენებლო კომპანია, მისი პროექტის ბიუჯეტში პასუხისმგებელი იქნება EMP-ის განხორციელების ღირებულების გათვალისწინებაზე, შეთავაზებული შემარბილებელი ზომების (და დამატებითი ღონისძიებებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში), გამოკითხვების ჩათვლით (თუ ამას საჭიროებს MDF და IEE) . IEE/EMP განხორციელება მენარდესთვის სავალდებულოა. მენარდე IEE განახლებებს უნდა ეცნობოდეს. შემდეგი საქმიანობის / საგნების ხარჯებს დაფარავს გარემოსდაცვითი მენეჯმენტი: საწყისი და ყოველთვიური პარამეტრული გაზომვები, რომლებიც უნდა ჩატარდეს კონტრაქტორის მიერ, SC-ს ანაზღაურება და კონტრაქტორის გარემოს დაცვის სპეციალისტები და პროფესიული და საზოგადოებრივი H&S სპეციალისტი, რომელიც დაქირავებულია კონტრაქტორის მიერ, მშენებლობა მტვრისა და ხმაურის ბარიერები (საჭიროების შემთხვევაში), COVID- ის საწინააღმდეგო ზომები, ნარჩენების მართვა.
19. კვარტალური გარემოსდაცვითი მონიტორინგის მონაცემები / ანგარიშები ჩართული იქნება პროექტის განხორციელების მიმდინარეობის ანგარიშებში, რომელიც უნდა გაზიარდეს ADB- სთან და ასეთი ყოველთვიური ანგარიშები კონსოლიდირებული იქნება გარემოსდაცვითი მონიტორინგის ნახევარწლიურ ანგარიშებში და გადაეცემა ADB- ს განსახილველად, ნებართვისა და გასაჯაროებისთვის მის ვებგვერდზე.
20. **დასკვნები და რეკომენდაციები** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფ. სუფსაში საბავშვო ბაღის მშენებლობა, სავარაუდოდ, მნიშვნელოვან უარყოფით გავლენას არ მოახდენს. პოტენციური ზემოქმედება, რომელიც ძირითადად დაკავშირებულია მშენებლობასთან და შეიძლება შემცირდეს სტანდარტულ დონემდე უპრობლემოდ, EMP- ში რეკომენდებული შემამსუბუქებელი ზომებისა და პროცედურების გამოყენებით. მუშაობის ეტაპის შესაძლო ეფექტები გარემოზე ინფრასტრუქტურის ტექნიკური მომსახურებით წარმოიქმნება და მყარ ნარჩენებსა და ჩამდინარე წყლებს უკავშირდება.
21. მშენებლობაზე ზემოქმედების შერბილება უზრუნველყოფილი იქნება გარემოსდაცვითი მონიტორინგის პროგრამით, რათა უზრუნველყოფილ იქნას EMP- ის ყველა ღონისძიების განხორციელება და იმის დასადგენა, დაცულია თუ არა გარემო და საზოგადოება პროექტის სამშენებლო მოედნის მიმდებარე ტერიტორიაზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში), როგორც ეს გათვალისწინებულია. ეს მოიცავს დაკვირვებას ობიექტზე და მის გარეთ, დოკუმენტის შემოწმებას, ინსტრუმენტულ მონიტორინგს გარემოს პარამეტრებზე, როგორცაა ხმაურის დონე, ჰაერის ხარისხი და სხვ. გამოსასწორებელი მოქმედების ნებისმიერი მოთხოვნა აისახება გარემოსდაცვითი

მონიტორინგის ანგარიშებში.

22. პროექტს სავარაუდოდ ექნება გრძელვადიანი პოზიტიური გავლენა სოფ. სუფსას მოსახლეობაზე, განსაკუთრებით ახალგაზრდებსა და ქალაქში დასაქმებულ მშობლებზე, რომელთაც ექნებათ წვდომა კარგად დაგეგმილ, მაღალხარისხიან მომსახურებაზე.
23. ქვემოთ მოცემულია რეკომენდაციები, რომლებიც გამოიყენება პროექტზე, რათა არ მოხდეს მნიშვნელოვანი ზეგავლენა.
- ა) გაითვალისწინეთ აღნიშნული IEE, EMP-სთან ერთად სატენდერო და საკონტრაქტო დოკუმენტებში;
  - განახლეთ / გადახედეთ IEE-ს, რომელიც დაფუძნებულია დეტალურ ტექნიკურ პროექტირებაზე, სამშენებლო მოედნისთვის სპეციფიკური პირობებზე, კონტრაქტორების მუშაობის მეთოდოლოგიაზე და / ან თუ არ არის მოსალოდნელი ზემოქმედება, მასშტაბის, რეგულირების ან ადგილმდებარეობის ცვლილება;
  - მოსთხოვეთ მენარდეს წარადგინოს SSEMP და სხვა გეგმები (ხმაურისა და ვიბრაციის მართვის გეგმა, ნარჩენების მართვის გეგმა, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების მართვის გეგმა, საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმა, კაპმის ადგილზე მართვის გეგმა, ხეების ინვენტარიზაცია (საჭიროების შემთხვევაში), საჭიროების შემთხვევაში ატმოსფერულ ჰაერში გამოყოფილი მავნე ნივთიერებების სტაციონარული წყაროს ტექნიკური ანგარიში) სამუშაოების დაწყებამდე და არ დაუშვას სამუშაოები, სანამ SSEMP არ მოგვარდება IA-ს მიერ.)
  - განახორციელეთ ხმაურისა და ვიბრაციის, ნიადაგის დაბინძურების, ჰაერის დაბინძურების და ფლორისა და ფაუნის სახეობების კვლევები სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე, საწყისი მდგომარეობის დასადგენად;
  - დარწმუნდით, რომ დანგრეული / დემონტირებული მასალები შემოწმებულია საშიშ შემცველობაზე და მომზადდეს ნარჩენების მართვის, შენახვის, ტრანსპორტირებისა და განადგურების სამოქმედო გეგმა, ეცნობოს კონტრაქტორებს და მკაცრი მონიტორინგი გაუწიოს პროექტის განხორციელების დროს.
  - დარწმუნდით, რომ ნარჩენები (მყარი და თხევადი) უნდა იყოს შენახული და განკარგული დანიშნულ ადგილზე / ობიექტში (დაუშვებელია ვაკანტურ ნაკვეთზე გადაყრა);

## A. შესავალი

### A.1 ზოგადი

24. ანგარიშის ეს ნაწილი: ა) ეხება საცხოვრებლად ვარგისი ქალაქების საინვესტიციო პროგრამის (LCIP) საკითხის ისტორიას, ბ) აჯამებს პროექტის საჭიროებასა და მიზნებს, გ) ასახავს IEE- ს მიზანს, დ) აღწერს პროექტის კატეგორიას და ე) გადმოსცემს IEE- ს მასშტაბსა და ანგარიშის სტრუქტურას.

### A.2 საკითხის ისტორია

25. აზიის განვითარების ბანკმა (ADB) და საქართველოს მთავრობამ (GoG) განაახლეს ურბანული სექტორის ოპერაციებისადმი მიდგომები, რათა უზრუნველყონ ინტეგრირებული და პროგრამული გადაწყვეტილებები საქართველოში საცხოვრებლად ვარგისი ქალაქების განვითარებისთვის, რომლებიც ეკონომიკურად კონკურენტუნარიანი, სოციალურად ყოვლისმომცველი და ეკოლოგიურად რეზისტენტულნი არიან<sup>1</sup>. 2016 წლის ნოემბრიდან ADB-მ მხარი დაუჭირა საქართველოს მთავრობის ქალაქის განვითარების ინტეგრირებული და თანამონაწილეობითი მიდგომის კურსს, შერჩეული ურბანული კლასტერების სტრატეგიული დაგეგმარების გაუმჯობესებით, უფრო დაბალანსებული რეგიონული განვითარების მისაღწევად, ინტეგრირებული ურბანული სამოქმედო გეგმების (IUAP) მომზადებით. ზემოთმოყვანილის საფუძველზე,

მთავრობამ პრიორიტეტი მიანიჭა საკვანძო ურბანულ ინვესტიციებს, რათა ADB-ს

ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის და სოციალური უსაფრთხოების ზომების

კომპლექსური შემოწმების მეშვეობით წინ წაეწია ისინი. ეს მოიცავს ინტეგრირებულ გადაწყვეტებს, რომელსაც მოქალაქეებისათვის თანა-სარგებელი მოაქვს ურბანული

<sup>1</sup>ADB- ის 2012-2020 წლების ურბანული ოპერაციული გეგმა ხელს უწყობს კონკურენტული, ინკლუზიური და მწვანე ქალაქების ზრდას, რათა ეკონომიკურ, სამართლიან და გარემოს დაცვაზე დაყრდნობით გაუმჯობესდეს ქალაქების საქმიანობა. საცხოვრებლად ვარგისი ქალაქების განვითარების წარმართვისთვის იგი აქცენტს აკეთებს 3 ინოვაციურ მიდგომაზე, რაც გრძელვადიანი პროცესია, მაგრამ წარმატებით მიიღწევა ინვესტიციების ინტეგრირებული დაგეგმვისა და განხორციელების გზით.

კლასტერების განვითარების კუთხით, მათ შორის წყალმომარაგების, კანალიზაციისა და სანიტარული პირობების გაუმჯობესების (ქსელისგარეთა გადაწყვეტების ჩათვლით), ურბანული ტრანსპორტისა და გადაადგილების (მათ შორის, არამოტორიზებული სატრანსპორტო საშუალებები და საზოგადოებრივი ტრანსპორტი), მყარი ნარჩენების მართვის, ეკონომიკური კორიდორების, კულტურული და ისტორიული მემკვიდრეობის კონსერვაციის, წყალდიდობების

კონტროლისა და სადრენაჟე სისტემების, ურბანული უსაფრთხოების და ადაპტაციის

უნარის ჩათვლით. გარდა ამისა, საქართველოს მთავრობისთვის საგანმანათლებლო სექტორის განვითარება ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა. უფრო მეტიც, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ მომზადებული სტრატეგიული დოკუმენტი - სკოლამდელი აღზრდის სტრატეგია 2019 - 2021 მიზნად ისახავს მაღალი ხარისხის სკოლამდელი განათლების ხელმისაწვდომობის ზრდას, რაც ვერ მიიღწევა შესაბამისი სკოლამდელი ინფრასტრუქტურისა და გარემოს გარეშე. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს მთავრობამ ენერჯიულად დაიწყო საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის დაფინანსება, ძირითადად საბავშვო ბაღებისა და სკოლების შენობებში. პროექტის საბოლოო მიზანია სკოლამდელი / საბავშვო ბაღის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და ხარისხის შექმნა.

26. დაბალანსებული რეგიონული განვითარების დაჩქარების მიზნით, პრიორიტეტულია ძირითადი ურბანული მომსახურებისა და ტრანსპორტის მხარდაჭერა, განსაკუთრებით პატარა და რეგიონულ ქალაქებში, რომლებიც ტურიზმის, აგრობიზნესისა და რეგიონალური ვაჭრობის პოტენციური კერაა, როგორც ეკონომიკური ზრდის ძირითადი მამომრავებელი. სტაბილური შედეგების მისაღწევად და ინფრასტრუქტურული პროექტების ოპერატიული და ფინანსური მდგრადობის უზრუნველსაყოფად, მმართველობა და შესაძლებლობების განვითარება უნდა განხორციელდეს შემდგომ პროექტებში.

27. საქართველოს მთავრობა გამოვიდა საცხოვრებლად ვარგისი ქალაქების საინვესტიციო პროგრამის (LCIP) ამუშავების ინიციატივით საქართველოს მასშტაბით ურბანული და ტურისტული ინფრასტრუქტურისა და მომსახურების გასაუმჯობესებლად. LCIP ხელს შეუწყობს ურბანული კლასტერების მჭიდროდ დაკავშირებული შედეგების გაუმჯობესებას: (i) ურბანული ინფრასტრუქტურისა

და სამსახურების გაუმჯობესებული კომპეტენტურობა და

ეფექტურობა, (ii) რეგიონული ტურისტული კლასტერების ხელმისაწვდომობის, კავშირისა და მიმზიდველობის გაუმჯობესება და (iii) ურბანული ინფრასტრუქტურისა და მომსახურების განხორციელების და მართვის ინსტიტუციური შესაძლებლობების გაუმჯობესება, (iv) ხარისხიანი სკოლამდელი აღზრდის ინფრასტრუქტურის

გაუმჯობესებული ხელმისაწვდომობა, გაუმჯობესებული გარემო: ახალი სათამაშო მოედნები ბავშვების მოტორიკის გასაუმჯობესებლად, უსაფრთხო შენობა - სახანძრო სიგნალისა და უსაფრთხოების სისტემების გათვალისწინებით, სუფთა და თანამედროვე სანიტარული ინფრასტრუქტურა, მათ შორის სველი წერტილები და სამზარეულო (v) საბავშვო ბაღის შენობის გაუმჯობესებული გეგმარება; მეტი სივრცე ერთ სულ ბავშვზე და ერთ სულ აღმზრდელზე; საბავშვო ბაღის ენერგოეფექტური შენობა; (vi) გაუმჯობესებული საგანმანათლებლო და სამუშაო პირობები ბავშვებისა და

აღმზრდელებისათვის; (vii) ინკლუზიური, ბავშვზე ორიენტირებული ხარისხიანი განათლების გაუმჯობესებული ხელმისაწვდომობა; (viii) სოციალური ზემოქმედება - მოსახლეობის გაზრდილი შემოსავალი განხორციელების პროცესში (მუშახელის დასაქმება) და მშენებლობის დასრულების შემდეგ; (ix) მოსახლეობისთვის ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვა, რაც ასევე შეამცირებს ახალგაზრდებში ნარკოტიკულ საშუალებებსა და ალკოჰოლზე დამოკიდებულებას. (x) ახალი სპორტული კომპლექსები სპორტსმენების წარმატების წინაპირობაა, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იქნება რეგიონებში მცხოვრები ახალგაზრდებისათვის, რადგან თემების წარმომადგენლები ხშირად მნიშვნელოვანი წარმატებას აღწევენ საერთაშორისო ასპარეზზე სპორტის სხვადასხვა სახეობაში, მათ შორის წყალბურთში, სინქრონულ ცურვაში და ა.შ.

28. სავალალო მდგომარეობაში მყოფი საგანმანათლებლო დაწესებულებები, როგორც წესი, ნაკლებად კონკურენტუნარიანია განათლების სფეროში მოღვაწე პროფესიონალების მოსაზიდად. სოფლის საბავშვო ბაღების უმეტესი ნაწილი გამოუსადეგარი და მეტისმეტად ცუდ მდგომარეობაშია, სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვებისათვის არაადაპტირებული და დაგეგმარების ძველი სტანდარტებით, რომლებიც შორს არის თანამედროვე დიზაინისგან. შენობების ცუდი მდგომარეობა დიდ საფრთხეს ქმნის ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების თვალსაზრისით, განსაკუთრებით ბავშვებისთვის. ბავშვთა ცხოვრების ადრეული წლები ძალიან მნიშვნელოვანია მათი ჯანმრთელობისა და განვითარებისათვის.

შესაბამისად, თანამედროვე ინფრასტრუქტურა და კომფორტული გარემო დადებითად აისახება ბავშვების განვითარებაზე, განათლების პროცესსა და მოტივაციის ამაღლებაზე. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს მთავრობამ აქტიურად დაიწყო სკოლამდელი და სასკოლო ინფრასტრუქტურის დაფინანსება, ძირითადად საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მეშვეობით. 2018 წლიდან საქართველოს მთავრობამ საგანმანათლებლო სექტორი ეროვნული მნიშვნელობის საქმედ გამოაცხადა და გადაწყვიტა მრავალი რეფორმის განხორციელება მშპ-ს 6%-ის ინვესტიციით - ბიუჯეტის მეოთხედი. რეფორმების გარდა, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია შესაბამისი ინფრასტრუქტურა და გარემო.

29. 2019 - 2021 სკოლამდელი აღზრდის სტრატეგიის თანახმად, 2023 წლისთვის მთავრობამ უნდა გაზარდოს მაღალი ხარისხის სკოლამდელი განათლების ხელმისაწვდომობა 95% -მდე. გარდა ამისა, UNICEF-ის კვლევის საფუძველზე, რომელიც ჩატარდა საქართველოს რეგიონებში, საკმაოდ დაბალია სკოლამდელი ჩარიცხვის მაჩვენებლები, განსაკუთრებით სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვებისთვის. ამასთან, გაეროს „მდგრადი განვითარების მიზნებში“ გაწვერიანებით, საქართველოს მთავრობამ აიღო პასუხისმგებლობა, უზრუნველყოს, რომ ყველა გოგონასა და ბიჭს ჰქონდეს წვდომა ადრეული ასაკის ბავშვთა ხარისხიან განვითარებაზე, ზრუნვასა და სკოლამდელ განათლებაზე, რათა ისინი მზად იყვნენ დაწყებითი განათლებისთვის.
30. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფ. სუფსაში ბაღის ახალი შენობის აშენება ერთ-ერთი პროექტია, რომელიც განხორციელდა საცხოვრებლად ვარგისი ქალაქების ინვესტიციის პროგრამის ფარგლებში.

### A.3 ანგარიშის მიზანი

31. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფ. სუფსაში საბავშვო ბაღის მშენებლობის პროექტის პირველადი გარემოსდაცვითი შეფასება (IEE) ტარდება ქალაქებში საცხოვრებელი პირობების გასაუმჯობესებელი საინვესტიციო პროგრამის ფარგლებში (LCIP) და ფინანსური დაწესებულება ADB-სამოქმედო სახელმძღვანელოსა და უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტის (SPS 2009) მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, ასევე საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობის შესაბამისად. IEE მოიცავს პროექტის ფარგლებში შემოთავაზებულ ყველა ფიზიკურ აქტივობას.
32. წინამდებარე IEE ანგარიში მოიცავს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფ.

სუფსაში საბავშვო ბაღის მშენებლობას, რომლის მიზანია:

- პროექტის ტერიტორიაზე არსებული სოციო-გარემოსდაცვითი პირობების აღწერა;
- გამოავლინოს პირდაპირი, არაპირდაპირი, ერთობლივი და გამოწვეული გარემოზე ზემოქმედებები და რისკები, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას პროექტის განხორციელების შედეგად;
- პროექტის ადგილმდებარეობის, დიზაინისა და ტექნოლოგიური გადაწყვეტების ალტერნატივების ანალიზი, მათ შორის, "არ არის პროექტი" ვარიანტი;
- გარემოს დაცვის მართვის გეგმის შემუშავება, რომელიც მოიცავს შემარბილებელ ზომებს, მონიტორინგის პროგრამასა და ანგარიშგების მოთხოვნებს, ინსტიტუციონალურ და ორგანიზაციულ ღონისძიებებს, შესაძლებლობების განვითარებას და ტრენინგებს;
- პროექტის ფარგლებში საჩივრების განხილვის პროცედურების აღწერა.

#### A.4. პროექტის კატეგორია

33. აგბ-ის მიერ დაფინანსებული ყველა პროექტი უნდა შეესაბამებოდეს აგბ-ის უსაფრთხოების პოლიტიკის პროგრამული განაცხადს (SPS), 2009 წ. აგბ-ის SPS მიზნად ისახავს, დახმარება გაუწიოს განვითარებად წევრ ქვეყნებს განვითარების პროექტებში გარემოსდაცვით და სოციალურ რისკებთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრაში და შეამციროს და შეარბილოს პროექტის უარყოფითი ზემოქმედება ადამიანებსა და გარემოზე. SPS ვრცელდება აგბ-ის მიერ მხარდაჭერილ ყველა პროექტზე და აგბ მუშაობს მსესხებლებთან პოლიტიკის პრინციპებისა და მოთხოვნების პრაქტიკაში დასანერგად, რასაც პროექტის განხილვისა და ზედამხედველობის, ასევე შესაძლებლობების განვითარების მხარდაჭერით ახორციელებს. SPS ასევე ზეგავლენის ქვეშ მოქცეულ ადამიანებსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებს სთავაზობს პლატფორმას, რომლის დახმარებითაც მათ შეეძლება პროექტის შემუშავებასა და განხორციელებაში მონაწილეობა.

34. აგბ-ის გარემოსდაცვითი გარანტიების მიზანია, უზრუნველყოს პროექტების ეკოლოგიური საიმედოობა და მდგრადობა და ასევე ხელი შეუწყოს გარემოსდაცვითი საკითხების ჩართვას პროექტის გადაწყვეტილების მიღების პროცესში. აგბ-ის SPS მსესხებლებისგან მოითხოვს პროექტის ზემოქმედების განსაზღვრასა და მათი მნიშვნელობის შეფასებას; ალტერნატივების შესწავლას; ასევე გარემოსდაცვითი მართვის გეგმების მომზადებას, დანერგვასა და მონიტორინგს. აგბ-ის SPS მსესხებლებისგან მოითხოვს, რომ გაიარონ კონსულტაცია იმ ადამიანებთან, რომლებიც სავარაუდოდ პროექტის



ზემოქმედების ქვეშ მოექცევიან, და დროულად გამოაქვეყნონ შესაბამისი ინფორმაცია ამ ადამიანებისთვის გასაგებ ფორმაში და ენაზე. შეფასების ანგარიშების საჭიროება განისაზღვრება პროექტის ზემოქმედებიდან გამომდინარე.

35. პროექტის კატეგორიის განსაზღვრის მიზნით გამოყენებულ იქნა როგორც სწრაფი გარემოსდაცვითი შეფასების საკონტროლო სია (იხ. დანართი 1), ასევე შესაბამისი ადგილმდებარეობის შემოგარენის მიმოხილვა - „Google Earth“ პროგრამის და სხვა გეოლოგიური საინფორმაციო სისტემების (GIS) გამოყენებით. აზიის განვითარების ბანკის გარემოსდაცვითი უსაფრთხოების არსებული პოლიტიკის (2009 წ.) შესაბამისად, აღნიშნული პროექტი შეესაბამება აგბ-ის „ბ“ პროექტების კატეგორიას. აღნიშნული, 2009 წ. პოლიტიკის თანახმად, შემოთავაზებული პროექტი შესაძლოა მივაკუთვნოთ „ბ“ კატეგორიას შემდეგი მიზეზების გამო:

- უარყოფითი ზემოქმედება გარემოზე გაცილებით ნაკლებია „ა“ კატეგორიის პროექტების ზემოქმედებასთან შედარებით;
- აღნიშნული ზემოქმედება კონკრეტულ საპროექტო ტერიტორიას უკავშირდება და თითქმის არცერთი არ არის შეუქცევადი ხასიათის;
- შემარბილებელი ღონისძიებების გატარება გაცილებით მარტივია, „ა“ კატეგორიის პროექტებთან შედარებით.

36. საცხოვრებლად ვარგისი ქალაქების საინვესტიციო პროგრამა (LCIP) აგბ-ის SPS-ის მიხედვით კლასიფიცირდება B კატეგორიად, ამგვარად, პროექტის ფარგლებში საქმიანობის განსახილველად აუცილებელია თავდაპირველი გარემოსდაცვითი ექსპერტიზის (IEE) ჩატარება. სოფ. სუფსაში საბავშვო ბაღის მშენებლობის წინამდებარე IEE მომზადდა წინასწარი გეგმისა და არსებული გარემოს აღმწერი სხვა ხელმისაწვდომი მასალების კამერალური შესწავლის, ასევე სპეციალისტებსა და დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციის საფუძველზე. წინამდებარე IEE განახლდება დეტალური საინჟინრო პროექტისა და სამუშაოების დაწყებამდე არსებულ გარემოზე ზემოქმედების შეფასების საფუძველზე.

37. COVID-19-ის პანდემიის გამო დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციისთვის გამოყენებული იყო დისტანციური საკომუნიკაციო საშუალებები. პირველი კონსულტაცია ჩატარდა 2020 წლის 3 ივლისს, 14:00 საათზე, სოციალურ ქსელში (Facebook-ის საშუალებით), მგფ-ის გუნდის მიერ (იხ. დანართი 2). შეხვედრა გაიმართა ლანჩუთის მერიის წარმომადგენლებთან COVID 19-ის გავრცელების გამო, დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციის ჩასატარებლად გამოიყენეს დისტანციური საკომუნიკაციო საშუალებები.

პირველი კონსულტაცია ჩატარდა 2020 წლის 3 ივნისს ტექნიკური გუნდის მიერ (იხ. დანართი 1). . შეხვედრა გაიმართა ფოთის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებთან და ადგილობრივ მოსახლეობასთან. COVID 19 ეპიდემიისა და მასთან დაკავშირებული შეზღუდვების გამო, სოციალურ ქსელში Viber- ის მეშვეობით ჩატარდა საჯარო საკონსულტაციო შეხვედრა. შეხვედრის ძირითადი მიზანი იყო დაინტერესებული მხარეების ინფორმირება ქვეპროექტთან დაკავშირებული დაგეგმილი ღონისძიებების, ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედებასა და მათი პრევენციის გზებისა და საშუალებების შესახებ. მონაწილეებს მიეწოდათ დანიშნულ პირთა კონტაქტები მგფ-ს და ადგილობრივი მთავრობის მხრიდან, დამატებითი ინფორმაციის მისაღებად მოთხოვნის შემთხვევაში პროექტის, აგრეთვე GRM- ს შესახებ. ჩატარდება შემდგომი საჯარო კონსულტაციები დაინტერესებულ მხარეებთან, დისტანციური საკომუნიკაციო არხების გამოყენებით, როგორცაა მობილური ტელეფონები და ინტერნეტი. კონსულტაციების ყველა დასკვნა და კრების ოქმები შეტანილ იქნება საბოლოო IEE-ში. ADB-ს SPS-ის (2009) შესაბამისად, პროექტი და საბოლოო IEE გამოქვეყნდება ADB და MDF-ს ვებ – გვერდებზე ქართულ და ინგლისურ ენებზე.

#### A.5. პროექტის ინიციატორი

38. პროექტის ინიციატორი და მსესხებელი არის საქართველოს მთავრობა, რომელიც მოქმედებს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მეშვეობით. პროექტის განმახორციელებელი უწყებაა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, ხოლო განმახორციელებელი ორგანიზაციის როლს ასრულებს მუნიციპალური განვითარების ფონდი (სსიპ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს დაქვემდებარებაში). MDF შექმნის პროექტის მართვის განყოფილებას და მას მხარს დაუჭერს ზედამხედველობითი კონსულტანტები. MDF შეისყიდის საბავშვო ბაღის შენობის მშენებლობას ხელშეკრულების საფუძველზე, განახორციელებს ხელშეკრულების ზედამხედველობას და გადაუხდის კონტრაქტორებს. აღმასრულებელი ორგანო უზრუნველყოფს გარემოს დაცვის გარანტიების მოთხოვნების გათვალისწინებას სატენდერო და საკონტრაქტო დოკუმენტებში, პროექტის ბიუჯეტში და ზოგადად საბავშვო ბაღის მშენებლობის განხორციელებისას. მშენებლობის ეტაპზე, აღმასრულებელ ორგანოს ეკისრება ზოგადი პასუხისმგებლობა პროექტის განხორციელების ტერიტორიაზე უსაფრთხოების ზომების დაცვაზე, სათემო დონის საჩივრების მოგვარებაზე, თუკი ამგვარი იარსებებს და იმის უზრუნველყოფაზე, რომ

კონტრაქტორებმა შეასრულონ SSEMP-ში განსაზღვრული შემარბილებელი ღონისძიებები. აღმასრულებელი ორგანო უზრუნველყოფს უსაფრთხოების გარანტიების მოთხოვნების შეუსაბამობის დროულ გამოსწორებას. აღმასრულებელ ორგანოს მხარს დაუჭიერენ ზედამხედველობის კონსულტანტები. გარდა ამისა, კონტრაქტორს მოეთხოვება გარემოს, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვის ოფიცრის სრულ განაკვეთზე აყვანა, რომელიც იმუშავებს ყველა სამუშაოს დასრულებამდე და უზრუნველყოფს SSEMP-ის სრულად შესრულებას, როგორც ფორმით, ასევე შინაარსით.

#### A.6. პროექტის არსი, ზომა და ადგილმდებარეობა

39. დაგეგმილია საბავშვო ბაღის ახალი შენობის მშენებლობა და ლოკაცია დადასტურებულია, რაც უფრო მოსახერხებელია რაიონის არსებული ინფრასტრუქტურის, სატრანსპორტო კავშირების და ა.შ. გათვალისწინებით.
40. საბავშვო ბაღის შენობისთვის შერჩეული ადგილი გონივრული ჩანს, რადგან ის დასახლებულ ადგილას მდებარეობს და შესაფერისია, რადგან არსებულ ნაკვეთში საკმარისი ადგილია საბავშვო ბაღის ახალი ინფრასტრუქტურის, მათ შორის შენობის, სათამაშო მოედნებისა და გამწვანებული ადგილების მოსაწყობად. მშენებლობისთვის გამოყოფილი ფართობია 3504 მ<sup>2</sup>.
41. მშენებლობისთვის გამოყოფილი მიწის ნაკვეთი რეგისტრირებულია როგორც მუნიციპალური საკუთრება. არ მოხდება იძულებითი განსახლება.

#### A.7. IEE საზღვრები

42. IEE-ს მიზნებისათვის, სოფ. სუფსაში პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ტერიტორია მოიცავს:
  - პირდაპირი ზემოქმედების ქვეშ მყოფი ადგილები, სამშენებლო საქმიანობისა და მათი სიახლოვის გამო, მათ შორის:
    - საბავშვო ბაღის ობიექტების მშენებლობის სამშენებლო მოედანი;

- სამშენებლო მოედანთან მისასვლელი გზები;
  - ნაგავსაყრელი სამშენებლო და საყოფაცხოვრებო ნარჩენებისთვის;
  - კონტრაქტორის მიერ გამოსაყენებელი ნებისმიერი სხვა ადგილი, როგორცაა სამუშაო ბანაკის მოედანი, ციკლური მოქმედების ბეტონსარევი, მასალების დროებითი დაგროვებისა და შენახვის ადგილები და ა.შ.
- არაპირდაპირი ზემოქმედების ადგილები, მათ შორის:
    - ყველა მომიჯნავე მიწა, რომლებიც პოტენციურად ექვემდებარება დაბინძურებას სამშენებლო საქმიანობით წარმოქმნილი მტვრისგან.

43. პროექტის განხორციელებისას, დეტალური საინჟინრო პროექტირების ეტაპზე და სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე, განახლებულ IEE-ში გათვალისწინებული იქნება სხვა ტერიტორიები, რომლებიც შეიძლება პროექტისთვის იქნას გამოყენებული, მაგ. ნაგავსაყრელები, ბეტონის დამამზადებელი მოწყობილობები, მუშათა ბანაკ(ებ)ი და ა.შ.

#### A.8. გამოყენებული მეთოდოლოგია

44. ვირუსის გავრცელებასთან დაკავშირებული მთელ მსოფლიოში არსებული გარემოებების გამო (COVID 19) და იძულებითი სოციალური დისტანციიდან გამომდინარე, IEE-ს მოსაზრებულ ეტაპზე არ იყო შესაძლებელი სავლე ვიზიტი. ამრიგად, IEE მიზნის მისაღწევად, გუნდმა გამართა ონლაინ კონსულტაციები ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებთან შესაბამისი ინფორმაციის მიღებისთვის და განახორციელა რისკის წინასწარი შეფასება. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლებმა დაათვალისწინეს პროექტის ადგილი, გადაიდეს არსებული სიტუაციის ამსახველი სურათები, რაც ასევე წარმოდგენილი იქნა დამატებითი ინფორმაციის სახით. კერძოდ, კონსულტანტების ჯგუფმა გააანალიზა პროექტის ძირითადი დოკუმენტაცია, შესაბამისი სამართლებრივი და ტექნიკური სტანდარტები და ონლაინ შეხვედრები ჩაატარა მიღებული დოკუმენტაციის გარდა არსებული ინფორმაციის მფლობელ პირებთან, რაც საჭირო იყო სიტუაციის რეალისტური ანალიზისა და დოკუმენტის პროექტის შესადგენად. ეს IEE მომზადებულია პროექტის გუნდის მიერ (TRTA - ტექნიკური დახმარება გარიგებისას) მსესხებლისათვის, მოცემულ შემთხვევაში საქართველოს მთავრობისათვის, აგბ-ის LCIP- ისადმი მოთხოვნებთან შესაბამისობაში. პროექტის გუნდში შედიან გარემოზე ზემოქმედების შეფასების ექსპერტი და სოციალურ-ეკონომიკური დარგის ექსპერტი.

45. IEE- ს კომპლექსური შემოწმების განსახორციელებლად და დასასრულებლად გამოსაყენებელი მეთოდოლოგია მოიცავდა მეთოდებისა და მონაცემების შეგროვების ინსტრუმენტების კომბინაციას. კერძოდ, IEE მომზადდა შემდეგი შედეგების საფუძველზე: (ა) პროექტის დამხმარე დოკუმენტაციისა და საჯაროდ ხელმისაწვდომი ინფორმაციის განხილვა; (ბ) ონლაინ შეხვედრები ლანჩუთის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებთან, კონსულტანტებთან, საპროექტო ორგანიზაციასთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან; (გ) ტექნიკური სტანდარტებისა და ნორმების ანალიზი; (დ) სხვა პროექტებისათვის გამოყენებული საჩივრების განხილვის მექანიზმების ანალიზი, სხვადასხვა გამოყენებული მიდგომების და ინსტიტუციური სტრუქტურების ეფექტურობის შესაფასებლად.

#### A.9 ანგარიშის სტრუქტურა

46. ანგარიში მომზადებულია ADB-ს უსაფრთხოების პოლიტიკის (2009) შესაბამისად, შემდეგ წესით:

- **ნაწილი A: შესავალი** - მოცემული ნაწილი გათვალისწინებულია პროექტის შესავალ ინფორმაციას.
- **ნაწილი B: სამართლებრივი, პოლიტიკური და ადმინისტრაციული ჩარჩოები** - აღნიშნულ ნაწილში მოცემულია საქართველოს პოლიტიკის / საკანონმდებლო ბაზის მიმოხილვა, ისევე როგორც საქართველოს გარემოსდაცვითი შეფასების სახელმძღვანელო პრინციპები, რომლებიც ეხება შემოთავაზებულ პროექტს. ეს ნაწილი ასევე განსაზღვრავს აზიის განვითარების ბანკის შესაბამის პოლიტიკას, რომელიც გამოიყენება.
- **ნაწილი C: პროექტის აღწერა** - აღნიშნული მონაკვეთი C აღწერს პროექტს და პროექტის საჭიროებას. ასევე მოცემულია სამუშაოების დეტალური მოცულობა, სადაც მითითებულია საჭირო საინჟინრო სამუშაოების ტიპი.
- **ნაწილი D: ალტერნატივების ანალიზი** - ამ განყოფილებაში განხილულია პროექტის ალტერნატივები, მათ შორის ვარიანტი "არ არის პროექტი".
- **ნაწილი E: გარემოს აღწერა** - ანგარიშის ამ ნაწილში განხილულია რეგიონული და ადგილობრივი გარემოს საბაზისო მონაცემები.
- **ნაწილი F: გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედება და ზემოქმედების შერბილების ღონისძიებები** - ნაწილი F ასახავს გარემოზე მოსალოდნელ ზემოქმედებას და გათვალისწინებული ზემოქმედებების სამართავად შემარბილებელ ღონისძიებებს.
- **ნაწილი G: ინფორმაციის გამჟღავნება, კონსულტაციები და მონაწილეობა** - ნაწილში G მოცემულია დაინტერესებულ მხარეებთან განხორციელებული ყველა საკონსულტაციო ღონისძიების რეზიუმე.

- **ნაწილი H: საჩივრების განხილვის მექანიზმი** - პროექტის შედეგად დაზარალებული პირებისათვის საჩივრების განხილვის მექანიზმი ასევე მოცემულია გამჟღავნების პროცესთან დაკავშირებულ ინფორმაციასთან ერთად.
- **ნაწილი I: გარემოს დაცვის მართვის გეგმა და ინსტიტუციური მოთხოვნები** - ამ ნაწილში მოცემულია გარემოს დაცვის მართვის გეგმა და გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმა პროექტის დაგეგმვის, მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპებისთვის.
- **ნაწილი K: დასკვნები და რეკომენდაციები** - ანგარიშის ბოლო ნაწილში მოცემულია ანგარიშის დასკვნები და ნებისმიერი საჭირო რეკომენდაცია.

## B. სამართლებრივი და ადმინისტრაციული ჩარჩო

47. პროექტისა და მისი ყველა ობიექტის მომზადება, დაპროექტება, მშენებლობა, განხორციელება, ექსპლუატაცია და ექსპლუატაციის შეწყვეტა უნდა განხორციელდეს მსესხებლის ყველა მოქმედი კანონმდებლობისა და რეგულაციების შესაბამისად, რომლებიც ეხება გარემოს, ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებას და გარემოსდაცვით გარანტიებს, როგორც ეს განსაზღვრულია ADB-ს უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტში 2009.
48. აგბ-ის მიერ დაფინანსებული ყველა პროექტი უნდა შეესაბამებოდეს აგბ-ის უსაფრთხოების პოლიტიკის პროგრამული განაცხადს (SPS), 2009 წ. აგბ-ის SPS მიზნად ისახავს, დახმარება გაუწიოს განვითარებად წევრ ქვეყნებს განვითარების პროექტებში გარემოსდაცვით და სოციალურ რისკებთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრაში და შეამციროს და შეარბილოს პროექტის უარყოფითი ზემოქმედება ადამიანებსა და გარემოზე. SPS ვრცელდება აგბ-ის მიერ მხარდაჭერილ ყველა პროექტზე და აგბ მუშაობს მსესხებლებთან პოლიტიკის პრინციპებისა და მოთხოვნების პრაქტიკაში დასანერგად, რასაც პროექტის განხილვისა და ზედამხედველობის, ასევე შესაძლებლობების განვითარების მხარდაჭერით ახორციელებს. SPS ასევე ზეგავლენის ქვეშ მოქცეულ ადამიანებსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებს სთავაზობს პლატფორმას, რომლის დახმარებითაც მათ შეეძლებათ პროექტის შემუშავებასა და განხორციელებაში მონაწილეობა.
49. წარმოდგენილ ნაწილში განხილულია ეროვნული და ადგილობრივი სამართლებრივი და ინსტიტუციური მოცემულობა, რომელშიც ხორციელდება გარემოსდაცვითი შეფასება. აღნიშნული ასევე განსაზღვრავს პროექტთან მიმართებაში არსებულ საერთაშორისო გარემოსდაცვით შეთანხმებებს, რომელშიც ქვეყანა ერთ-ერთ მხარეს წარმოადგენს.

## B.1 ეროვნული კანონმდებლობა

50. საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობა მოიცავს კონსტიტუციას, გარემოსდაცვით კანონებს, საერთაშორისო ხელშეკრულებებს, კანონქვემდებარე აქტებს, პრეზიდენტის ბრძანებულებებს, მინისტრის ბრძანებებს, მითითებებს და რეგულაციებს. ეროვნულ რეგულაციებთან ერთად, საქართველო მრავალი საერთაშორისო კონვენციის ხელმომწერია, მათ შორის, გარემოს დაცვასთან დაკავშირებული კონვენციებისა.

51. პროგრამა განხორციელდება ეროვნული რეგულაციების შესაბამისად და ABD SPS 2009 მოთხოვნების შესაბამისად. შესაბამისად, ორივე მათგანის უფრო მკაცრი მოთხოვნები გამოიყენება. საქართველოს აქვს მთელი რიგი სპეციფიკური სტანდარტებისა, რომლებიც ეხება ემისიის, ჩამდინარე წყლებისა და ხმაურის სტანდარტებს, აგრეთვე სტანდარტებს სპეციალური ნარჩენების დამუშავებისა და განკარგვისთვის, დაწყებული კანალიზაციიდან დამთავრებული სახიფათო ნარჩენებით.

52. ქვემოთ მოცემულ ცხრილში 1 მოცემულია საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობის ჩამონათვალი, რადგან იგი ეხება შემოთავაზებულ პროგრამას.

ცხრილი 1 კანონების ჩამონათვალი, რომლებიც ეხება გარემოს დაცვას

| <b>ჩარჩო კანონმდებლობა</b>                |  |
|---|--|
| 1995                                      | საქართველოს კონსტიტუცია (შესწორებულია 04.10.2013)<br>Reg. No - 010.010.000.01.001.000.116              |
| 1996                                      | გარემოს დაცვა (შესწორებულია 26.12.2014)<br>Reg. No - 360.000.000.05.001.000.184                        |
| <b>კანონმდებლობის ნებართვა</b>            |  |
| 2005                                      | ლიცენზირება და ნებართვა (შესწორებულია 18.09.2014)  |
| <b>კონკრეტული გარემოსდაცვითი კანონები</b> |  |
| 1994                                      | ნიადაგის დაცვა (შესწორებულია 26.12.2014)<br>Reg. No - 370.010.000.05.001.000.080                       |
| 1996                                      | დაცული ტერიტორიების სისტემა (შესწორებულია 30.04.2014)<br>Reg. No - 360.050.000.05.001.000.127          |
| 2007                                      | დაცული ტერიტორიების სტატუსის შესახებ (შესწორებულია 30.04.2014)<br>Reg. No - 360.050.000.05.001.003.060 |

| <b>ჩარჩო კანონმდებლობა</b> |   |
|----------------------------|---|
| 2014                       | ნარჩენების მართვის კოდექსი 26.12.2014<br>Reg. No -360160000.05.001.017608   |
| 2017                       | გარემოზე ზემოქმედების შეფასების კოდექსი<br>01/06/2017   |
| 1996                       | მინერალები (შესწორებულია 26.12.2014)<br>Reg. No - 380.000.000.05.001.000.140  |
| 1997                       | ველური ბუნება (შესწორებულია 26.12.2014)<br>Reg. No - 410.000.000.05.001.000.186   |
| 1997                       | წყლის დაცვა (შესწორებულია 26.12.2014)<br>Reg. No - 400.000.000.05.001.000.253   |
| 1997                       | საშიში ნარჩენების ტრანზიტი და იმპორტი საქართველოს შიგნით და მის<br>ტერიტორიაზე, (შესწორებულია 11.03.2011)<br>Reg. No - 300230000.05.001.016218              |
| 1998                       | პესტიციდები და აგროქიმიკატები (შესწორებული 08.05.2012)<br>Reg. No - 340120000.05.001.016723   |
| 1999                       | ატმოსფერული ჰაერის დაცვა (შესწორებულია 5.02.2014)<br>Reg. No - 420.000.000.05.001.000.595   |
| 1999                       | ტყის კოდექსი (შესწორებულია 6.09.2013)<br>Reg. No - 390.000.000.05.001.000.599   |
| 2003                       | საქართველოს წითელი ნუსხა და მონაცემთა წითელი წიგნი (შესწორებულია 6.09.2013)<br>Reg. No - 360.060.000.05.001.001.297   |
| <b>შესაბამისი კანონები</b> |   |
| 2007                       | კულტურული მემკვიდრეობის შესახებ (შესწორებულია 26.12.2014)<br>Reg. No - 450.030.000.05.001.002.815   |
| 2007                       | საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ (შესწორებულია 29.05.2014)<br>Reg. No - 470.000.000.05.001.002.920   |
| 2005                       | სახანძრო დაცვისა და უსაფრთხოების შესახებ 24.06.2005<br>Reg. No - 140.060.000.05.001.000.355   |
| 2006                       | საქართველოს ზღვის, წყალსატევებისა და მდინარეების ნაპირების რეგულირებისა და<br>საინჟინრო დაცვის შესახებ - 27.12.2006<br>Reg. No - 330.130.000.11.116.005.130 |
| 2014                       | ტექნიკური რეგლამენტი: "სასმელი წყლის სტანდარტის შესახებ". დამტკიცებულია<br>მთავრობის დადგენილებით<br>№ 58<br>Reg. No- 300160070.10.003.017676               |
| 2014                       | გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტი: დამტკიცებულია მთავრობის<br>დადგენილებით № 17<br>Reg No- 300160070.10.003.017608  |



53. ქვემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტების შეჯამება მოცემულია ქვემოთ:
54. ძირითადი იურიდიული დოკუმენტია "საქართველოს კონსტიტუცია", რომელიც მიღებული იქნა 1995 წელს. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კონსტიტუცია პირდაპირ არ ეხება გარემოსდაცვით საკითხებს, იგი აყალიბებს სამართლებრივ ჩარჩოს, რომელიც უზრუნველყოფს გარემოს დაცვისა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გარანტიას გარემო პირობების გათვალისწინებით.
55. მუხლი 37-ის მე-3 ნაწილში ნათქვამია, რომ "ყველას აქვს უფლება ცხოვრობდეს ჯანმრთელობისთვის უვნებელ გარემოში, სარგებლობდეს ბუნებრივი გარემოთი და საჯარო სივრცით. ნებისმიერი ადამიანი ვალდებულია იზრუნოს ბუნებრივ გარემოსა და საჯარო სივრცეზე." მუხლი 37-ის მე-5 ნაწილში ნათქვამია: "ყველას აქვს უფლება მიიღოს სრული, მიუკერძოებელი და დროული ინფორმაცია მისი სამუშაო და საცხოვრებელი გარემოს შესახებ."
56. მუხლი 41-ის 1-ელი ნაწილის თანახმად, "საქართველოს მოქალაქეს აქვს უფლება მიიღოს ინფორმაცია იმ მოქალაქის შესახებ, აგრეთვე ოფიციალურ დოკუმენტებზე, რომლებიც ხელმისაწვდომია სახელმწიფო დაწესებულებებში, იმ პირობით, რომ იგი არ შეიცავს სახელმწიფო, პროფესიული ან კომერციული მნიშვნელობის კონფიდენციალურ ინფორმაციას, მოქმედი სამართლებრივი კანონის შესაბამისად.
57. **გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი (EAC)** მიღებულ იქნა 2017 წლის ივნისში და ძალაში შევიდა 2018 წლის იანვრიდან. ახალმა კოდექსმა შეცვალა კანონი გარემოზე ზემოქმედების ნებართვისა და ეკოლოგიური ექსპერტიზის შესახებ. გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი ადგენს გარემოზე ზემოქმედების შეფასების, გარემოზე სტრატეგიული შეფასების, ტრანსსასაზღვრო გარემოსდაცვითი შეფასების, საზოგადოების მონაწილეობისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში ექსპერტიზის დებულებებსა და პროცედურებს. გზშ-ს ექვემდებარება ამ კოდექსის I დანართით გათვალისწინებული საქმიანობა და ამავე კოდექსის II დანართით გათვალისწინებული ის საქმიანობა, რომელიც ამ კოდექსის მე-7 მუხლით განსაზღვრული სკრინინგის პროცედურის შესაბამისად მიღებული სკრინინგის გადაწყვეტილების საფუძველზე დაექვემდებარება გზშ-ს (მე-2 თავის მე -5 მუხლი).
58. **საქართველოს კანონი „გარემოს დაცვის შესახებ“ (1996)** აწესრიგებს სამართლებრივ ურთიერთობებს სახელმწიფო დაწესებულებებსა და ფიზიკურ ან იურიდიულ

პირებს შორის ტერიტორიული წყლების, საჰაერო სივრცის, კონტინენტური შელფის, სპეციალური ეკონომიკური ზონების, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების გამოყენებასთან დაკავშირებით საქართველოს ტერიტორიაზე. კანონი არეგულირებს გარემოს დაცვის სტანდარტებს და გარემოს დაცვის მართვის საკითხებს; მასში აღწერილია ეკონომიკური სანქციები, სტანდარტები და გარემოზე ზემოქმედების საკითხები, ბუნებრივი ეკოსისტემებისა და ბიომრავალფეროვნების დაცვის სხვადასხვა საკითხი და გლობალური და რეგიონული მენეჯმენტის საკითხები. გარდა აღნიშნულისა, კანონი ითვალისწინებს ნარჩენების მართვის მთავარ პრინციპებს. კანონი ადგენს ნარჩენების ეკოლოგიურ მოთხოვნებს (მუხლი 34). აღნიშნული მუხლის დებულების თანახმად, მეწარმე ვალდებულია შეამციროს სამრეწველო, საყოფაცხოვრებო და სხვა სახის ნარჩენების წარმოშობა, უზრუნველყოს მათი დამუშავება, გამოყენება, განთავსება ან დამარხვა, გარემოსდაცვითი, სანიტარულ-ჰიგიენური და ეპიდემიოლოგიური სტანდარტებისა და წესების გათვალისწინებით. კანონი განსაზღვრავს მოთხოვნებს ტოქსიკური, რადიოაქტიური და სხვა სახიფათო ნარჩენების განთავსებისთვის და კრძალავს მათ ჩაშვებას ზედაპირული წყლის რესურსებში.

59. საქართველოს კანონი "ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" (2005) განსაზღვრავს საქმიანობის ჩამონათვალს, რომელიც საჭიროებს ლიცენზიას ან ნებართვას, მათ შორის ე.წ. "გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება". იგი ასევე განსაზღვრავს ლიცენზიის ან ნებართვის გაცემის მოთხოვნებს. კანონი, ნორმატიულ აქტებთან ერთად, არეგულირებს ისეთ ორგანიზებულ საქმიანობას ან მოქმედებას, რომელიც ეხება პირთა განუსაზღვრელ წრეს, ხასიათდება ადამიანის სიცოცხლის ან ჯანმრთელობისთვის საშიშროების მომატებით, გავლენას ახდენს განსაკუთრებით მნიშვნელოვან სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ინტერესებზე ან დაკავშირებულია სახელმწიფო რესურსის გამოყენებასთან. აღნიშნული კანონი არეგულირებს ლიცენზიით ან ნებართვით რეგულირებულ სფეროს; იგი აწვდის ლიცენზიებისა და ნებართვების სრულ ჩამონათვალს და ადგენს ლიცენზიებისა და ნებართვების გაცემის წესებს, 28 შეიტანს მათში ცვლილებებს ან გააუქმებს მათ. კანონის თანახმად, ლიცენზიის ან ნებართვის მეშვეობით საქმიანობის ან მოქმედების სახელმწიფო რეგულაცია ხორციელდება მხოლოდ მაშინ, როდესაც მოცემული საქმიანობა ან მოქმედება პირდაპირ უკავშირდება ადამიანის სიცოცხლის ან ჯანმრთელობის საფრთხეს ან სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ინტერესების სფეროებს. სახელმწიფო რეგულირება ხორციელდება მხოლოდ მაშინ, როდესაც ლიცენზიის ან ნებართვის

გაცემა რეალური საშუალებაა საშიში საფრთხის შესამცირებლად ან ითვალისწინებს სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ინტერესებს. ლიცენზიების ან ნებართვების საშუალებით საქმიანობის ან მოქმედების რეგულირების მიზანი და ძირითადი პრინციპები შემდეგია:

- ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უზრუნველყოფა და დაცვა
- ადამიანის საცხოვრებელი და საჯარო სივრცის უსაფრთხოება და დაცვა
- სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინტერესების დაცვა

60. სახელმწიფო უზრუნველყოფს გარემოს დაცვას და, შესაბამისად, წყლის დაცვას, როგორც მის მთავარ კომპონენტს „წყლის შესახებ“ საქართველოს კანონში (1997). საქართველოს ყველა მაცხოვრებელი ვალდებულია უზრუნველყოს წყლის რაციონალური და მდგრადი გამოყენება და დაცვა. მათ უნდა აღკვეთონ მისი კონტამინაცია, დაბინძურება და ამოწურვა. აღნიშნული კანონის შესაბამისად, აკრძალულია სამრეწველო, საყოფაცხოვრებო და სხვა ნაგვისა და ნარჩენების გადაყრა წყლის ობიექტებში. სამრეწველო, საყოფაცხოვრებო და სხვა ჩამდინარე წყლების განლაგება წყლის ობიექტებში ნებადართულია სამინისტროს მიერ ლიცენზიის საფუძველზე. შავი ზღვის დაცვისა და მისი ეკოლოგიური სისტემის შენარჩუნების მიზნით, ყველა ფიზიკური და იურიდიული პირი (მათ შორის უცხოელები) ვალდებული არიან გაატარონ ზომები, რათა თავიდან იქნას აცილებული ხმელეთზე განლაგებული დაბინძურების წყაროებიდან ზღვის ჩამდინარე წყლებით დაბინძურება სამრეწველო, კომუნალურ-საყოფაცხოვრებო, სადრენაჟო და სხვა ჩამდინარე წყლების დაცლისთვის ზედაპირული წყლის ობიექტის გამოყენება დასაშვებია მხოლოდ წყლის გამოყენების ლიცენზიის საფუძველზე, რომელიც გაცემულია სამინისტროს მიერ დამტკიცებული წყლის დანიშნულების მრავალფუნქციური გეგმისა და წყლის მართვის ბალანსის საფუძველზე.

61. კანონის თანახმად, წყლის ობიექტში ჩაღვრილი ჩამდინარე წყლების გაწმენდა საჭიროა დადგენილი სტანდარტის შესაბამისად. წყლის რესურსების ხარისხის დასაცავად, კანონი ითხოვს სანიტარული დაცვის ზონის შექმნას, რომელიც შედგება სამი სარტყლისგან, რომელთაგან თითოეული განსაკუთრებული რეჟიმით მოქმედებს. წყლის ხარისხის სტანდარტების, გარემოში მავნე ნივთიერებების (მიკროორგანიზმების ჩათვლით) ემისიის მაქსიმალური დასაშვები სიჩქარის, წყლის ამოღების კვოტებისა და მავნე ნივთიერებების (მათ შორის მიკროორგანიზმების) წყალში ემისიის დროებითი მაჩვენებლები (ლიმიტები) განისაზღვრება საქართველოს კანონით გარემოს დაცვის შესახებ.

62. საქართველოს კანონმდებლობამ შეიძლება დააკისროს პასუხისმგებლობა წყლის დაცვისა და გამოყენების სფეროში კანონის სხვა დარღვევებისთვის. წყლის მომხმარებლებმა უნდა აანაზღაურონ წყლის შესახებ კანონის დარღვევით გამოწვეული ზიანისთვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ოდენობითა და წესით. მე -17 მუხლის თანახმად (შავი ზღვის ბუნებრივი რესურსების დაცვა), ანადრომული თევზის სახეობები (თევზის სახეობები, რომლებიც სეზონურად დინების საწინააღმდეგოდ მიედინებიან მდინარის ზემოთ) მდინარეებში დაცული უნდა იქნეს მათი გამრავლებისთვის აუცილებელი პირობები, ჰაბიტატის შენარჩუნების გზით, თევზაობის ინდუსტრიის რეგულირების პროცედურების განსაზღვრით, ამ სახეობების დაჭერის დასაშვები ოდენობის განსაზღვრით ტერიტორიულ წყლებში და საქართველოს სპეციალურ ეკონომიკურ ზონებში და მის ფარგლებს გარეთ, აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა რონისძიებები განხორციელების გზით. მუხლი 20 (მდინარის წყლის დაცვის ზონა) განსაზღვრავს, რომ მდინარის დამცავი ზონა უნდა იყოს მისი მიმდებარე ტერიტორია, სადაც დაწესებულია სპეციალური რეჟიმი წყლის რესურსების დასაცავად დაზინძურების, დანაგვიანების, გაფუჭების და განადგურებისგან. ამ ზონაში შეიძლება შედიოდეს მისი მშრალი კალაპოტი, მიმდებარე ტერასები, ბუნებრივი ამაღლებული და ციცაბო მდინარის ნაპირი, აგრეთვე მდინარის პირას უშუალოდ მდებარე ხეობები. მდინარის წყლის დამცავი ზონის სიგანე უნდა შეფასდეს მდინარის კალაპოტის ნაპირიდან ორივე მხრიდან მეტრით შემდეგი პროცედურის შესაბამისად:

- 10 მეტრი - 25 კილომეტრამდე სიგრძის მდინარის შემთხვევაში,
- 20 მეტრი - 50 კილომეტრამდე სიგრძის მდინარის შემთხვევაში,
- 30 მეტრი - 75 კილომეტრამდე სიგრძის მდინარის შემთხვევაში,
- 50 მეტრი - 75 კილომეტრზე მეტი სიგრძის მდინარის შემთხვევაში.

63. ამ ზონაში აკრძალულია: (i) მოქმედი საწარმოების მშენებლობა, გაფართოება ან რეკონსტრუქცია, გარდა კანონით პირდაპირ განსაზღვრული შემთხვევებისა; (ii) ჰაერის ატომიზაციით, მრავალწლიანი მცენარეების, დათესილი კულტურებისა და ტყის მიწების ტოქსიკური ქიმიკატების შესხურება; და (iv) ტოქსიკური ქიმიკატებისა და მინერალური სასუქების, აგრეთვე ნებისმიერი სხვა ნარჩენების შენახვა, შეგროვება ან განთავსება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. მოითხოვება, რომ ჰიდრაულიკური კონსტრუქციები, რომლებიც მდებარეობს წყლის დაცვის ზონაში, იყოს აღჭურვილი სათანადო ტექნიკური საშუალებებით, რათა გამოირიცხოს მდინარეების დაზინძურება და დანაგვიანება.

64. ნარჩენების მართვის შესახებ ახალი კანონის მიზანი არის ნარჩენების მართვის კოდექსი (2015 წლის იანვარი) - უზრუნველყოს ნარჩენების წარმოქმნის პრევენციისა და ნარჩენების ხელახალი გამოყენების, ეკოლოგიურად სუფთა დამუშავების გაზრდის მიზნით ღონისძიებების განხორციელების სამართლებრივი პირობები და მეორადი ნედლეულის მოპოვება, ენერჯის აღდგენა ნარჩენებისგან, ასევე უსაფრთხო გადაყრა). ამ კანონის მიზანია დაიცვას გარემო და ადამიანის ჯანმრთელობა: ნარჩენების წარმოქმნის უარყოფითი ზემოქმედების თავიდან აცილება და შემცირება; ნარჩენების მართვის ეფექტური მექანიზმების დანერგვით; რესურსების გამოყენებით გამოწვეული ზიანის შემცირებით და ამგვარი გამოყენების ეფექტურობის გაუმჯობესებით. საქართველოში ნარჩენების მართვის ახალი კოდექსის შესაბამისად, იურიდიულმა და ფიზიკურმა პირებმა, რომლებიც აწარმოებენ 200 ტონაზე მეტ არასახიფათო ნარჩენს ან 1000 ტონა ინერტულ ნარჩენს ან რაიმე რაოდენობის საშიშ ნარჩენს ყოველწლიურად, მოამზადებენ კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმას, რომელიც წარედგინება დასამტკიცებლად საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს. ასევე აუცილებელია გარემოს მენეჯერის იდენტიფიცირება და MEPA- სთვის ინფორმაციის მიწოდება. მუნიციპალური ნარჩენების შეგროვებისა და დამუშავების წესი განისაზღვრება კოდექსით, აგრეთვე საშიში ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული აკრძალვებით. კოდექსი ავალდებულებს ყველას შეიმუშაოს სახიფათო ნარჩენების სეგმენტაციისა და შეგროვების სისტემა, წლის განმავლობაში 2 ტონაზე მეტი სახიფათო ნარჩენის წარმოების შემთხვევაში.

65. წინამდებარე აჯამებს კოდექსის საკვანძო მომენტებს.

#### **მუხლი 7. ნარჩენების მართვის ზოგადი მოთხოვნები**

- ნარჩენების შეგროვება, ტრანსპორტირება და დამუშავება ხდება მათი ტიპის, თვისებებისა და შემადგენლობის შესაბამისად, რაც ხელს არ უშლის მის შემდგომ აღდგენას.
- ნარჩენების შეგროვება, ტრანსპორტირება და დამუშავება ხდება ისე, რომ მაქსიმალურად გამოირიცხოს გარემოს დაბინძურება და ადამიანის ჯანმრთელობისთვის საშიში საფრთხეები.
- ნარჩენების ტრანსპორტირების საქმიანობით გამოწვეული დაბინძურების შემთხვევაში, ნარჩენების გადამზიდავი პასუხისმგებელია დასუფთავების ზომების მიღებაზე.
- ნარჩენების მწარმოებელი და მფლობელი ვალდებულია მოახდინოს საკუთარი ნარჩენების დამუშავება
- საკუთარი ძალებით ან გადასცეს შეგროვების, ტრანსპორტირებისა და

დამუშავების მიზნით პირებს, რომლებიც უფლებამოსილი არიან განახორციელონ ასეთი ოპერაციები აღნიშნული კანონისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

- იმ შემთხვევაში, თუ ნარჩენები გამიზნულია აღსადგენად ან გადასაყრელად, თავდაპირველი მწარმოებლის ან / და მფლობელის პასუხისმგებლობა რჩება მანამდე, სანამ აღდგენა ან განადგურება დასრულდება.
- პირებმა, რომლებიც ნარჩენებს აგროვებენ და ახორციელებენ ტრანსპორტირებას, დასამუშავებლად უნდა გადასცეს შესაბამის ობიექტებს, რომლებიც ფლობენ შესაფერის ნებართვის ან რეგისტრაციას.
- აკრძალულია ნარჩენების დაწვა ნებადართული ნაგავსაწვავი სადგურების გარეთ

#### **მუხლი 14. კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმა**

- იურიდიულმა და ფიზიკურმა პირებმა, რომლებიც აწარმოებენ 200 ტონაზე მეტ არასახიფათო ნარჩენს ან 1000 ტონა ინერტულ ნარჩენს ან რაიმე რაოდენობის საშიშ ნარჩენს ყოველწლიურად, უნდა მოამზადონ კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმა.

#### **მუხლი 15. გარემოს დაცვის მენეჯერი**

- აღნიშნული კანონის მე-14 მუხლის შესაბამისად გათვალისწინებულმა პირებმა კომპანიის გარემოს დაცვის მენეჯერად უნდა დანიშნონ შესაფერისი პირი.

#### **მუხლი 17. სახიფათო ნარჩენების მართვის ზოგადი ვალდებულებები**

- საშიში ნარჩენების წარმოება, შეგროვება და ტრანსპორტირება, აგრეთვე მათი შენახვა და დამუშავება ხორციელდება გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობის დაცვის პირობებში. აკრძალულია
  - ა) ნარჩენების შეგროვების კონტეინერებს გარეთ სახიფათო ნარჩენების გადაყრა;
  - ბ) კანალიზაციის სისტემებში ან მიწისქვეშა ან ზედაპირულ წყლებში ჩაღვრა, მათ შორის ზღვაში;
  - გ) ამისათვის ნებადართული ნაგავსაწვავი სადგურების გარეთ დაწვა;
  - დ) დამუშავება ისეთი ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმოების გარეთ, რომლებსაც აქვთ ასეთი ტიპის ნარჩენების დამუშავების ნებართვა

**მუხლი 18. სახიფათო ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული სპეციალური ვალდებულებები**

- ნარჩენების წარმომქმნელი, რომელიც წლის განმავლობაში 2 ტონაზე მეტ სახიფათო ნარჩენს წარმოქმნის, ვალდებულია:
  - ა) შექმნას და დანერგოს სახიფათო ნარჩენების სეპარირებისა და შეგროვების სისტემა;
  - ბ) ამ კოდექსის მე-15 მუხლის შესაბამისად განსაზღვროს გარემოსდაცვითი მმართველი, რომელიც პასუხისმგებელი იქნება სახიფათო ნარჩენების უსაფრთხო მართვისათვის შესაბამისი ზომების მიღებისთვის;
  - გ) უზრუნველყოს სახიფათო ნარჩენებთან მომუშავე პერსონალის ინფორმირება და შესაბამისი სწავლების ჩატარება.
- ნარჩენების ზუსტი შემადგენლობის დადგენამდე ნარჩენები სახიფათოდ ითვლება.
- თუ საქართველოს ტერიტორიაზე არ არსებობს სახიფათო ნარჩენების დამუშავების ტექნიკური ან/და ტექნოლოგიური შესაძლებლობა, სახიფათო ნარჩენების დამუშავებისათვის უნდა განხორციელდეს მათი ექსპორტი. ექსპორტის განხორციელებამდე სავალდებულოა ამ კოდექსით დადგენილი წესით სახიფათო ნარჩენების უსაფრთხო დასაწყობება დროებითი შენახვის ობიექტზე.
- სამინისტროს გადაწყვეტილებით შესაძლებელია სახიფათო ნარჩენების დროებითი შენახვის ვადის ერთჯერადი, არაუმეტეს 1 წლით გაგრძელება, თუ დასტურდება, რომ ამით ზიანი არ მიადგება გარემოს და ადამიანის ჯანმრთელობას.
- სახიფათო ნარჩენების შეგროვებასა და ტრანსპორტირებას ახორციელებს ამ კოდექსის შესაბამისად რეგისტრირებული ფიზიკური ან იურიდიული პირი.

**მუხლი 29. ნარჩენების აღრიცხვისა და ანგარიშგების ვალდებულებები**

- ჩანაწერები უნდა ინახებოდეს, ხოლო ნარჩენების შესახებ ანგარიშგებებს სამინისტროში წარუდგენენ ფიზიკური და იურიდიული პირები:
  - ა) რომელთა სამეწარმეო საქმიანობა დაკავშირებულია ნარჩენების შეგროვებასთან, ტრანსპორტირებასთან ან/და დამუშავებასთან;
  - ბ) რომელთა საქმიანობის შედეგად, წლის განმავლობაში, 2 ტონაზე მეტი არასახიფათო ნარჩენი (გარდა მუნიციპალური ნარჩენებისა) ან/და ნებისმიერი რაოდენობის სახიფათო ნარჩენი წარმოიქმნება.

66. საქართველოს კანონი კულტურული მემკვიდრეობის შესახებ (2007). კანონის მე-14 მუხლი განსაზღვრავს მოთხოვნებს „დიდი მოცულობის“ სამშენებლო სამუშაოების მიმართ. ამ მუხლის თანახმად, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე კარიერებზე მუშაობისა და მოპოვების შესახებ, აგრეთვე სპეციალური მნიშვნელობის მქონე ობიექტის მშენებლობის შესახებ გადაწყვეტილებას, როგორც ეს შეიძლება განისაზღვროს საქართველოს კანონმდებლობით, იღებს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ორგანო, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს დადებითი გადაწყვეტილების საფუძველზე. დასკვნის საფუძველია სათანადო ტერიტორიის არქეოლოგიური კვლევა, რომელიც უნდა ჩატაროს მიწის სამუშაოების განხორციელების მსურველმა ორგანიზაციამ. მიწის სამუშაოების განხორციელების მსურველი სუბიექტი ვალდებულია სამინისტროში წარადგინოს დოკუმენტაცია მოცემული ტერიტორიის არქეოლოგიური კვლევის შესახებ. წინასწარი კვლევა უნდა მოიცავდეს საველე-კვლევით და ლაბორატორიულ სამუშაოებს. შესასწავლ ტერიტორიაზე არქეოლოგიური ობიექტის აღმოჩენის შემთხვევაში, არქეოლოგიური კვლევის დასკვნა უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას: (ა) კვლევის ტერიტორიაზე გამოვლენილი არქეოლოგიური ფენებისა და საგნების საფუძვლიანი შესწავლა თანამედროვე მეთოდოლოგიის გამოყენებით; ბ) რეკომენდაციები გამოვლენილი ობიექტების კონსერვაციის პრობლემისა და პროექტის ტერიტორიაზე სამშენებლო საქმიანობის დაგეგმვის შესახებ, არქეოლოგიური კვლევის საფუძველზე.

67. საქართველოს კანონი "წითელი ნუსხისა და წითელი წიგნის შესახებ" (2003 წ.) არეგულირებს სამართლებრივ ურთიერთობებს წითელი ნუსხისა და წითელი წიგნის შემუშავების, გადაშენების პირას მყოფი სახეობების დაცვისა და გამოყენების სფეროში, გარდა გადაშენების პირას მყოფი ველური ცხოველებითა და მცენარეებით საერთაშორისო ვაჭრობის სამართლებრივი საკითხებისა, რომლებიც საქართველოს იურისდიქციის ფარგლებში რეგულირდება 1973 წლის 3 მარტს ქალაქ ვაშინგტონში გაფორმებული ველური ფაუნის და ფლორის გადაშენების პირას მყოფ სახეობებთან საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ კონვენციის შესაბამისად. კანონის მე-10 მუხლის თანახმად, ნებისმიერი საქმიანობა, მათ შორის ნადირობა, თევზაობა, მოპოვება, ჭრა და თიბვა, გარდა ამ კანონით, „ცხოველთა სამყაროს შესახებ“ საქართველოს კანონითა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტებით განსაზღვრული განსაკუთრებული შემთხვევებისა, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი სახეობების რაოდენობის შემცირება. აკრძალულია გადაშენების პირას მყოფი სახეობებისთვის საბინადრო გარემოსა და საარსებო პირობების



გაუარესება.

საქართველოს წითელი სია დამტკიცდა პრეზიდენტის № 303 ბრძანებულებით "საქართველოს წითელი ნუსხის დამტკიცების შესახებ" (2006 წლის 2 მაისი). კანონი განსაზღვრავს განსაკუთრებულ შემთხვევებს, როდესაც ნებადართულია საქართველოს წითელი ნუსხაში შესული სახეობების საცხოვრებელი ადგილებიდან ამოღება. გადაწყვეტილებებს იღებს საქართველოს მთავრობა.

68. **ტყის კოდექსი** (1999) არეგულირებს იურიდიულ ურთიერთობებს საქართველოს ტყის რესურსების მოვლა-შენახვის, დაცვის, აღდგენასა და გამოყენებასთან დაკავშირებით. საქართველოს ტყის კოდექსი მიზნად ისახავს: ტყის მოვლას, დაცვას და აღდგენას კლიმატის შენარჩუნებისა და გაუმჯობესების მიზნით, წყლის რეგულირებისთვის, კულტურული, რეკრეაციული და სხვა სასარგებლო ბუნებრივი პირობების დაცვას; იგი ნებას რთავს მხოლოდ იმ საქმიანობებს, რომლებიც დაკავშირებულია ტყის რესურსების დაცვასთან ან გამოყენებასთან, როგორცაა ხის მოჭრა, არამერქნული რესურსების შეგროვება, სოფლის მეურნეობის ან დასასვენებელი ადგილის გამოყენება, სამონადირეო მეურნეობების დაფუძნება და ა.შ. გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში სახელმწიფო სატყეო ფონდის გამოყენება შესაძლებელია სპეციალური მიზნით. გადაწყვეტილებებს იღებს საქართველოს მთავრობა.

69. **კანონი ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ** (1999 წ.) არეგულირებს ატმოსფერული ჰაერის დაცვას საქართველოს მთელ ტერიტორიაზე მავნე ანთროპოგენური ზემოქმედებისგან. კანონის მიზანია იმის უზრუნველყოფა, რომ ადამიანი ცხოვრობდეს ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში და სარგებლობდეს ბუნებრივი გარემოთი. განხილულია დაბინძურების ოთხი ტიპი (კარი II, თავი IV, მუხლი II.2): (i) ატმოსფერული ჰაერის მავნე ნივთიერებებით დაბინძურება; (ii) ატმოსფერულ ჰაერზე რადიაციული ზემოქმედება; (iii) ატმოსფერული ჰაერის მიკროორგანიზმებითა და მიკრობული წარმოშობის ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებებით დაბინძურება; და (iv) ატმოსფერულ ჰაერზე ხმაურის, ვიბრაციის, ელექტრომაგნიტური ველებისა და სხვა სახის ფიზიკური ზემოქმედება. სახიფათო ნივთიერებების ატმოსფერულ ჰაერში კონცენტრაციის დაშვებული მაქსიმალური ზღვრები განისაზღვრება თითოეული დამაბინძურებლისთვის და წარმოადგენს საშიში დამაბინძურებლების მაქსიმალურ კონცენტრაციას, გასაშუალოებული პერიოდისთვის, რომელთა განმეორებადი მოქმედება არ ახდენს უარყოფით გავლენას ადამიანის ჯანმრთელობასა და გარემოზე. ატმოსფერულ ჰაერში სახიფათო ნივთიერებების ემისიის დაშვებული მაქსიმალური დონე განისაზღვრება საწარმოს განვითარების პრესპექტიული შესაძლებლობებით, ფიზიკური, გეოგრაფიული და კლიმატური

პირობების, გამოყოფილი ნივთიერებების დისპერსიის, სხვა მეზობელი საწარმოებიდან გამონაბოლქვი ნივთიერებების ფონური კონცენტრაციის, არსებული ან დაგეგმილი საცხოვრებელი სახლების, სანატორიუმებისა და დასასვენებელი ზონების ურთიერთდამოკიდებულების გათვალისწინებით. კანონის შესაბამისად (პუნქტი 28), სახიფათო გამონაბოლქვის სტაციონარული წყაროებიდან 21 დაბინძურების შეზღუდვის მიზნით, უნდა დადგინდეს გამონაბოლქვის ზღვარი. ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმები (მუხლი 29). ემისიის მაქსიმალური წლიური დონე ნიშნავს გამოყოფის მაქსიმალურ დასაშვებ ზღვარს. ეს არის ემისიის ყოველწლიურად დასაშვები რაოდენობა, რომელიც წინასწარ განსაზღვრულია ტექნოლოგიით, გამოყოფის სტანდარტული ნებადართული სიმძლავრის პირობებში. წლიური მაქსიმალური მოცულობა განისაზღვრება თითოეული საშიში ნივთიერებისათვის და გამოითვლება ისე, რომ ემისიის ყველა სტაციონარული წყაროსთვის დაგროვილი გამონაბოლქვი ყველა რეგისტრირებული გამოყოფილი წყაროდან არ აღემატებოდეს შესაბამის მაქსიმალურ დასაშვებ დონეს. აგრძალებულია სტაციონარული წყაროებიდან საშიში გამონაბოლქვის ემისია, გამოყოფის დამტკიცებული ზღვრის გარეშე. ემისიის სტანდარტები (მუხლი 30) უნდა შეიმუშაოს თავად საწარმომ. კანონის თანახმად (38-ე მუხლი) საწარმოს ევალება თვითმონიტორინგის განხორციელება, რომელიც მოიცავს გაფრქვევათა გაზომვას (შეფასებას), აღრიცხვას / რეგისტრაციას და ანგარიშგების წარმოებას. ემისია, რომელიც არ არის დაფიქსირებული თვითმონიტორინგის ჩანაწერში, მიიჩნევა უკანონოდ. როგორც 51-ე მუხლშია ნახსენები, ატმოსფერული ჰაერის მონიტორინგის შედეგებისა და ატმოსფერული ჰაერის მავნე ნივთიერებებით დაბინძურების შესახებ ინფორმაციის შედეგები ღია და ხელმისაწვდომია საზოგადოებისთვის.

70. „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონის (2007) მიზანი შემდეგია: მოსახლეობის ჯანმრთელობისა და ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების ხელშეწყობა; ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა; ოჯახის რეპროდუქციული ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა; გადამდები და არაგადამდები დაავადებების გავრცელების თავიდან აცილება. კანონი განსაზღვრავს მოსახლეობისა და იურიდიული პირების უფლებებსა და მოვალეობებს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში. საზოგადოების ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის მიზნით სამინისტრო ადგენს ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს ხარისხობრივ ნორმებს (ატმოსფერული ჰაერი, წყალი, ნიადაგი, ხმაური,

ვიზრაცია, ელექტრომაგნიტური გამოსხივება), რომლებიც მოიცავს ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციებისა და მავნე ზემოქმედების ნორმებს. ნორმები სავალდებულოა. საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი ყველა ადამიანი ვალდებულია: არ განახორციელოს ისეთი საქმიანობა, რომელიც ქმნის გადამდები და არაგადამდები დაავადებების გავრცელების საფრთხეს, იწვევს ჯანმრთელობასთან დაკავშირებული რისკების წარმოქმნას; დაიცვას სანიტარიული და ეპიდემიოლოგიური ნორმები; საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სამსახურს მიაწოდოს ინფორმაცია წარმოებასა და ტექნოლოგიურ პროცესებში სანიტარიული ნორმების დარღვევით გამოწვეული ყველა საგანგებო სიტუაციის შესახებ და სხვ. სტანდარტების დაცვა კონტროლდება შესაბამისი სახელმწიფო სტრუქტურების მიერ. შიდა და გარე აუდიტებზე პასუხისმგებლობა ეკისრება სერტიფიცირებულ, დამოუკიდებელ ლაბორატორიას.

71. **კანონი ნიადაგის დაცვის შესახებ:** კანონი ითვალისწინებს ნაყოფიერი ნიადაგის რესურსების დაცვისა და შენარჩუნების პოლიტიკის მოთხოვნებსა და პრინციპებს ნეგატიური ზემოქმედებისგან. ნიადაგის დაცვა სახელმწიფოებრივი პრობლემაა, რადგან საქართველოში გავრცელებული ყველა ტიპის ნიადაგის, მათ შორის მწირი, მლაშე, დაჭაობებული, ბიგობი, მყავე და ძლიერ დატენიანებული ნიადაგების სწორი და რაციონალური გამოყენება საქართველოს სოფლის მეურნეობისა და საერთოდ ეკონომიკის დინამიკური განვითარების მთავარი რეზერვაა. აღნიშნული კანონის მიზანია განსაზღვროს მიწათმოსარგებლეთა, მიწათმესაკუთრეთა და სახელმწიფოს მოვალეობა და პასუხისმგებლობა ნიადაგის დაცვისა და ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოების პირობების შესაქმნელად; კანონი განსაზღვრავს ნიადაგის დაცვის ზომებსა და მეთოდებს და კრძალავს გარკვეულ საქმიანობას, მაგალითად, აყოფიერი ნიადაგის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით გამოყენება; არასასოფლო-სამეურნეო ხასიათის ნებისმიერი საქმიანობა ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოუხსნელად, მის დაუკონსერვებლად და დანიშნულებისამებრ გამოყენებლად; ყოველგვარი ქმედება, რომელიც გააუარესებს ნიადაგის თვისებებს; და ა.შ. აღნიშნული კანონის გარდა, ნიადაგის დაცვის საკითხები რეგულირდება სოფლის მეურნეობის მინისტრის # 2-277 (25.11.2005) ბრძანებით, „ნიადაგის ეროზიისაგან დაცვის კომპლექსურ ღონისძიებათა რეკომენდაციების დამტკიცების შესახებ“
72. ქვემოთ მოცემულია პროგრამები, რომლებიც ეხება სოციალურ ასპექტებსა და მიწის საკუთრებასთან დაკავშირებულ კანონებსა და რეგულაციებს.
73. **კანონი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ.** კანონის

მიზანია სამართლებრივად უზრუნველყოს მიწის რაციონალური გამოყენების საფუძველზე ორგანიზებული მეურნეობა და გააუმჯობესოს აგრარული სტრუქტურა, თავიდან იქნეს აცილებული მიწის ნაკვეთების დაქუცმაცება და არარაციონალური გამოყენება. კანონი განსაზღვრავს სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთებისა შეძენისა და გასხვისების წესს, სახელმწიფოს მონაწილეობას სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთებთან დაკავშირებულ ურთიერთობათა მოსაწესრიგებლად. კანონი ეხება მიწის საკუთრების საკითხს, მიწის გასხვისების შეზღუდვას თანასაკუთრების შემთხვევაში, სახელმწიფოს პრიორიტეტს განსაზღვრავს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები გამოსყიდვასთან დაკავშირებით.

74. **სამოქალაქო კოდექსი** არეგულირებს სახელმეკრულებო ურთიერთობებს, აღწერს ფიზიკური და იურიდიული პირების უფლებებსა და მოვალეობებს, განსაზღვრავს ჯარიმებს დოკუმენტში მითითებული მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში. სამოქალაქო კოდექსი განსახვავებს მოძრავ და უძრავ ნივთებს და ადგენს ქონებაზე საკუთრების უფლების მოპოვების წესებს, აგრეთვე მის საკუთრებაში არსებულ ან სავალდებულო უფლებებს. კანონმდებლობის ეს ნაწილი უნდა იქნას გათვალისწინებული საქართველოში ხელშეკრულებების დადების დროს.
75. **კანონი აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ** განსაზღვრავს კერძო საკუთრების ექსპროპრიაციის შესაბამის პროცედურებსა და პირობებს, აგრეთვე ექსპროპრიაციული ქონების კომპენსაციის გადახდის ან სხვა ქონების გადაცემის პროცედურებს იმავე საბაზრო ღირებულებით.
76. **კანონი კულტურული მემკვიდრეობის შესახებ** ადგენს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის პროცედურებს და არქეოლოგიური კვლევების ჩატარების ნებართვას.
77. **კანონი „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“** არეგულირებს იურიდიულ ურთიერთობებს ადამიანის ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველსაყოფად. იგი განსაზღვრავს ჰაერის, ნიადაგისა და წყლის დაბინძურების ხარისხის ნორმებს და და მაიონიზირებელ გამოსხივებასთან, ხმაურთან და ვიბრაციასთან დაკავშირებული შეზღუდვებს. ზღვარი უნდა იყოს დაცული. კანონის მე-7 ნაწილი ეხება ტექნოლოგიური პროცესების უსაფრთხოებას.
78. **კანონი „სახელმწიფო ქონების შესახებ“** არეგულირებს აწესრიგებს საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვასთან, განკარგვასა და სარგებლობაში გადაცემასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების

სამინისტრო არის სახელმწიფო ორგანო, რომელიც პასუხისმგებელია ქონებაზე.

79. **შრომის კოდექსი** არეგულირებს შრომით ურთიერთობებს, თუ ისინი განსხვავებულად არ რეგულირდება სხვა სპეციალური კანონით ან საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით. დამსაქმებლები ვალდებული არიან დაიცვან დოკუმენტის მოთხოვნები და მუხლები, რათა უზრუნველყონ თანამშრომელთა უფლებების დაცვა.
80. **საქართველოს კანონი შრომის უსაფრთხოების შესახებ** განსაზღვრავს იმ ძირითადი მოთხოვნებისა და პრევენციული ღონისძიებების იმ ზოგადი პრინციპებს, რომლებიც უკავშირდება სამუშაო ადგილზე შრომის უსაფრთხოების საკითხებს. კანონი ვრცელდება სამუშაოებზე, რომლებიც მიიჩნევა, რომ საფრთხის შემცველია, სიმძიმეა, მავნეა და საშიშია. დამსაქმებლის მიერ საქართველოში შრომის უსაფრთხოების წესების დაცვას არეგულირებს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო შესაბამისი დეპარტამენტების მეშვეობით.
81. **გარემოზე ზემოქმედების ნებართვის მიღების** პროცედურები. გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი მიღებულ იქნა 2017 წლის ივნისში და ძალაში შევიდა 2018 წლის იანვრიდან. ახალმა კოდექსმა შეცვალა კანონი გარემოზე ზემოქმედების ნებართვისა და ეკოლოგიური ექსპერტიზის შესახებ. გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი ადგენს გარემოზე ზემოქმედების შეფასების, გარემოზე სტრატეგიული შეფასების, ტრანსსასაზღვრო გარემოსდაცვითი შეფასების საზოგადოების მონაწილეობისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში ექსპერტიზის დებულებებსა და პროცედურებს. გზმ ექვემდებარება არნიშნული კოდექსის I დანართით გათვალისწინებულ საქმიანობებს და ამავე კოდექსის II დანართით გათვალისწინებულ საქმიანობებს, რომლებიც ექვემდებარება გზმ-ს სკრინინგის პროცედურის საფუძველზე.

## B.2 გარემოს დაცვის რეგულაციები და სტანდარტები

82. პროექტი განხორციელდება ეროვნული რეგულაციების შესაბამისად და ABD SPS 2009 მოთხოვნების მიხედვით. შესაბამისად, ორივე მათგანის უფრო მკაცრი მოთხოვნები გამოიყენება. საქართველოს აქვს მთელი რიგი სპეციფიკური სტანდარტებისა, რომლებიც ეხება ემისიის, ჩამდინარე წყლებისა და ხმაურის სტანდარტებს, აგრეთვე სტანდარტებს სპეციალური ნარჩენების დამუშავებისა და განკარგვისთვის, დაწყებული კანალიზაციიდან დამთავრებული სახიფათო ნარჩენებით. ქვემოთ მოცემულია აღნიშნული კანონებისა და სტანდარტების შეჯამება, IFC და ევროკავშირის სტანდარტებთან ერთად.

**B.2.1. ატმოსფერული ჰაერის ხარისხის სტანდარტები**

83. "საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, გარემოსდაცვითი თვისობრივი ნორმები მტკიცდება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანებულებებით (16.08.2001 N 297 / N ბრძანებები, მათ შორის, მასში შეტანილი ცვლილებების შესახებ 02.24.2003 წლის N338 / N განკარგულებით, 09.15.1006, N 251 / N, 12.17.2007 N N3 ბრძანებულებებით). ატმოსფერული ჰაერის ხარისხი (საშიში ნივთიერებებით დაბინძურება) ასევე განისაზღვრება გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის ბრძანებით (89 89, 2001 წლის 23 ოქტომბერი) „ატმოსფერული ჰაერის მავნე ნივთიერებებით დაბინძურების ინდექსის გამოთვლის წესის დამტკიცების შესახებ“. ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა კონცენტრაციის ზღვრულად დასაშვები ნორმები (MPC) განისაზღვრება ტექნიკური რეგლამენტებით - ატმოსფერული ჰაერის ხარისხის სტანდარტები (დადგენილება # 383 - დამტკიცებული საქართველოს მთავრობის მიერ 2018 წლის 27 ივლისს).

84. ცხრილი 2 გვიჩვენებს ძირითადი ჰაერის დამაბინძურებლების ზღვრულ დასაშვებ ნორმებს, რომლებიც განსაზღვრულია GEO, IFC და ევროკავშირის კანონმდებლობით. ზოგადად, ჰაერში ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციის ქართული სტანდარტები შეესაბამება IFC / WB საერთაშორისო სტანდარტებს, თუმცა განსხვავებების შემთხვევაში უფრო მკაცრი სტანდარტები გამოიყენება. ცხრილი ასევე აჩვენებს პროექტში გამოყენებულ სტანდარტებს.

ცხრილი 2. ატმოსფერული ჰაერის ხარისხის სტანდარტები

| პარამეტრი                          | გასაშუალოების პერიოდი | ლიმიტი (მკგ / მ <sup>3</sup> )                                     |                           |                                     |
|------------------------------------|-----------------------|--|---------------------------|-------------------------------------|
|                                    |                       | კონცენტრაციის ზღვრულად დასაშვები ნორმები (MPC) ჰაერის ხარისხისთვის | IFC სახელმძღვანელოს ნორმა | პროექტში გამოსაყენებელი სტანდარტები |
| აზოტის დიოქსიდი (NO <sub>2</sub> ) | 30 წუთი               | 200  | -                         | 200                                 |
|                                    | 1 საათი               | 200 მკგ/ მ <sup>3</sup>  | 200                       | მგ/მ <sup>3</sup>                   |
|                                    | 24 საათი              | 40   | -                         | 40                                  |

| მარამეტრი                                       | გასაშუალოების პერიოდი                      | ლიმიტი (მკგ / მ <sup>3</sup> )                                     |                           |                                     |
|---|--|--|---------------------------|-------------------------------------|
|   |  | კონცენტრაციის ზღვრულად დასაშვები ნორმები (MPC) ჰაერის ხარისხისთვის | IFC სახელმძღვანელოს ნორმა | პროექტში გამოსაყენებელი სტანდარტები |
|   | 1 წელი                                     | 40 მკგ / მ <sup>3</sup>  | 40                        | 40 მგ/მ <sup>3</sup>                |
| გოგირდის დიოქსიდი (SO <sub>2</sub> )            | 10 წუთი                                    | -  | 500                       | 500                                 |
|   | 30 წუთი                                    | 500  | -                         | 500                                 |
|   | 1 საათი                                    | -350 მკგ / მ <sup>3</sup>  | -                         | 350                                 |
|   | 24 საათი                                   | 125 მკგ / მ <sup>3</sup>   | 20                        | 125                                 |
| ნახშირბადის მონოქსიდი (CO)                      | 30 წუთი                                    | 5,000  | -                         | 5,000                               |
|   | 24 საათი                                   | 3,000  | -                         | 3,000                               |
|   | 8 საათი                                    | 10 მკგ / მ <sup>3</sup>  | -                         | 10 მგ/მ <sup>3</sup>                |
| ჯამური შეწონილი მყარი ნაწილაკები (TSP) / მტვერი | 24 საათი                                   | 150  | -                         | 150                                 |
|   | 30 წუთი                                    | 500  | -                         | 50                                  |
| PM10  | 1 წელი                                     | 40 მკგ / მ <sup>3</sup>  | 20                        | 40 მგ/მ <sup>3</sup>                |
|   | 24 საათი                                   | 50 მკგ / მ <sup>3</sup>  | 50                        | 50 მგ/მ <sup>3</sup>                |
| PM2.5   | 1 წელი                                     | 25 მკგ / მ <sup>3</sup>  | 10                        | 10 მგ/მ <sup>3</sup>                |
|   | 24 საათი                                   |  | 25                        | 25                                  |
| ოზონი   | მაქსიმალური დღიური 8-საათიანი კონცენტრაცია | 120 მკგ / მ <sup>3</sup>   | 100                       | 100                                 |

შენიშვნა: ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის (WHO) ჰაერის ხარისხის სახელმძღვანელოს გლობალური განახლება, 2005. PM 24-საათიანი ნორმა არის 99-ე პროცენტილი. მოცემულია შუალედური სამიზნეები იმის გათვალისწინებით, რომ საჭიროა ეტაპობრივი მიდგომა საჭირო რეკომენდაციების მისაღწევად.

ზოგადად, ატმოსფერული ჰაერის ქართული სტანდარტები შეესაბამება IFC / WB საერთაშორისო სტანდარტებს, თუმცა განსხვავებების შემთხვევაში უფრო მკაცრი სტანდარტები გამოიყენება.

Commented [USER1]: ინგლისურ ენაში არ არის, წავშალთ?

**B.2.2. ხმაურის ნორმები:**

85. IFC- ის ხმაურის დასაშვები ნორმები და საქართველოს ეროვნული სტანდარტები საცხოვრებელი ადგილებისთვის მსგავსია. ხმაურის ეროვნული ნორმები განისაზღვრება ტექნიკური რეგლამენტის შესაბამისად - საცხოვრებელი სახლებისა და საზოგადოებრივი/საჯარო დაწესებულებების შენობების სათავსებში და ტერიტორიებზე აკუსტიკური ხმაურის ნორმების შესახებ (დოკუმენტი # 300160070.10.003.020107, თარიღი 15/08/2017) იხილეთ ცხრილი 3.

86. IFC ხმაურის ზემოქმედებამ არ უნდა გადააჭარბოს მე-5 ცხრილში მოცემულ დონეს ან გამოიწვიოს ფონის დონის მაქსიმალური ზრდა 3 დეციბელით (დბ) ადგილს გარეთ მდებარე უახლოეს მიმღებთან. ეს პროგრამა შეესაბამება როგორც IFC- ის სახელმძღვანელო პრინციპებს, ასევე საქართველოს სტანდარტებს. გაითვალისწინეთ, რომ ქართული სტანდარტები ეხება დასაშვებ საზღვრებს შენობაში და არა შენობის ფასადზე.

ცხრილი 3: ხმაურის დონის ქართული სტანდარტები

| სათავსებისა და ტერიტორიების გამოყენებითი ფუნქციები   | დასაშვები ნორმები (A-დეციბელები (დბA)) |                       |                         |
|--|--|-----------------------|-------------------------|
|  | L დღე                                  |                       | 23:00 - 08:00           |
|  | 08:00 - 19:00<br>დღე                   | საღამო<br>19:00-23:00 | L <sub>დაბ</sub> , ღამე |
| სასწავლო დაწესებულებები და სამკითხველოები  | 35                                     | 35                    | 35                      |
| სამედიცინო დაწესებულებების სამკურნალო კაბინეტები   | 40                                     | 40                    | 40                      |
| საცხოვრებელი და საძილე სათავსები   | 35                                     | 30                    | 30                      |
| სტაციონარული სამედიცინო დაწესებულების სამკურნალო და სარეაბილიტაციო პალატებ                         | 35                                     | 30                    | 30                      |
| სასტუმროების/ მოტელის ნომრები  | 40                                     | 35                    | 35                      |
| სავაჭრო დარბაზები და მისაღები სათავსები  | 55                                     | 55                    | 55                      |
| რესტორნების, ბარების, კაფეების დარბაზები   | 50                                     | 50                    | 50                      |
| მაყურებლის/მსმენელის დარბაზები და საკრალური სათავსები  | 30                                     | 30                    | 30                      |
| სპორტული დარბაზები და აუზები   | 55                                     | 55                    | 55                      |
| მცირე ზომის ოფისების (≤100 მ <sup>3</sup> ) სამუშაო სათავსები და სათავსები საოფისე ტექნიკის გარეშე | 40                                     | 40                    | 40                      |
| მცირე ზომის ოფისების (≤100 მ <sup>3</sup> ) სამუშაო სათავსები და სათავსები საოფისე ტექნიკის გარეშე | 40                                     | 40                    | 40                      |



|  |    |    |    |
|--|----|----|----|
| საკონფერენციო დარბაზები / შეხვედრების ოთახები  | 35 | 35 | 35 |
| ტერიტორიები, რომლებიც უშუალოდ ემიჯნებიან დაბალსართულიან (სართულების რაოდენობა ≤6) საცხოვრებელ სახლებს, სამედიცინო დაწესებულებებს, საბავშვო და სოციალური მომსახურების ობიექტებს | 50 | 45 | 40 |
| ტერიტორიები, რომლებიც უშუალოდ ემიჯნებიან დაბალსართულიან (სართულების რაოდენობა ≤6) საცხოვრებელ სახლებს, სამედიცინო დაწესებულებებს, საბავშვო და სოციალური მომსახურების ობიექტებს | 55 | 50 | 45 |
| ტერიტორიები, რომლებიც უშუალოდ ემიჯნებიან სასტუმროებს, სავაჭრო, მომსახურების, სპორტულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს  | 60 | 55 | 50 |

შენიშვნა: 1. იმ შემთხვევაში, თუ როგორც შიდა, ისე გარე წყაროების მიერ წარმოქმნილი ხმაური იმპულსური ან ტონალური ხასიათისაა, ნორმატივად ითვლება ცხრილში მითითებულ მნიშვნელობაზე 5 დბ A-ით ნაკლები სიდიდე.

87. აკუსტიკური ხმაურის ზემოაღნიშნული დასაშვები ნორმები დადგენილია სათავსის ნორმალური ფუნქციონირების პირობებისთვის, ანუ, როცა სათავსში დახურულია კარები და ფანჯრები (გამონაკლისია ჩაშენებული სავენტილაციო არხები), ჩართულია ვენტილაციის, კონდიციონერების, ასევე განათების მოწყობილობები (ასეთის არსებობის შემთხვევაში); ამასთან, ფუნქციური (ფონური) ხმაური (მაგ., ჩართული მუსიკა, მომუშავეთა და ვიზიტორთა საუბარი) გათვალისწინებული არ არის.

ცხრილი 4: IFC ხმაურის დონის სახელმძღვანელო მითითებები

| მიმღები | ერთსაათიანი L <sub>aeq</sub> (დბA) |                        | პროექტში გამოყენებული სტანდარტები   |  |
|---------|------------------------------------|------------------------|-------------------------------------|--|
|         | დღისით<br>07.00-22.00              | ღამით<br>22.00 – 07.00 | დღის<br>განმავლობაში<br>07.00-22.00 | ღამის<br>განმავლობაში<br>22.00 – 07.00 |

|   |    |    |    |    |
|---|----|----|----|----|
| საცხოვრებელი;<br>ინსტიტუციური;<br>საგანმანათლებლო | 55 | 45 | 55 | 45 |
| სამრეწველო;<br>კომერციული                         | 70 | 70 | 70 | 70 |

88. სამუშაო ადგილის ხმაურთან დაკავშირებით მოქმედებს IFC სტანდარტები.

ცხრილი 5: IFC სამუშაო ადგილებზე ხმაურის ზღვრულად დასაშვები დონეები

| სამუშაოს ტიპი, სამუშაო ადგილი                               | IFC-ის ზოგადი სახელმძღვანელო მითითებები   | პროექტში გამოყენებული სტანდარტები        |
|---|---|--|
| მძიმე მრეწველობა (ზეპირი კომუნიკაციის მოთხოვნა არ არის)     | 85<br>ეკვივალენტური დონე<br>Laeq, 8 სთ    | 85<br>ეკვივალენტური დონე<br>Laeq, 8სთ    |
| მსუბუქი ინდუსტრია (ზეპირი კომუნიკაციის მოთხოვნის შემცირება) | 50-65<br>ეკვივალენტური დონე<br>Laeq, 8 სთ | 50-65<br>ეკვივალენტური დონე<br>Laeq, 8სთ |

პროექტის ხმაურის სტანდარტები

საბაზისო მონიტორინგისა და სამშენებლო და საოპერაციო ფაზის ხმაურის შეფასებისთვის, დაცული უნდა იქნას IFC-ის სახელმძღვანელო მითითებები. სამუშაო ადგილის ხმაურისთვის დაცული უნდა იქნას IFC-ის სახელმძღვანელო მითითებები.

### B.2.3. ვიბრაციის ნორმები

89. ვიბრაციის ქართული სტანდარტები შექმნილია ადამიანის კომფორტისთვის. ეს ნაჩვენებია ცხრილში 6. გაითვალისწინეთ, რომ შენობის დაზიანების სტანდარტები არ არსებობს.

ცხრილი 6: საქართველოს ზოგადი მისაღები ვიბრაციული ნორმები საცხოვრებელ სახლებში, საავადმყოფოებსა და დასასვენებელ სახლებში, სანიტარული ნორმები 2001

Commented [USER2]: ეს ნაწილ დღეში არიყო? წავსაღო?

| ოქტავის ზოლების საშუალო გეომეტრიული სიხშირეები (ჰც)              | დასაშვები ნორმები X0, Y0, Z0 |    |                       |    |
|--|------------------------------|----|-----------------------|----|
|  | ვიბრო-აჩქარება               |    | ვიბრო-სიჩქარე         |    |
|  | მ / წმ <sup>2</sup>          | დბ | მ/წმ 10 <sup>-4</sup> | დბ |
| 2  | 4.0                          | 72 | 3.2                   | 76 |
| 4  | 4.5                          | 73 | 1.8                   | 71 |
| 8  | 5.6                          | 75 | 1.1                   | 67 |
| 16   | 11.0                         | 81 | 1.1                   | 67 |
| 31.5   | 22.0                         | 87 | 1.1                   | 67 |
| 63   | 45.0                         | 93 | 1.1                   | 67 |
| შესწორებული და ექვივალენტური შესწორებული ნორმები და მათი დონეები | 4.0                          | 72 | 1.1                   | 67 |

შენიშვნა: დასაშვებია ვიბრაციის ნორმატიული მნიშვნელობების გადაჭარბება დღის განმავლობაში 5 დბ-ით. არამდგრადი ვიბრაციების ამ ცხრილში დასაშვები დონის ნორმების შესწორება 10დბ, ხოლო აბსოლუტური ნორმები მრავლდება 0.32-ზე. ვიბრაციის დასაშვები დონეები საავადმყოფოებისა და დასასვენებელი სახლებისთვის უნდა შემცირდეს 3დბ-ით.

90. სახელმწიფო გზატკეცილებისა და ტრანსპორტირების ხელმძღვანელთა ამერიკული ასოციაცია (AASHTO) (1990) განსაზღვრავს ვიბრაციის მაქსიმალურ დონეს სტრუქტურების დაზიანების თავიდან ასაცილებლად. ცხრილი 7 აჯამებს მაქსიმალურ დონეს.

ცხრილი 7: AASHTO-ს დაზიანების თავიდან ასაცილებლად მაქსიმალური ვიბრაციის დონე

| ადგილმდებარეობის ტიპი   | სიჩქარის შეზღუდვა (წამში) | პროექტში გამოყენებული სტანდარტები |
|---|---------------------------|-----------------------------------|
| ისტორიული ადგილები ან სხვა კრიტიკული ადგილები                     | 0.1                       | 0,1                               |
| საცხოვრებელი კორპუსები, შელესილი კედლები                          | 0.2-0.3                   | 0,2-0,3                           |
| საცხოვრებელი კორპუსები კარგ მდგომარეობაში თაბაშირ-მუყაოს კედლებით | 0.4-0.5                   | 0,4-0,5                           |
| დამუშავებული სტრუქტურები, ბათქაშის გარეშე                         | 1.0-1.5                   | 1,0-1,5                           |

პროექტის ვიზრაციის სტანდარტები

81. AASHTO სტანდარტის დაცვა მოხდება მშენებლობის ეტაპზე.

**B.2.4. ნიადაგის ხარისხი**

Commented [USER3]: დენში არარს, წავშალო?

91. საქართველოში ნიადაგის ხარისხის შეფასების კრიტერიუმები განისაზღვრება ინსტრუქციით "ნიადაგის ქიმიური დაბინძურების დონე" (MM 2.1.7. 004-02). ნიადაგში სხვადასხვა ნივთიერებებისა და ელემენტების მაქსიმალური დასაშვები კონცენტრაციის შესახებ ინფორმაცია მოცემულია ცხრილში 8.

**ცხრილი 8: ნიადაგში სხვადასხვა ნივთიერებებისა და ელემენტების მაქსიმალური დასაშვები კონცენტრაცია**

| კომპონენტი                        | ერთეული | დონე | პროექტში გამოყენებული სტანდარტები |
|-----------------------------------|---------|------|-----------------------------------|
| დარიშხანი                         | მგ/კგ   | 2-10 | 2-10                              |
| სპილენძი                          | მგ/კგ   | 3    | 3                                 |
| ვერცხლისწყალი                     | მგ/კგ   | 2.1  | 2,1                               |
| ნიკელი                            | მგ/კგ   | 4    | 4                                 |
| ტყვია                             | მგ/კგ   | 32   | 32                                |
| თუთია                             | მგ/კგ   | 23   | 23                                |
| ნაჯერი ნახშირწყალბადები           | მგ/კგ   | 0.1  | 0,1                               |
| ფენოლი (ნაჯერი)                   | მგ/კგ   | -    | -                                 |
| ციანიდი                           | მგ/კგ   | -    | -                                 |
| სულფატი                           | მგ/კგ   | -    | -                                 |
| ქლორიდი                           | მგ/კგ   | -    | -                                 |
| ამონიუმის ნიტროგენი               | მგ/კგ   | -    | -                                 |
| აორთქლებადი ორგანული ნაერთები     |         |      |                                   |
| ბენზოილი                          | მგ/კგ   | 0.3  | 0,3                               |
158. მიწის ნაკვეთს აქვს მისასვლელი სამტრედია-ლანჩხუთი-გრიგოლეთის გზიდან, რომელიც ტერიტორიას ესაზღვრება ჩრდილოეთიდან (იხ. სურათი 1) . ქუჩა ასფალტირებულია და კარგ მდგომარეობაშია. როგორც უკვე აღვნიშნეთ, პროექტის სამშენებლო მოედანი მდებარეობს ურბანულ ადგილას: მოძრაობის მართვის დეტალური გეგმა უნდა შეიმუშაოს კონტრაქტორმა თავისი შემოთავაზებული სამუშაო მეთოდოლოგიის შესაბამისად და წარუდგინოს ინჟინერს დასამტკიცებლად.

#### C.6 ამოთხრილი მასალის განკარგვა

159. დაახლოებით 4 900 ტონა მოცულობის ზედმეტი მიწის გენერირება მოხდება მიწის სამუშაოების გამო, რომლის გატანა უნდა მოხდეს აღნიშნული ტერიტორიიდან. საქართველოს ნარჩენების მართვის კოდექსის თანახმად, ინერტული ნარჩენების გამოყენება შესაძლებელია უკუჩაყრის სამუშაოების განხორციელების მიზნით ადგილობრივ ხელისუფლებასთან წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

#### C.7. ბანაკისა და საწყობის ადგილები

160. ბანაკისა და საწყობის ადგილები მოეწყობა პროექტის სამშენებლო ადგილზე (იხ. სურათი 5). სამშენებლო ობიექტის ორგანიზაციის სქემა და ბანაკის ტერიტორიის მართვის გეგმას სამშენებლო სამუშაოების კონტრაქტორი მოამზადებს სამშენებლო საქმიანობის დაწყებამდე. სამშენებლო ბანაკის ადგილები შეირჩევა ბანაკის შესაქმნელად ადეკვატური ადგილის გათვალისწინებით, მათ შორის საპარგინე ტერიტორია მანქანა-მოწყობილობებისთვის, საწყობებისა და საამქროებისთვის, კომუნიკაციასა და ადგილობრივ ბაზრებზე წვდომისა და სენსიტიურ ზონასთან მიმდებარედ შესაბამისი დაშორების გათვალისწინებით. სამშენებლო ბანაკის ადგილმდებარეობა უნდა შეთანხმდეს ზედამხედველ კომპანიასთან და დამტკიცდეს ADB-ს მიერ.

161. კონტრაქტორი სამშენებლო ბანაკზე უზრუნველყოფს შემდეგ ძირითად ობიექტებს:

- უსაფრთხო და საიმედო წყალმომარაგება.
- ჰიგიენური სანიტარული საშუალებები და საკანალიზაციო სისტემა.

- საკანალიზაციო მოწყობილობები საყოფაცხოვრებო ნარჩენებისა და საპირფარეშოსთვის.
- წვიმის წყლის სადრენაჟო დანადგარები.
- ლაზარეთისა და პირველადი სამედიცინო დახმარების დაწესებულებები.
- რეკრეაციული ზონები.

## D. ალტერნატივების ანალიზი

შემდეგ ნაწილში მოცემულია სხვადასხვა ალტერნატივების შეფასება, მათ შორის ალტერნატივისა „არანაირი ქმედება“.

კერძოდ, IEE-ს აღნიშნული განყოფილება განიხილავს:

- ალტერნატივა „არანაირი ქმედება“.
- ალტერნატივა სამშენებლო ბანაკისა და განლაგების ადგილები.

162. საბავშვო ბაღის მშენებლობის ადგილი შეირჩა შემდეგი გარემოების გათვალისწინებით: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში სულ არის 21 საბავშვო ბაღი, საიდანაც სამი მდებარეობს სოფელ სუფსაში.
163. თუმცა, ორი მათგანი განთავსებულია დაქირავებულ კერძო სახლებში, მესამე კი - ძველ ამორტიზირებულ შენობაში. დაგეგმილია არსებული ძველი შენობის დემონტაჟი.
164. შესაბამისად, არსებობს აღნიშნული საზოგადოებრივი სერვისის ადგილობრივი მოსახლეობისთვის მიწოდების დიდი საჭიროება.
165. უმოქმედობა ან ნულოვანი ალტერნატივა გულისხმობს პროექტის განხორციელებაზე უარის თქმას, ამიტომ სოფ. სუფსას ადგილობრივი მოსახლეობისთვის საბავშვო ბაღების მომსახურების უზრუნველყოფასთან დაკავშირებული პრობლემა გადაუჭრელი რჩება.
166. ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობის ადგილი შეირჩა შემდეგი გარემოებების გათვალისწინებით: საბავშვო ბაღის შენობისა და ეზოს მოწყობის საკმარისი ფართი; მიწის საკუთრება (უპირატესობა მიენიჭა მუნიციპალურ საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთს); მიწოდების ინფრასტრუქტურის არსებობა (წყალი, ელექტროენერგია, გაზი).
167. ამ პროექტის განხორციელება ხელს შეუწყობს სოფ. სუფსას ურბანული ტერიტორიის სიცოცხლისუნარიანობის გაუმჯობესებას სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში ხარისხიანი ინფრასტრუქტურის, გაუმჯობესებული გარემოს ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებით: ახალი სათამაშო მოედნები, ბავშვების უხეში მოტორიკის გაუმჯობესება, უსაფრთხო შენობა - ხანძარსაწინააღმდეგო და უსაფრთხოების სისტემების გათვალისწინება, სუფთა და განახლებული სანიტარული ინფრასტრუქტურა, საპირპარემო და სამზარეულო, საბავშვო ბაღის შენობის



გაუმჯობესებული გეგმა; გაზრდილი სივრცე თითო ბავშვსა და მასწავლებელზე; ენერგოეფექტური საბავშვო ბაღის შენობები; საბავშვო ბაღში ბავშვებისა და მასწავლებლების სასწავლო და სამუშაო პირობების გაუმჯობესება; ბავშვებისათვის ინკლუზიური ხარისხიანი განათლების გაუმჯობესებული ხელმისაწვდომობა.

168. პროექტის პოტენციური ბენეფიციარი იქნება დაახლოებით 200 ოჯახი წელიწადში, რომლებსაც შეეძლებათ ბავშვების მიყვანა საბავშვო ბაღში სოფ. სუფსაში.

## E. საწყისი გარემო

### E.1. ზოგადი აღწერა

169. სოფ. სუფსა მდებარეობს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში, გურიის რეგიონში, მდ. სუფსის მარცხენა სანაპიროზე, სიმაღლე ზღვის დონიდან: 7 მ. სოფ. სუფსაში მდებარეობს სამტრედია-მახინჯაურის ხაზის სარკინიგზო სადგური. სოფელზე გადის საერთაშორისო მნიშვნელობის გზა.
170. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი მდებარეობს დასავლეთ საქართველოში, გურიის მთების ჩრდილო-დასავლეთით; დასავლეთით ესაზღვრება შავი ზღვის 18-კილომეტრიანი სანაპირო (კურორტი). მთიანი ზონის სოფლები მდებარეობს ზღვის დონიდან 400-500 მ სიმაღლეზე. დაბლობი ზონის სოფლებს ძირითადად ესაზღვრება კოლხეთის ეროვნული პარკი. მუნიციპალიტეტის ძირითადი ნაწილი სუბტროპიკულ ზონას წარმოადგენს. ქ. ლანჩხუთი 300 კმ-ით არის დაშორებული თბილისიდან, ბათუმიდან - 85 კმ-ით, ხოლო ფოთიდან - 42 კმ-ით. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში 16 თემი და 54 სოფელია.
171. ბადის მშენებლობისთვის შერჩეული ტერიტორია მდებარეობს სოფ. სუფსას ცენტრალურ ნაწილში.
172. საპროექტო ტერიტორიას ესაზღვრება საცხოვრებელი სახლები ეზოებით, ასევე სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არა-სასოფლო სამეურნეო მიწის ნაკვეთები - შენობებით. საჯარო სკოლა მდებარეობს საპროექტო ტერიტორიიდან დაახლოებით 100 მეტრში, სამხრეთ-აღმოსავლეთით. ჩრდილოეთით საპროექტო ტერიტორიას ესაზღვრება სამტრედია-ლანჩხუთი-გრიგოლეთის საავტომობილო გზა. უახლოესი საცხოვრებელი სახლი მდებარეობს ბადის შენობის მშენებლობისთვის გამოყოფილი მიწის ნაკვეთის კიდიდან დაახლოებით 15 მეტრში.
173. ბადის მშენებლობისთვის შერჩეული მიწის ნაკვეთი რეგისტრირებულია, როგორც მუნიციპალიტეტის საკუთრება.
174. სწრაფი გარემოსდაცვითი შეფასების (REA) თანახმად, საპროექტო ტერიტორიაზე მგრძობიარე რეცეპტორები არ აღინიშნება. გარდა ამისა, სოფ. სუფსა მდებარეობს კოლხეთის ეროვნული პარკიდან დაახლოებით 6 კმ-ში - აღმოსავლეთით და საპროექტო ტერიტორიის სიახლოვეს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები არ არის. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სამშენებლო კომპანია ვალდებულია, რომ უზრუნველყოს საბაზისო მონაცემების შეფასება, სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე.
175. საპროექტო ტერიტორიის სიახლოვეს მაცხოვრებლები სავარაუდოდ მოექცევიან პროექტის სამუშაოებით გამოწვეული ზემოქმედების ქვეშ, რაც დაკავშირებულია ხმაურთან და ემისიებთან და სატრანსპორტო ნაკადთან. თუმცა, აღნიშნული უარყოფითი ზემოქმედების მინიმინიზაცია შესაძლებელი იქნება სათანადო შემარბილებელი ღონისძიებების გატარებით.

176. პროექტს ექნება გრძელვადიანი დადებითი ზემოქმედება სოფ. სუფსის მოსახლეობაზე, განსაკუთრებით ახალგაზრდებზე და მომუშავე მშობლებზე, რომლებსაც ექნებათ წვდომა კარგად დაეგმილ და მაღალი ხარისხის მომსახურებაზე.

## **E.2. გეოლოგია, გეომორფოლოგია და სახიფათო გეოლოგიური პროცესები**

177. გეომორფოლოგიური თვალსაზრისით, ტერიტორია მდებარეობს კოლხეთის დაბლობის ნაწილში, მდ. სუფსას მარჯვენა ტერასაზე. ტერიტორია წარმოადგენს დაბლობს, რომლის ზედაპირი დასერილია მდინარეების კალაპოტებით და ხელოვნური არხებით.

178. ტერიტორია მდებარეობს საქართველოს სარტყლის დასავლეთით დაწეული ზონის კოლხეთის ქვეზონაში. აგებულია ძირითადად მეზოზოური და კაინოზოური ქანებით, რაც დაფარულია ტერიგენული და მეოთხეული ასაკის თიხოვანი დანალექებით. სუფსას დაბლობში, დაგროვილია ძირითადად ალუვიური წარმოშობის ნალექები, რაც აგებულია სხვადასხვა ქვიანი-თიხოვანი და ხრეშოვანი გრუნტით. ჭაობის ნალექები, რასაც ენაცვლება ალუვიური წარმოშობის მარცვლოვანი ქვიშა, წარმოდგენილია ტორფის ჭაობებით, ჭაობების ლამით და თიხით.

179. საქართველოში მოქმედი ნორმატიული დოკუმენტის (პნ 01.01-09 - “სეისმომედეგი მშენებლობა“) და უახლესი სეისმო-სამიშროების სქემის თანახმად, საპროექტო ტერიტორია და მის გარშემო არსებული ტერიტორიები, მდებარეობს 7-ბალიან მაკრო-სეისმური ინტენსივობის ზონაში - 50 წლის განმავლობაში 2%-იანი დაშვებით.

180. ჰიდროლოგიური თვალსაზრისით, ტერიტორია მდებარეობს საქართველოს სარტყლის არტეზიულ უბანში. ტერიტორია განთავსებულია წყალტუმბოს არტეზიული აუზის ჰიდროგეოლოგიური უბნის უკიდურეს სამხრეთ ნაწილში და განფენილია კოლხეთის არტეზიული უბნის ფოროვანი, დამსკდარი და დამსკდარი-კარსტული წყლების სამხრეთ-დასავლეთ პერიფერიაზე (ი. ბუაჩიძე, 1970).

181. გარემოს დაცვის ეროვნული სააგენტოს თანახმად, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში მეწყერი ვითარდება სამხრეთ მთიანეთის სოფლებში: აცანა, აკეთი, ნინოშვილი და სხვ. მდ. სუფსას ხეობას, ღრმალელეს სოფლიდან, აქვს ყუთის მსგავსი მოყვანილობა და ხასიათდება ძლიერი ეროზიით გვერდებზე. წყალ მოვარდნის დროს ხდება ნაპირების ინტენსიური გამორეცხვა მდინარის კალაპოტის მიხვეულ-მოხვეულ მონაკვეთებში, რასაც ხშირად მოყვება ბრტყელი ნაპირებიდან მიწის მასების მცირე მოცულობების წარეცხვა.

182. მშენებელი კონტრაქტორი ვალდებულია ჩაატაროს მიწის ნაკვეთის საინჟინრო გეოლოგიური კვლევა, რომელზეც მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად უნდა გაიცეს ექსპერტის დასკვნა. საინჟინრო გეოლოგიური კვლევის შემდეგ,

კონტრაქტორმა უნდა გადაიანგარიშოს არსებული ტიპური საპროექტო გეგმა და, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი ცვლილებები შეიტანოს საპროექტო გეგმასა და ხარჯთაღრიცხვის შესაბამის ნაწილებში.

### E.3. კლიმატისა და ჰაერის ხარისხი

183. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი მდებარეობს სუბტროპიკულ ზონაში, მის კლიმატზე მნიშვნელოვან ზემოქმედებას ახდენს შავი ზღვა, საიდანაც მომავალი ჰაერის მასები განაპირობებს უხვ ნალექს. ზღვის ზემოქმედების შედეგად, წლიური ნალექის მოცულობა შეადგენს 1 980 მმ. აგვისტო და ნოემბერი ხასიათდება უხვი ნალექით. საშუალო წლიური ტემპერატურაა 13.8°C. საშუალო ტემპერატურა ყველაზე ცხელ თვეს (აგვისტოს) შეადგენს 23.1°C, ხოლო ყველაზე ცივ თვეში - იანვარში - 4.2°C.

184. ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების მონიტორინგის განმახორციელებელი ავტომატური სადგური ლანჩხუთში არ არის. ჰაერის ხარისხის ინდიკატორულ გაზომვას ახორციელებს გარემოს დაცვის ეროვნული სააგენტო. ინდიკატორული გაზომვის თანახმად ლანჩხუთში განისაზღვრა ჰაერის ხარისხის დადებითი ინდექსები. ინდიკატორული გაზომვის შედეგად დადგინდა დაბალი მაჩვენებლები: NO<sub>2</sub>, SO<sub>2</sub> და O<sub>3</sub>.

185. პროექტის ტერიტორიაზე ჰაერის ხარისხის საბაზისო მონიტორინგი განხორციელდება დეტალური დაპროექტების დროს და აისახება საბოლოო განახლებულ IEE-სა და გარემოსდაცვითი მართვის გეგმაში (EMP).

### E.4. ხმაური და ვიბრაცია

186. ხმაურისა და ვიბრაციის შესახებ კვლევებს ჩაატარებენ სამშენებლო სამუშაოების კონტრაქტორები სამოქალაქო სამუშაოების დაწყებამდე, პროექტის ადგილზე არსებული დონის დასადგენად. შეფასდება სხვადასხვა სამშენებლო მანქანების / მექანიზმების მუშაობის შედეგად წარმოქმნილი ხმაურისა და ვიბრაციის დონე. ფონური ხმაურის გათვალისწინებით, შეფასდება მშენებლობის შედეგად გამოწვეული ხმაურის დონე უახლოეს საცხოვრებელ კორპუსებში. კონტრაქტორი შეიმუშავებს ხმაურის მართვის სპეციფიკურ გეგმას. სამშენებლო მოედნისთვის სპეციფიკური ხმაურის მართვის გეგმა მოიცავს საბაზისო გამოკვლევის შედეგებს, ხმაურის დონის შეფასებასა და შესაბამის შემარბილებელ ზომებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რომლებიც შემოდებული იქნება შედეგების საფუძველზე. კონტრაქტორი ჩაატარებს მშენებლობის დროს ხმაურისა და ვიბრაციის დონის მონიტორინგს. მონიტორინგის შედეგების საფუძველზე განახლდება ხმაურის მართვის სპეციფიკური გეგმა და განისაზღვრება და განხორციელდება შესაბამისი შემარბილებელი ზომები (საჭიროების შემთხვევაში).

### E.5. ჰიდროლოგია

187. სოფ. სუფსა მდებარეობს მდ. სუფსას მარჯვენა ნაპირზე. მდინარე სათავეს იღებს მესხეთის ქედის ჩრდილოეთ ფერდობზე, მეფისწყაროს მწვერვალის სიახლოვეს, ზღვის დონიდან 2800 მ სიმაღლეზე და უერთდება შავ ზღვას, სოფელ გრიგოლეთთან. მდინარის სიგრძეა 108 კმ, აუზის ფართობი 1130 კვ. კმ. იკვებება წვიმის, გრუნტის წყლით და თოვლით. ხასიათდება წყალდიდობებით. მაქსიმალური ნაკადი სოფელ ხიდმაღალასთან შეადგენს 700 მ<sup>3</sup>/წმ, ხოლო მინიმალური ქვედა ბიეფში - 4 მ<sup>3</sup>/წმ.

188. საპროექტო ტერიტორია მდ. სუფსიდან ჩრდილოეთით, დაახლოებით 170 მეტრში მდებარეობს.

### E.6. ნიადაგები

189. ტერიტორიაზე ძირითადად აღინიშნება ალუვიური ნიადაგი და წარმოდგენილია მდელოების ჭაობებით, რაც ხასიათდება თიხოვანი და ძლიერ თიხოვანი შემადგენლობით.

190. საქართველოს ტერიტორიაზე ნიადაგის დაბინძურების მონიტორინგის შედეგების მიხედვით (NEA, 2017), მძიმე მეტალებით ნიადაგის დაბინძურების მდგომარეობა შემდეგნაირად გამოიყურება პროექტის არეალთან ადებულ ნიმუშებში, სოფ. სუფსაში.

ცხრილი 15. ნიადაგის დაბინძურება მძიმე მეტალებით (წყარო: გარემოს ეროვნული სააგენტო)

| N                              | სპილენძი, (მგ/კგ) | თუთია (მგ/კგ) | ტყვია (მგ/კგ) | მანგანუმი (მგ/კგ) | რკინა (%) | წყალბადის მაჩვენებელი Ph |
|--------------------------------|-------------------|---------------|---------------|-------------------|-----------|--------------------------|
| 1. სუფსაში შესასვლელი          | 33.07             | 78.91         | 12.27         | 735.22            | 1.30      | 6.81                     |
| 2. ეკლესიასთან ახლოს           | 28.78             | 123.37        | 15.52         | 437.69            | 1.59      | 6.67                     |
| 3. სოფლის ცენტრი               | 14.29             | 31.85         | 10.78         | 333.75            | 1.34      | 6.67                     |
| 4. პოლიციასთან ახლოს           | 103.31            | 195.59        | 39.37         | 789.87            | 2.52      | 6.56                     |
| 5. მდინარე ხიდმაღალასთან ახლოს | 28.81             | 81.16         | 4.51          | 667.59            | 1.63      | 6.58                     |

### **E.7. ბიოლოგიური გარემო**

191. საბავშვო ბაღის შენობა აშენდება ურბანულად გარდაქმნილ ტერიტორიაზე. ბიომრავალფეროვნების მნიშვნელოვანი კომპონენტების არსებობა ნაკლებად მოსალოდნელია პროექტის ტერიტორიაზე. ფლორისა და ფაუნის სახეობების დასაცავად დამატებითი ზომები (საჭიროების შემთხვევაში) განისაზღვრება და შესული იქნება SSEMP- ში.
192. ზემოქმედება ვეგეტაციაზე სამშენებლო ფაზის დროს იქნება უმნიშვნელო ხასიათის. საპროექტო ტერიტორიაზე აღინიშნება ხეების და ბუჩქების გარკვეული რაოდენობა. ხეების მოჭრის საჭიროების შემთხვევაში, კონტრაქტორი განახორციელებს ხეების ინვენტარიზაციას და ყველა საჭირო დოკუმენტს წარუდგენს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიას, ან, წითელი ნუსხის სახეობების შემთხვევაში - საქართველოს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს.
193. წითელ წიგნში შეტანილი სახეობების შემთხვევაში კი, დოკუმენტაციას წარუდგენს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, შესაბამისი ნებართვის მისაღებად. კონტრაქტორს მოეთხოვება მოჭრილი ხეების წილ საკომპენსაციო ზომების გატარება, ნებართვისა და აზიის განვითარების ბანკის სტრატეგიის მოთხოვნების შესაბამისად.
194. კოლხეთის ეროვნული პარკის ნაწილიც, რომელიც ასევე საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიან ტერიტორიად ითვლება, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზეა განთავსებული. სოფ. სუფსა გრიგოლეთთან ახლოს მდებარე კოლხეთის ეროვნული პარკის უკიდურესი სამხრეთი ნაწილიდან, დაახლოებით 6 კმ-ით არის დაშორებული.
195. საბავშვო-ბაღის მშენებლობის და ექსპლოატაციის პროცესში რაიმე სახის ზემოქმედება დაცულ ტერიტორიებზე, ე.წ. ზურმუხტის ზონებზე, ან ტყეებზე, მოსალოდნელი არ არის.

### **E.8 სოციალურ-ეკონომიკური გარემო**

#### **მოსახლეობა**

196. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა შეადგენს 30.2 ათას ადამიანს (ეროვნული სტატისტიკის სამსახური, 2020 წ.). 1994 წელთან შედარებით, მოსახლეობის რაოდენობა შემცირებულია 30%-ით. 2014 წ. აღწერის მონაცემების შესაბამისად, სოფ. სუფსას მოსახლეობამ შეადგინა 273 მაცხოვრებელი, რომელთაგან 123 კაცია და 150 - ქალი. სოფ. სუფსა წარმოადგენს სუფსას თემის ცენტრს, რომელიც მოიცავს შემდეგ სოფლებს: სუფსა, ახალსოფელი, გრიგოლეთი, მალთაყვა, ტაბანათი, ჩხუნი, ხიდმაღალა. თემის მოსახლეობა შეადგენს 3250 მაცხოვრებელს.

#### **ეკონომიკა**

197. ბაქო-სუფსას ნავთობსადენი და სუფსას ტერმინალი უმნიშვნელოვანესია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ეკონომიკისთვის.
198. ეროვნული სტატისტიკის სამსახურის მონაცემების თანახმად, უმუშევრობა გურიის რეგიონში შეადგენს 2.5%-ს, რაც მნიშვნელოვნად დაბალი მაჩვენებელია საქართველოს მასშტაბით უმუშევრობის საშუალო მაჩვენებელთან (11.6%) შედარებით. აღნიშნული აიხსნება სოფლის მეურნეობაში თვით-დასაქმების მაღალი კოეფიციენტით.
199. სოფლის მეურნეობაში განვითარებულია ციტრუსების კულტურა და მსხვილფეხა საქონელი. რეგიონში ძირითადად გავრცელებულია ხორბალი, პარკოსანი მცენარეები და მებაღეობა. ბოლო წლებში ფართოდ გავრცელდა ასევე თხილიც, (თხილის) ექსპორტის ზრდის საფუძველზე. ზოგადად, სოფელში მცხოვრებ თითოეულ ოჯახს ჰყავს 2-3 მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, რომელთა პროდუქტის ძირითად მომხმარებელს ოჯახი წარმოადგენს.
200. ტურიზმი განვითარებულია მუნიციპალიტეტის ზღვისპირა ზონაში (წყალწმინდა, გრიგოლეთი, მალთაყვა).

#### E.10. ინფრასტრუქტურა

201. სამტრედია-მახინჯაურის რკინიგზის მონაკვეთი, ასევე სამტრედია-გრიგოლეთის (S-12) და სარფი-სენაკის (S-2) საერთაშორისო მნიშვნელობის გზების მონაკვეთები, გადის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე. ჯაპანა-აბაშის და ლანჩხუთი-ნასაკირალის სახელმწიფო მნიშვნელობის გზებიც, ასევე გადის სოფლის ტერიტორიაზე.

#### E.10. განათლება

202. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში სულ 25 საჯარო სკოლაა, საიდანაც ერთი სოფ. სუფსაში მდებარეობს (მოსწავლეების რაოდენობაა 275, მასწავლებლების რაოდენობა - 36).
203. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში არის ასევე სკოლამდელი განათლების ცენტრი, რომელიც ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის იურისდიქციის ქვეშ არის და განაგებს 21 საბავშვო ბაღს, 416 თანამშრომელს და 1200 აღმზრდელ-პედაგოგს.
204. დღესდღეობით, სოფ. სუფსაში სულ სამი საბავშვო ბაღია, თუმცა, ორი მათგანი განთავსებულია დაქირავებულ კერძო სახლებში, მესამე კი - ძველ ამორტიზირებულ შენობაში.

#### E.11 კულტურული მემკვიდრეობა

205. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში წარმოდგენილ კულტურული მემკვიდრეობის

ძეგლებს შორის აღსანიშნავია სოფ. ნიგოეთთან მდებარე ჯიხეთის მონასტერი. ასევე აღსანიშნავია სოფ. აკეთში არსებული ეკლესიებიც. ლანჩხუთში არის ასევე მუზეუმი.

206. კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები სოფ. სუფსაში არ არის.

207. პოტენციური არქეოლოგიური ღირებულების არტეფაქტების აღმოჩენის შემთხვევაში, შემდეგი ზომები მიიღება:

- სამშენებლო მუშაკები ვალდებული არიან შეაჩერონ სამუშაოები და დაუყოვნებლივ შეატყობინონ ზედამხედველ კომპანიას.
- არქეოლოგიური ზედამხედველი აღმოჩენისა და აღმოჩენის ადგილის პირველად შემოწმებას ატარებს;
- თუ აღმოჩენას პოტენციური არქეოლოგიური ღირებულება არ გააჩნია, არქეოლოგიური ზედამხედველი ატყობინებს უფროს ინჟინერს და სამუშაოები განახლდება. ჩანაწერთა წიგნში აღნიშნულთან დაკავშირებით შესაბამის ჩანაწერი გაკეთდება.
- თუ აღმოჩენა შეფასდება, როგორც პოტენციური არქეოლოგიური რელიქვია, ამის შესახებ, არქეოლოგიური ზედამხედველი ატყობინებს სამშენებლო მენარდის მთავარ ინჟინერს და საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის გარემოს დაცვის სპეციალისტებს (და ზედამხედველ კომპანიას/ინჟინერს) მოთხოვნით, რომ შეჩერდეს სამშენებლო სამუშაოები და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს გაეგზავნოს შეტყობინება აღნიშნული შემთხვევის.
- სამშენებლო მენარდის მთავარი ინჟინერი ანგარიშს უგზავნის საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდს, რომელში ატყობინებს შეჩერებული სამუშაოების შესახებ და მოითხოვს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს ჩართვას;
- სააგენტო ექსპერტს ან ექსპერტთა ჯგუფს დანიშნავს და აუცილებელ არქეოლოგიურ სამუშაოებს ჩაატარებს ადგილზე პრობლემის შესწავლის მიზნით.
- მარტივ შემთხვევებში, გადაადგილებადი არტეფაქტების ამოღების, მასალების დაფიქსირებისა და სხვა საჭირო სამუშაოების ჩატარების შედეგად, სააგენტოს ექსპერტები შეჩერებული სამშენებლო სამუშაოების განახლების შესახებ გადაწყვეტილებას მიიღებენ.
- განსაკუთრებულ შემთხვევებში, როდესაც აღმოჩენილია ღირებული და სივრცეში მიმოხვეული არტეფაქტები, სააგენტომ შეიძლება პროექტის სამუშაოების არქეოლოგიური აღმოჩენიდან უსაფრთხო მანძილზე გადატანა მოითხოვოს.

## E.12. ტურიზმი

208. ტურიზმის განვითარების პოტენციალის თვალსაზრისით, აღსანიშნავია მუნიციპალიტეტის ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა ქუთაისის აეროპორტთან და ფოთის პორტთან სიახლოვის გამო, ასევე აღსანიშნავია საერთაშორისო მნიშვნელობის გზების არსებობა, მუნიციპალიტეტში



წარმოდგენილი ისტორიულ-კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობა და ადგილობრივი ტრადიციები.

209. ლანჩხუთში მდებარეობს ასევე საზღვაო კურორტი გრიგოლეთი, რომელიც მრავალ დამსვენებელს იზიდავს. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში მდებარეობს ასევე კოლხეთის ეროვნული პარკიც, რომელიც ასევე საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი ტერიტორიით არის ცნობილი. კოლხეთის ეროვნული პარკი გვთავაზობს ნიჩბოსნობის ტურებს ფიჩორის ხეობაში, ასევე სპორტულ თევზაობას, ფრინველებზე დაკვირვებას და ეკო-საგანმანათლებლო ტურებს. ვიზიტორებისთვის შემუშავებულია სხვადასხვა ტიპის და სიგრძის 7 მარშრუტი. მოწყობილია საინფორმაციო დაფები, საპიკნიკე ადგილები, ვიზიტორებისთვის განსაზღვრული საცხოვრისები, საწოლი ადგილები, ფრინველებზე დაკვირვებისთვის გამოყოფილი ადგილები და სადამკვირვებლო კოშკი. ტურისტები შესაძლოა განთავსდნენ პარკის ვიზიტორთა ცენტრში.
210. შესანიშნავი ტურისტული ატრაქციია ასევე აკიბულას ჩანჩქერი სოფელ აცანაში, ჩინებული საქეხიას კანიონი მდინარე აცაურას და ჯაპანას ტბის მარჯვენა შენაკადზე.

## **F. გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედება და ზემოქმედების შერბილების ღონისძიებები**

### *F.1 მეთოდოლოგია*

211. IEE პროცესი შედგება ექვსი ძირითადი ღონისძიებისგან, რომლებიც საერთოა საერთაშორისო სტანდარტებით ჩატარებული მსგავსი კვლევებისათვის:
1. საკვლევ არეში ბიოფიზიკური და სოციალური გარემოს აღმწერი საბაზისო მონაცემთა ბაზის შეგროვება; თეორიული და საველე კვლევები არსებულ მონაცემთა ბაზაში ნაკლოვანებების შესავსებად; მნიშვნელოვან უარყოფით ზეგავლენას დაქვემდებარებული არეებისა და საკითხების შესახებ ინფორმაციის განახლება.
  2. შეთავაზებული სამუშაოების მოსალოდნელი დადებითი და უარყოფითი ზეგავლენის დადგენა; შესაძლო პოტენციური უარყოფითი გავლენის აღბათობისა და მნიშვნელობის შეფასება; შემარბილებელი ზომების შემუშავება.
  3. ადგილმდებარეობის, ტექნოლოგიის, პროექტისა და მუშაობის კუთხით ალტერნატივების („არა საპროექტო“ ალტერნატივების ჩათვლით) ანალიზი.
  4. გარემოს დაცვის მართვის გეგმის შემუშავება.
  5. IEE ანგარიშის შედგენა.

6. ინფორმაციის გამჟღავნება და დაინტერესებულ მხარეთა კონსულტაცია.
212. თითოეული ზეგავლენის აღწერას უნდა ახასიათებდეს: (i) ღონისძიებების ტიპი (ii) ღონისძიებების მასშტაბი და (iii) პროექტის არე.
213. ზეგავლენის შეფასების ზოგადი მეთოდოლოგია მოცემულია 1 დანართში. მეთოდოლოგია აღწერს ზეგავლენის დადგენისა და განსაზღვრის, მნიშვნელობის შეფასების, შერბილებისა და ეფექტური პრაქტიკის პროცესს. როდესაც პროექტი გარემოზე არასასურველ გავლენას ახდენს, ამ გავლენის შერბილების ზომები უნდა გამოვიყენოთ (გარდა იმ საპროექტო ზომებისა, რომლებსაც თავად პროექტი მოიცავს). გარდა ამისა, ეფექტური პრაქტიკის ზომების შეთავაზებაც შეიძლება, თუმცა ისინი ზეგავლენის მნიშვნელობას ვერ შეცვლიან. დადებითი ზეგავლენის შემთხვევაში, შეთავაზებულია მართვის ზომები, რათა მოხდეს სარგებლის ოპტიმიზაცია.
214. არასასურველი ზეგავლენის შერბილების პრაქტიკის შერჩევასა შერბილების შემდეგი იერარქია გამოიყენება (დალაგებულია უპირატესობის მიხედვით):
- (i) ზეგავლენის თავიდან არიდება მისი გამომწვევი მიზეზების აღმოფხვრით.
  - (ii) ზეგავლენის მაქსიმალურად შემცირება მისი გამომწვევი მიზეზის შეზღუდვით.
  - (iii) ზეგავლენის გაუმჯობესება ზეგავლენის მიზეზებისგან ზეგავლენის ობიექტის დაცვით.
  - (iv) ზეგავლენის კომპენსირება, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ზეგავლენა ძალზე დიდია და ზემოთ მოცემული პუნქტები არ გამოგვადგება.

*F.2 მოკლე ინფორმაცია ღონისძიებებისა და მოსალოდნელი ზეგავლენის შესახებ*

215. ეს პროექტი დადებითად აისახება სოფ. სუფსას მოსახლეობაზე, სკოლამდელი ასაკის სკოლამდელი ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების წყალობით.
216. შესაძლოა დროებით ზეგავლენები, რომლებიც სამშენებლო სამუშაოებს უკავშირდება. წინა სამშენებლო, სამშენებლო და სამუშაო ფაზებში ამგვარ ზეგავლენებთან საბრძოლველად აუცილებელია მათი შერბილება, რაც ამ თავში არის აღწერილი. პროექტის ფარგლებში ჩასატარებელია ღონისძიებები 3 ეტაპად შევისწავლეთ:

**ეტაპი 1: წინა სამშენებლო ღონისძიებები**

217. განხილულ იქნა წინა სამშენებლო ღონისძიებების შესაძლო ეფექტი გარემოზე (მენარდის ოფისის აგება, აღჭურვილობის განთავსება, ადგილის მომზადება და მისასვლელების ადეკვატურობა). აღნიშნული ღონისძიებები გარემოს არსებულ პირობებს არ აუარესებს.

218. სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე მენარდე ჩატარებს წინა სამშენებლო კვლევებს (ხმაური და ვიბრაცია, ნიადაგისა და ჰაერის დაბინძურება, ფლორისა და ფაუნის ჯიშების საველე შესწავლა). მშენებლობის დაწყებამდე, საპროექტო ადგილის გარემოსდაცვით მართვის გეგმაში შევა ყველა იმ ადგილის აღწერა და ფოტო მასალა, სადაც საპროექტო სამუშაოები განხორციელდება.

### **ეტაპი 2: სამშენებლო სამუშაოები**

219. პროექტის განხორციელებისას გარემოზე შემდეგი ზეგავლენა მოხდება: ხმაური, ვიბრაცია, მტვერი, თხევადი და მყარი ნარჩენები. მშენებლობის ეტაპზე საზოგადოების ჯანმრთელობა და უსაფრთხოება მნიშვნელოვანი საკითხია, რადგან პროექტის ობიექტთან ახლოს საცხოვრებელი სახლები მდებარეობს. მშენებლობის ეტაპზე წარმოქმნილი გავლენა მოკლევადიანია და არსებულ პირობებს არ გააუარესებს.

220. მენარდე ვალდებულია, სამუშაოები შეასრულოს მოქმედი გარემოსდაცვით სტანდარტების შესაბამისად და აღადგინოს (პირვანდელი ან უკეთესი სახე დაუბრუნოს) ადგილებს, რომლებმაც სამშენებლო სამუშაოების შედეგად სახე იცვალეს..

### **ეტაპი 3: მუშაობა**

221. მუშაობის ეტაპის შესაძლო ეფექტები გარემოზე ინფრასტრუქტურის მოვლიდან წარმოიქმნება და მყარ ნარჩენებსა და ჩამდინარე წყლებს უკავშირდება.

222. ეს თავი მოკლედ აღწერს სამუშაოების ჩატარების ადგილზე პროექტის სხვადასხვა ეტაპებზე წარმოქმნილ ზეგავლენებს (იხ. ცხრ. 16).

ცხრილი 16. სამუშაოების ჩატარების ადგილზე პროექტის სხვადასხვა ეტაპებზე წარმოქმნილ ზეგავლენების მოკლე აღწერა

| სამშენებლო ეტაპი      |                         |                          |           |          |         |   |
|-----------------------|-------------------------|--------------------------|-----------|----------|---------|---|
| ადგილი                | ღონისძიება              | გარემოსდაცვითი ასპექტები | ზეგავლენა | ალბათობა | რისკი   | შენიშვნა  |
| საბავშვო ბაღის ადგილი | ძველი შენობის დემონტაჟი | ხმაური                   | ზომიერი   | მაღალი   | ზომიერი | სიახლოვეში მგრძობიარე რეცეპტორები არ არის                       |
|                       |                         | ჰაერის ხარისხი           | ზომიერი   | მაღალი   | ზომიერი | სიახლოვეში მგრძობიარე რეცეპტორები არ არის                       |
|                       |                         | მყარი ნარჩენები          | ზომიერი   | მაღალი   | საშუალო | სიახლოვეში მგრძობიარე რეცეპტორები არ არის                       |
|                       | მიწის სამუშაოები        | ჭარბი ნიადაგი            | საშუალო   | მაღალი   | საშუალო | ჭარბ ნიადაგს წინასწარ შერჩეულ და შეთანხმებულ ადგილებზე გაიტანენ |
|                       | სამშენებლო სამუშაოები   | მტვერი, ხმაური, ვიბრაცია | საშუალო   | მაღალი   | საშუალო | სიახლოვეში მგრძობიარე რეცეპტორები არ არის                       |

|  |  |   |            |            |            |   |
|--|--|---|------------|------------|------------|---|
|  |  | ზედაპირული წყლების დაბინძურება                  | მინიმალური | მინიმალური | მინიმალური | სიახლოვეში მგრძობიარე რეცეპტორები არ არის |
|  |  | არქეოლოგიურ და HC ადგილებზე ზეგავლენა           | მინიმალური | მინიმალური | მინიმალური | სიახლოვეში მგრძობიარე რეცეპტორები არ არის |
|  |  | ფლორა და ფაუნა                                  | მინიმალური | მინიმალური | მინიმალური | სიახლოვეში მგრძობიარე რეცეპტორები არ არის |
|  |  | ინფრასტრუქტურა და ტრანსპორტი                    | საშუალო    | ზომიერი    | ზომიერი    | სიახლოვეში მგრძობიარე რეცეპტორები არ არის |
|  |  | ნარჩენები                                       | საშუალო    | ზომიერი    | ზომიერი    | სიახლოვეში მგრძობიარე რეცეპტორები არ არის |
|  |  | OHS / საზოგადოებრივი ჯანმრთელობა და უსაფრთხოება | საშუალო    | ზომიერი    | ზომიერი    | სიახლოვეში მგრძობიარე რეცეპტორები არ არის |
|  |  | საგანგებო                                       | საშუალო    | ზომიერი    | ზომიერი    | სიახლოვეში მგრძობიარე რეცეპტორები არ არის |
|  |  | ლანდშაფტის ვიზუალური ცვლილება                   | საშუალო    | ზომიერი    | ზომიერი    | სიახლოვეში მგრძობიარე რეცეპტორები არ არის |

|                             |         |   |                |                |                |  |
|-----------------------------|---------|---|----------------|----------------|----------------|--|
|                             |         |   |                |                |                | რე<br>რეცეპტორე<br>ბი არ არის                                |
| სამშენებ<br>ლო<br>ბანაკი    | მუშაობა | მყარი ნარჩენები   | საშუალო        | მაღალი         | საშუალო        | სიახლოვეშ<br>ი<br>მგრძნობია<br>რე<br>რეცეპტორე<br>ბი არ არის |
| სამუშაო ეტაპი               |         |   |                |                |                |  |
| საბავშვო<br>ბაღის<br>ადგილი | მუშაობა | გენერირებადი<br>საგზაო მოძრაობა                               | მინიმალუ<br>რი | საშუალო        | მინიმალუ<br>რი | სიახლოვეშ<br>ი<br>მგრძნობია<br>რე<br>რეცეპტორე<br>ბი არ არის |
|                             |         | ნარჩენებითა და<br>ჩამდინარე<br>წყლებით<br>გამოწვეული<br>რისკი | მინიმალუ<br>რი | საშუალო        | მინიმალუ<br>რი | სიახლოვეშ<br>ი<br>მგრძნობია<br>რე<br>რეცეპტორე<br>ბი არ არის |
|                             |         | ემისია  | მინიმალუ<br>რი | მინიმალუ<br>რი | მინიმალუ<br>რი | სიახლოვეშ<br>ი<br>მგრძნობია<br>რე<br>რეცეპტორე<br>ბი არ არის |
|                             |         | ხმაური და<br>ვიბრაცია   | მინიმალუ<br>რი | მინიმალუ<br>რი | მინიმალუ<br>რი | სიახლოვეშ<br>ი<br>მგრძნობია<br>რე<br>რეცეპტორე<br>ბი არ არის |

*F.3 გარემოს დაცვის საჭირო დოკუმენტები*

223. მშენებლობის დაწყებამდე, მენარდე ვალდებულია ჩაატაროს კვლევები და შეადგინოს გეგმები, მათ შორის:

1. **სამშენებლო მოედნის სპეციფიკური გარემოს დაცვის გეგმა (SEMP)** (საპროექტო ადგილის გარემოსდაცვითი მართვის გეგმა)
2. **საგზაო მოძრაობის მართვის გეგმა**

### 3. ხმაურისა და ვიბრაციის მართვის გეგმა

4. მოსაჭრელი ხეების ინვენტარიზაცია (საჭიროების შემთხვევაში): უნდა წარედგინოს ლანჩხუთის მერიას, თუ მოსაჭრელია წითელ წიგნში შეტანილი ჯიშის ხეები - MoEPA-ს, რომელიც შესაბამის ნებართვას გასცემს და ხეების დარგვის საკომპენსაციო გადასახადს მიუთითებს.

5. ნარჩენების მართვის გეგმა: პროექტის ფარგლებში განხორციელებული მიწის სამუშაოების შედეგად მიიღება ინერტული ნარჩენების დიდი რაოდენობა (დაახლ. 4 900 ტ. ჭარბი ნიადაგი, რომელიც საპროექტო ადგილის გარეთ უნდა გავიდეს და განთავსდეს). საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, ინერტული ნარჩენების გამოყენება შეიძლება ამოსავსებად ან სამშენებლო მიზნებისთვის, სახელმწიფო ან მუნიციპალურ ორგანოებთან შეთანხმებით. ამოვსების ოპერაციებისათვის ინერტული ნარჩენების განთავსების ადგილს ლანჩხუთის მერია განსაზღვრავს. ნარჩენების მართვის გეგმა უნდა შემუშავდეს და დასამტკიცებლად გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს (გდსმს) წარედგინოს, თუ წარმოქმნილი ნარჩენების ოდენობა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ზღვარს გადააჭარბებს (1000 ტონაზე მეტი ინერტული ნარჩენები, 200 ტონაზე მეტი არასახიფათო ნარჩენები და 120 კგ-ზე მეტი სახიფათო ნარჩენები).

6. აზბესტის შემცველი ნარჩენების მართვის გეგმა მომზადდება, თუ აზბესტის შემცველი მასალები პროექტის განხორციელების ეტაპზე გამოიყენება.

7. ჯანდაცვისა და უსაფრთხოების გეგმა და COVID-19-ის საწინააღმდეგო ზომები;

8. საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმა

9. სამშენებლო ბანაკის მართვის გეგმა

10. ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების გამოყოფის სტაციონარული წყაროების შესახებ ტექნიკური ანგარიში (საჭიროების შემთხვევაში) დასამტკიცებლად წარედგინოს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს.

224. კონტრაქტორს მოეთხოვება:

- გარემოს, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების (EHS) ოფიცრის დასაქმება, რომელიც პასუხისმგებელია საპროექტო ადგილის გარემოსდაცვითი მართვის გეგმის მომზადებაზე, უსაფრთხოების მოთხოვნების დაცვა, საპროექტო ადგილის გარემოსდაცვითი მართვის გეგმის და გარემოს, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვასთან დაკავშირებულ სხვა სახელშეკრულებო დებულებების შესრულება,

თემების მხრიდან შემოსული საჩივრების განხილვა, ნებისმიერი მაკორექტირებელი მოქმედების განხორციელება, კოორდინაცია სააგენტოსთან და შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდისთვის და SC- სთვის.

225. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი პასუხისმგებელია ექსპლოატაციის ეტაპზე გრუნტის წყლის ამოღების ლიცენზიის მიღებაზე.

#### 1 F.4 ჰაერის ხარისხი

##### **ზეგავლენა**

226. სამშენებლო ღონისძიებებში ჩართულია მძიმე დანადგარები, ბულდოზერები, ექსკავატორები, გრეიდერები (მიწის მოსწორებისა და სხვა სახის მიწის სამუშაოებისათვის); ავტომობილები და აღჭურვილობა სამშენებლო მასალების, მუშების ტრანსპორტირებისთვის და სამუშაო არედან ნარჩენების გატანისთვის. მძიმე მანქანა-დანადგარების, ავტომობილების და სხვა სამშენებლო აღჭურვილობის მუშაობა ნახშირბადის ჟანგის, NO<sub>x</sub>, SO<sub>2</sub>, ნახშირწყალბადების და ნაწილაკების გამოყოფას იწვევს.

227. სამშენებლო სამუშაოების დროს მტვრის გამოყოფა უკავშირდება:

1. მიწის სამუშაოებს, ნიადაგის ზედა ჰორიზონტის მოჭრას, ექსკავაციას;
2. ამოთხრილი მიწის შენახვას და ტრანსპორტირებას (ნიადაგის ზედა და ქვედა ჰორიზონტის შესანახ ადგილებზე გადატანა);
3. მიმწოდებლისგან ფხვიერი მასალების გადმოტანას (ქვიშა, ხრეში, ცემენტი და ა. შ.);
4. სამშენებლო მასალების შენახვას.

228. ემისია და მტვერი გავლენას ახდენს მშენებლობასთან განლაგებულ სახლებსა და მასალების ტრანსპორტირების გეზის მიმდებარე დასახლებულ პუნქტებზე. ავტომობილების გამონაბოლქვი და მათგან წარმოქმნილი მტვერი ყველა სამშენებლო სამუშაოს ახასიათებს. ამ ზეგავლენის მთავარი ობიექტებია პროექტის ადგილთან სიახლოვეში განლაგებული წარმომადგენელთა ოფისები, მაღაზიები, საცხოვრებელი სახლები. სამშენებლო მოედნიდან უახლოეს საცხოვრებელ სახლებამდე მანძილია 35 მ. ეს არის დროებით გავლენა და თუ ის სათანადოდ არ შერბილდება, ფასდება, როგორც საშუალო ეფექტური სამშენებლო პრაქტიკის შემთხვევაში ზეგავლენები მინიმუმამდე მცირდება და მისაღებ დონეზე ნარჩუნდება.



## შერბილება

229. შედარებით მაღალ ზეგავლენას მტვრის გამოყოფა ახდენს, მისი აღრიცხვა კი, პრაქტიკულად, შეუძლებელია. თუმცა, ცხადია, რომ მიწისა და დემონტაჟის სამუშაოები, ისევე, როგორც ხრეშისა და სათადარიგო თხრილებიდან სხვა ინერტული მასალებისა და სამშენებლო ნარჩენების ნაგავსაყრელამდე ტრანსპორტირება მტვრით გამოწვეულ დისკომფორტს ზრდის. ეს არის დროებით ზეგავლენა. მისი შერბილება შემდეგი ზომებით ხდება:

- დემპირება მფრქვევანებიანი წყალ ცისტერნებისა და სხვა ტექნიკური საშუალებების გამოყენებით;
- სამშენებლო მასალებისა და დასაწყობებული მასალების შემოდობვა;
- მტვრის ამრეკლების შემოვლება დემონტაჟის დროს;
- ტრანსპორტირებადი მასალების გადაფარვა / დასველება;
- მშენებლობის ადგილი წყლით უნდა მოირწყას;
- საჭიროების შემთხვევაში მუშები დამცავი აღჭურვილობით იმუშავენ;

230. მშრალ პირობებში ან ჭარბი მტვრიანობის პირობებში, როდესაც საჭიროა შერბილების დამატებითი ზომების გამოყენება, ისინი მშენებლობის მენეჯერს უნდა შეეუთანხმონ.

231. მძიმე მანქანა-დანადგარების გამონაბოლქვის შესამცირებლად საჭიროა ძრავების სათანადო ტექნიკური მომსახურება და ხარისხიანი საწვავი. როდესაც სამუშაოები არ სრულდება, დაუშვებელია ძრავის მუშაობა. ავტომობილების საწვავით გამართვისას თავიდან უნდა ავირიდოთ აქროლადი ორგანული შენაერთების ემისია, რისთვისაც საწვავის საცმი, ტუმბოების და დახურული ავზებით უნდა ვისარგებლოთ (საწვავის შესანახად ღია კონტეინერების გამოყენება დაუშვებელია). ყველა ავტომობილი უნდა მოწმდებოდეს და საჭიროების შემთხვევაში შეკეთდეს, რათა დაზიანებულმა ძრავებმა ჭარბი გამონაბოლქვი არ გამოიწვიოს; საჭიროა სატვირთო გეზების შედგენა და საჭიროების შემთხვევაში ავტომობილების სიჩქარის შეზღუდვა. ადგილზე მასალების ტრანსპორტირება არა პიკის საათებში უნდა განხორციელდეს.

## მუშაობის ეტაპი

232. მუშაობის ეტაპზე გარემო ჰაერზე მინიმალური ზეგავლენაა მოსალოდნელი. პროექტში გამოყენებული ბოილერი გამონაბოლქვის ევროპულ სპეციფიკაციებთან შესაბამისობაში იქნება.

*F.5 ხმაური და ვიბრაცია*

## ზეგავლენა

233. სამშენებლო სამუშაოები და მანქანა-დანადგარების (ბულდოზერები, ექსკავატორების, გრეიდერები, ავტომობილები) მუშაობა ხმაური და ვიბრაციის დონის მატებას გამოიწვევს. საინჟინრო დანადგარებსა და ავტომობილებს მოძრაობა და ხმაური ახასიათებს (80~90 dB 5 მ. მანძილზე).
234. ხმაური და ვიბრაცია ადგილობრივ მოსახლეობას, დასაქმებულებსა და ახლო მდებარე დაწესებულებებს დისკომფორტს შეუქმნის, ასევე გავლენას ახდენს მასალების ტრანსპორტირების გეზის გასწვრივ მდებარე საცხოვრებელ უბნებზე. ავტომობილებისა და დანადგარების მუშაობით გამოწვეული ხმაური ყველა სახის სამშენებლო სამუშაოებს ახასიათებს. ყველაზე მეტად ხმაურისა და ვიბრაციის ზემოქმედებას პროექტის ადგილთან სიახლოვეში განლაგებული სახლები ექვემდებარება. ეს არის დროებით გავლენა და თუ ის სათანადოდ არ შემცირდება, ფასდება, როგორც საშუალო. ეფექტური სამშენებლო პრაქტიკის შემთხვევაში ზეგავლენები მინიმუმამდე მცირდება და მისაღებ დონეზე ნარჩუნდება.
235. კონტრაქტორს მოეთხოვება კვლევის ჩატარება, ხმაურის და ვიბრაციის მართვის გეგმის შედგენა სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე, რაც ხმაურისა და ვიბრაციის სათანადო შესამცირებელ დონის მიხედვით და მონიტორინგის გეგმას გულისხმობს.

### **შერბილება**

236. ხმაურის შემცირების ყველაზე ეფექტური ზომაა ხმაურის წყაროს კონტროლი. ხმაურის წყარო წინასწარ უნდა გაკონტროლდეს, სანამ ის პოტენციურად შემაწუხებელ ხმაურს არ წარმოქმნის. სამშენებლო ხმაური, ძირითადად, ორი ტიპის წყაროდან წარმოიქმნება: (i) სტაციონარული დანადგარები და (ii) მოძრავი აღჭურვილობა.
237. *ნაკლებ ხმაურიანი აღჭურვილობა*: აღჭურვილობით გამოწვეული ხმაურის კლების ერთ-ერთ ყველაზე ეფექტური მეთოდია ნაკლებ ხმაურიანი დანადგარების გამოყენება. ნაკლებ ხმაურიანი აღჭურვილობის გამოყენებით შესაბამისი ზეგავლენა მცირდება, ზოგ შემთხვევაში კი, საერთოდ ქრება. წყაროს კონტროლის მოთხოვნები დადებით როლს თამაშობს, რადგან უფრო ჩუმი დანადგარების შემუშავების სტიმულს იძლევა.
238. *მაყუჩები*: სამშენებლო ხმაურის უდიდესი ნაწილი შიდა წვის ძრავებისგან წარმოიქმნება. ხმაურის დიდი ნაწილი წარმოიქმნება ჰაერის შეწოვისა და გამონაბოლქვის ციკლით. ძრავის ხმაურის კონტროლში მნიშვნელოვან როლს სათანადო მაყუჩები თამაშობენ.
239. *დამცავი ეკრანები*: ამათუ იმ აღჭურვილობაზე დამატებული დამცავი ეკრანები ეფექტურია, განსაკუთრებით, სტაციონარული აღჭურვილობის შემთხვევაში, როდესაც საჭიროა მაღალი დონის ხმაურის შემცირება.
240. *საფარველები*: ხმაურის საფარველები ხმის მშთანთქავ წარმოადგენს, რომელიც

უშუალოდ აღჭურვილობას ან აღჭურვილობაზე დამაგრებულ სამაგრებზე იფარება. საფარველები არის რეზინის, ტყვიის შემცველი ტექსტურის ან პოლივინილ ქლორიდის. ხმის საფარველები სასარგებლოა, როდესაც დამცავი ეკრანების ხშირად მოხსნა-დაყენება გვიწევს ან საჭიროა აღჭურვილობის მხოლოდ ნაწილობრივი დაფარვა.

241. *გარსაცმები*: სტაციონარული დანადგარების გარსაცმები მზადდება ხის ან სხვა მასალისგან. მათ მეშვეობით კონკრეტულ სამუშაო არეს ან აღჭურვილობას შემოვლობავთ. კედლები შეიძლება ხმის მშთანთქმელი მასალით დაიფაროს, რათა თავად სტრუქტურის შიგნით დაიხშოს ხმა. გარსაცმები ისე უნდა იყოს დამზადებული, რომ მათი აღმართვა და დაშლა გაიოლდეს.
242. გარკვეულ სიტუაციებში, მაგ., პროექტის ურბანული არე ან იზოლირებული ადგილები, შესაძლოა დაგვჭირდეს სამუშაო არის მიმდებარე ან გზის პირზე ბარიერების აღმართვა. ეს შეიძლება იყოს ბუნებრივი, დროებითი ან მუდმივი შემოღობვა.
243. შემცირების დროებითი ტექნიკა გულისხმობს დროებით ანდა მოძრავი შემოღობვის გამოყენებას, როგორც სპეციფიური, ისე არასპეციფიური ოპერაციებისთვის. ზოგი ტიპის შემოღობვა მობილური, ანუ გადაადგილებადია, ზოგი კი საჭიროებს მრავალჯერ აღმართვას და დაშლას, რათა მოძრავი ტიპის სამუშაოები შემოიღობოს. ასეთ ბარიერების მაგალითია ხმის ფარდები, რომლებიც ტრალიერებზე მაგრდება და ქმნის მოძრავ, დროებით ხმის ბარიერს.
244. პროექტთან დაკავშირებული ხმაურის დონის მოთხოვნების, სპეციფიკაციებისა და აღჭურვილობასთან მუშაობის (მათ შორის, სამშენებლო ხმაურის დონის გაზომვების) მხრივ ზედამხედველმა კომპანიამ შეიძლება შესაბამისი ტრენინგები ჩაატაროს, რათა დაცული იყოს კონტრაქტში მოცემული სპეციფიკაციები.
245. სამუშაო დრო და მშენებლობის განრიგი გონივრულად უნდა შედგეს. საინჟინრო ერთეულებმა სამუშაო დრო გონივრულად უნდა გაანაწილონ. 22:00-დან მომდევნო დღის 08:00-მდე საინჟინრო ღონისძიებები მკაცრად აკრძალულია, თუ ამას არ მოითხოვს პროექტი.
246. რაც შეეხება საცხოვრებელი სახლების, საგანმანათლებლო და სამედიცინო დაწესებულებების სიახლოვეში სამუშაოებს, თუ ხმაურის, ვიბრაციისა და მტვრის დონე დასაშვებს აჭარბებს, სამშენებლო სამუშაოები უნდა შეჩერდეს, სანამ დამატებით შესამცირებელი ღონისძიებები არ ჩატარდება. სამშენებლო სამუშაოები არ განახლდება, სანამ ხმაურის დონე ნორმის ფარგლებში არ ჩადგება.

### **მუშაობის ეტაპი**

247. მუშაობის ეტაპზე ხმაურისა და ვიბრაციის გავრცელება მოსალოდნელი არ არის.

## **F.6 წყლის ხარისხი**

### **ზეგავლენა**

248. პროექტის განხორციელებისას ზედაპირული და გრუნტის წყლის დაბინძურების რისკი მინიმალურია. საპროექტო ადგილის მდინარე ჩხუმის სიახლოვეში მდებარეობს. ამოთხრილი ნიადაგის არასათანადო განთავსებამ, სამშენებლო ბანაკის არასათანადო მართვამ, სამშენებლო მასალების არასათანადო შენახვამ და საწვავისა და საპოხი მასალების გაჟონვამ შეიძლება ზედაპირული და გრუნტის წყლის დაბინძურება გამოიწვიოს.

249. წყლის ობიექტების არსებობა საპროექტო ტერიტორიის სიახლოვეს არ აღინიშნება.

### **შემცირება**

250. განხორციელება შემცირების შემდეგი ღონისძიებები:

- სამუშაოების მიმდინარეობის ადგილზე დარჩება ეროზიის კონტროლისა და დაღეკვის აღჭურვილობა, მათ შორის, სალექარი და ჩალიანი ტომრების ბარიერები ან მათ კომბინაცია;
- საპოხი მასალები, საწვავი და სხვა ნახშირწყალბადები წყალსატევებიდან 50 მ. მანძილზე შეინახება,
- ნიადაგის ზედა ჰორიზონტის მასალა არ შეინახება იქ, სადაც ბუნებრივი დრენაჟი დარღვეულია.
- მყარი ნარჩენები სათანადოდ განთავსდება (არ ჩაიყრება ნაკადებში).

251. სამშენებლო ეტაპის დროს მენარდეს მოეთხოვება მოაწყოს, შეინარჩუნოს, მოაცილოს და საჭიროებისამებრ აღადგინოს დროებითი დრენაჟი, მიიღოს ყველა აუცილებელი ზომა საკუთრებისა და მიწის სამუშაოების შედეგად დატბორვით და შლამით დაზიანებისგან თავის ასარიდებლად. მენარდე პასუხისმგებელია უზრუნველყოს, რომ სამშენებლო მასალები ან სამშენებლო ნარჩენები არ ხერგავდეს დრენაჟის არხებს პროექტის ადგილას.

### **მუშაობის ეტაპი**

252. მუშაობის ეტაპზე ზედაპირული წყლების დაბინძურების რისკი მოსალოდნელი არ არის.

253. პროექტით გათვალისწინებულია 8მ3/დღეში სიმძლავრის ბიოლოგიური გამწმენდი მოწყობილობის/ნაგებობის მონტაჟი. ჩამდინარე წყლის ხარისხი უნდა

აკმაყოფილებდეს საქართველოს მთავრობის #17 ბრძანების მოთხოვნებს „სამრეწველო და არა-სამრეწველო ობიექტებიდან ჩამდინარე წყლის ზედაპირული წყლის ობიექტებში დაცვის შესახებ“.

254. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი პასუხისმგებელია ექსპლოატაციის ეტაპზე გრუნტის წყლის ამოღების ლიცენზიის მიღებაზე.

*F.7 ნიადაგის ხარისხი და ნიადაგის ზედა ფენის მართვა*

### **ზეგავლენა**

- 255. დაღვრის, ნარჩენების არასათანადო მართვის, ძველი ტექნიკიდან ზეთის გაჟონვისა და სხვა ქმედებების შედეგად შესაძლებელია ნიადაგის დაზიანდობა.
- 256. პროექტის ადგილას მიწისქვეშა ინფრასტრუქტურის გადატანის ან გადაადგილების გამო შეიძლება ნიადაგი დაზიანდეს, რაც შეიძლება მოხდეს მიწის შემთხვევით დაზიანების ან დაზიანდებული ნიადაგის არასათანადო მართვის შედეგად.
- 257. ნიადაგის ზედა ფენა მიწის სამუშაოების შედეგად (ადგილის გასუფთავება, მოსწორება, თხრა) შეიძლება დაიკარგოს.

### **შემცირება**

- 258. ნიადაგის დაზიანდებისა და ნიადაგის ზედა ფენის დაკარგვის რისკის შესამცირებლად შემდეგი პრაქტიკა გამოიყენება:
  - დაახლოებით 0.3 მ. სიღრმის ნიადაგის ზედა ფენა მოიხსნება და ცალკე შეინახება (ექსკავაციის დროს), მთავარი არხის გაყვანის შემდეგ კი იგივე ნიადაგი დაიყრება ზემოდან, გრუნტიან მონაკვეთებზე; ნიადაგის ზედა ფენის მოხსნა საჭიროა როგორც სამშენებლო ადგილას და იმ ადგილებში, რომლებიც სამშენებლო მასალების შესანახად აღჭურვილობის გადასატანად გამოიყენება.
  - ნიადაგის ზედა ფენის ეროზიის თავიდან არიდების მიზნით, ნაყარის სიმაღლემ არ უნდა გადააჭარბოს 2 მეტრს, ხოლო ნაყარის დაქანება არ უნდა აჭარბებდეს 45°-ს;
  - ნიადაგის ზედა ფენის ნაყარის პერიმეტრის გასწვრივ წყალგამყვანი არხები მოეწყობა, ასევე ნაყარი დაცული იქნება ქარისაგან, რათა არ მოხდეს მისი მიმოზნევა;
  - ნიადაგის ზედა ფენის დიდი ხნით შენახვის შემთხვევაში უნდა უზრუნველვყოთ მისი ხარისხის შენარჩუნება იგულისხმება გაფხვიერება ან ბალახის დათესვა;
  - თვითმმართველი ორგანოების წინასწარი თანხმობის შემთხვევაში, ნიადაგის ჭარბი ზედა ფენის დარჩენის შემთხვევაში, ის პროექტის სხვა ადგილებზე გამოიყენება ან შესაბამის ორგანოებს გადაეცემა.
  - უნაკლო სამშენებლო ტექნიკისა და ავტომობილების გამოყენება;
  - ზეთის/საპოხის დაღვრის შემთხვევაში, მოხდება დანაღვარის უმოკლეს დროში

გატანა/გაწმენდა.

- გრუნტის წყლების დაბინძურების რისკის შემცველი მოწყობილობები მუშაობის დროს ქვესადგამებით აღიჭურვება;
- სასურველია, ავტომობილები კერძო ავტოსამრეცხაოებში გაირეცხოს;
- დროებითი წყალგამყვანი არხები;
- ორმოების დროულად ამოვსება.

### **მუშაობის ეტაპი**

259. მუშაობის ეტაპზე ნიადაგის დაბინძურების რისკი მოსალოდნელი არ არის.

#### ***F.8 ბიოლოგიური გარემო***

### **ზეგავლენა**

260. სამშენებლო ეტაპზე მცენარეებზე ზეგავლენა მინიმალურია. საპროექტო ტერიტორიაზე არის ხეები, რომელთა მოჭრა შესაძლოა საჭრო გახდეს სამშენებლო სამუშაოების წარმოების პროცესში.

#### ***შემცირება***

261. თუ პროექტის განხორციელებისას ხეების მოჭრა ან გადარგვა გახდა აუცილებელი, სამშენებლო მენარდე, მშენებლობის დაწყებამდე, მოსაჭრელი ან გადასარგავი ხეების ინვენტარიზაციას ჩაატარებს და გდსმს-ს და ლანჩხუთის მერიას წარუდგენს (წითელ წიგნში შეტანილი ჯიშების შემთხვევაში), რათა ხეების მოჭრის ნებართვა მოიპოვოს. წარმოდგენილი ინვენტარიზაციის საფუძველზე ნებართვის დოკუმენტში მითითებული იქნება საკომპენსაციო ზომები. კომპენსაციის გადახდა პროექტის ფარგლებში მოხდება, ასევე, მენარდე მაკომპენსირებელ ღონისძიებებს ჩაატარებს, ADB-ს მიერ მოწოდებული კოეფიციენტის შესაბამისად. ხეები მოიჭრება შესაბამისი სპეციალისტის ზედამხედველობის ქვეშ.

### **მუშაობის ეტაპი**

262. ბიოლოგიური გარემოს დაზიანების რისკი არ არის მოსალოდნელი.

#### ***F.9 ნარჩენების მართვა***

### **არასახიფათო ნარჩენები**

263. მენარდეს მოეთხოვება შესარულოს სამუშაოები მიღებული ნარჩენების მართვის გეგმის შესაბამისად და დაუბრუნოს დარღვეულს ადგილებს იგივე (ან უკეთესი) იერსახე, რაც სამუშაოების დაწყებამდე ჰქონდა. IA- ს დამდადასტურებელი

შეტყობინება, რომ ყველა სამუშაო და დასუფთავება შესრულებულია დამაკმაყოფილებლად, წარმოადგენს სამუშაოების მიღების ნაწილს და გადახდის პირობას.

#### **არასახიფათო ნარჩენები**

264. სამშენებლო ტერიტორიაზე წარმოქმნილ არა-სამშენებლო ნარჩენებს შეაგროვებენ კონტრაქტორის მუშები. აღნიშნული ნარჩენების დასახლებასთან ახლოს განთავსებამ და არადროულმა, ან არასათანადო განკარგვამ, შესაძლოა ზემოქმედება მოახდინოს ჰაერის ხარისხზე, მტვრის წარმოქმნაზე და მეზობელი დასახლებების შეწუხებაზე. ნარჩენები წარმოიქმნება შესაფუთი მასალების და ხის მასალის (გამოყენების) შედეგად.
265. **ინერტული სამშენებლო ნარჩენები** მიწის სამუშაოების დროს გროვდება. ასეთი ნარჩენები დაახლოებით 2368 ტ. ჭარბ მიწას მოიცავს.
266. **არასახიფათო სამშენებლო ნარჩენები** MoEPA-ს მიერ დამტკიცებული გეგმის შესაბამისად იმართება. ინერტული სამშენებლო ნარჩენები შეიძლება გამოყენებულ იქნას შესავსები ღონისძიებებისთვის, ადგილობრივ ხელისუფლებასთან წერილობითი შეთანხმების თანახმად. ყველა სახის არასახიფათო ნარჩენების გატანა მოხდება ნაგავსაყრელზე, ნაგავსაყრელის მართვის ერთეულთან წერილობითი შეთანხმების თანახმად.
267. სამუშაოების ჩატარების ადგილზე და დროებით შენახვის ადგილებზე სამშენებლო ნარჩენების განთავსება შემდეგ მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს:
- ნარჩენების განთავსების ადგილი დახურული უნდა იყოს;
  - ნარჩენები სადრენაჟო წყალს არ უნდა ეხებოდეს;
  - ნარჩენების სამუშაოების ადგილიდან დაუყოვნებლივ უნდა გავიდეს;
  - ნარჩენები მხოლოდ სერტიფიცირებულ მენარდეს გადაეცემა.
268. **მუნიციპალური მყარი ნარჩენები** და ჩამდინარე წყალი მშენებლობასა და სამშენებლო ბანაკებში წარმოიქმნება. ეს არის ნაგავი, პლასტმასის ან წყლის ბოთლები, შუსა, საკვების ნარჩენები და ა. შ. ნარჩენების არასათანადო მართვამ სამშენებლო ბანაკში შეიძლება დაავადებების გავრცელება, მწერებისა და პარაზიტების მოგროვება გამოიწვიოს. გარდა ამისა, აღნიშნულმა შეიძლება ადგილობრივ მოსახლეობასთან კონფლიქტი გამოიწვიოს.
269. მუნიციპალური ნარჩენები სპეციალურად დანიშნულმა პერსონალმა საამქროების მუშებმა უნდა შეაგროვონ. ნარჩენები 0.24 მ3 პლასტმასის კონტეინერებში მოთავსდება, შემდეგ კი მათ ნაგავსაყრელზე ადგილობრივი დასუფთავების სამსახური გაიტანს. უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი:
270. თავიდან უნდა ავირიდოთ მტვრის წარმოქმნა;

- პლასტმასის კონტეინერები უნდა იყოს დახურული, რათა არ გავრცელდეს სუნი და ნარჩენებს არ შეესიონ მღრღნელები და მწერები.
- სახიფათო და არასახიფათო ნარჩენებთან მომუშავე პერსონალი ნარჩენებთან მუშაობის, მოპყრობისა და შენახვის ტრენინგის გაივლის;
- სამშენებლო სამუშაოების ნებისმიერ ადგილას აკრძალულია ნარჩენების დაწვა, დაცემული ხეების, ბუჩქების, ჩამოყრილი ტოტებისა და კუნძების გარდა, რომლებიც ჯობია დაიწვას, რათა არ მოხდეს პარაზიტების გავრცელება.

### **სახიფათო ნარჩენები**

271. პროექტის სამშენებლო ეტაპზე სახიფათო ნარჩენების დიდი ოდენობით წარმოქმნა მოსალოდნელი არ არის. ასეთი ნარჩენები შესაბამისი ლიცენზიის მქონე მენარდეს უნდა გადაეცეს. სამშენებლო ეტაპზე სახიფათო ნარჩენები შეიძლება წარმოიქმნას ავტომობილების მუშაობისა და მომსახურებისგან, ასევე, სამშენებლო ბანაკში.
272. სახიფათო ნარჩენები უნდა შევინახოთ და ლიცენზირებულ კომპანიებს გადავცეთ; მათი ტრანსპორტირება და შენახვა საკანონმდებლო მოთხოვნების შესაბამისად უნდა განხორციელდეს, სახიფათო ნარჩენების მართვის წესების დაცვით.
273. სახიფათო ნარჩენები უნდა შეგროვდეს და დროებით მოთავსდეს წინასწარ შერჩეულ, შეთანხმებულ არეში, თითოეული ტიპის ნარჩენებისთვის არსებული მოთხოვნების გათვალისწინებით. სახიფათო ნარჩენების დროებითი შენახვისათვის განკუთვნილ არეში სპეციალური პრევენციული ზომები უნდა გატარდეს, განსაკუთრებით, კონტეინერებს მეორეული დამცავი შრე უნდა ჰქონდეს, სახიფათო ნარჩენები არ უნდა შეერიოს სხვა სახის ნარჩენებს. სახიფათო ნარჩენების კონტეინერები მჭიდრო უნდა იყოს დახურული. სახიფათო ნარჩენების მართვის პერსონალი გაივლის ნარჩენების მართვის და უსაფრთხოების ტრენინგს. ნარჩენების გატანა სამი დღის შემდეგ უნდა განხორციელდეს.
274. საქართველოში სახიფათო ნარჩენების ნაგავსაყრელები არ არსებობს, ამიტომ ამ კატეგორიის ნარჩენები გადასამუშავებლად უფლებამოსილ მენარდეს გადაეცემა. უფლებამოსილ კომპანიასთან, რომელიც სახიფათო ნარჩენების გადამამუშავებაზე (დეექტივაცია, დაწვა) ან სხვა ტექნოლოგიურ პროცესებში მათ ხელახალ გამოყენებაზე მუშაობს სახიფათო ნარჩენების მართვის შეთანხმებას მოეწერება ხელი.
275. ნავთობ ნახშირწყალბადებით დაბინძურებული ნიადაგი (რაც გამოწვეულია მცირე ოდენობით საწვავის/ზეთი დაღვრა-გაჟონვით) ადგილზევე შეიძლება გასუფთავდეს (ადგილზე ბიოწმენდა). უფრო დიდი დანალგარები (რაც სხვა მსგავსი პროექტების გამოცდილებიდან გამომდინარე, ნაკლებად სავარაუდოა) უნდა განცალკევდეს, დაბინძურებული ნიადაგი მოცილდეს გასაწმენდად, უფლებამოსილი მენარდის



მიერ. რეკულტივაციის შემდეგ ახალი სუფთა ნიადაგი უნდა შემოვიდეს. აღნიშნული მომსახურება უნდა გაწიოს უფლებამოსილმა კომპანიამ.

276. სამშენებლო ღონისძიებების დაწყებამდე სამშენებლო კომპანია ნარჩენების მართვის გეგმას შეადგენს. ზოგადად, გეგმა მოიცავს შემდეგს:

ა) წარმოქმნილი ნარჩენების შესახებ ინფორმაცია (მისი წარმომავლობა, ტიპი, შემადგენლობა და ოდენობა, რომელიც „ნარჩენების ჩამონათვალში“ მოცემული);

ბ) ნარჩენების წარმოქმნის საწინააღმდეგო ზომების და ნარჩენების უტილიზაციის შესახებ ინფორმაცია, განსაკუთრებით, სახიფათო ნარჩენების შემთხვევაში;

გ) წარმოქმნილი ნარჩენების (სახიფათოს არასახიფათოსგან) დაცალკეების მეთოდების აღწერა;

დ) ნარჩენების დროებითი შენახვის მეთოდები და პირობები;

ე) ნარჩენების მართვის მეთოდები ანდა ინფორმაცია მათ შესახებ, ვისაც ნარჩენები გადასამუშავებლად ეგზავნება.

### **აზბესტის შემცველი ნარჩენები**

277. მშენებლობის ეტაპზე, მიწისქვეშა ინფრასტრუქტურის დემონტაჟისა და გატანის ფაზაში, შეიძლება შევხვდეთ აზბესტის შემცველ მიწებს ან სხვა ნაწილებს. ეს არის სახიფათო მასალები/ნარჩენები, რომლებიც სპეციალურ მოპყრობას საჭიროებენ. საპროექტო ფონაში აზბესტის ნარჩენების მართვის შემდეგ ღონისძიებებია აუცილებელი:

- განისაზღვროს ნარჩენების ოდენობა და შემადგენლობა;
- შემუშავდეს აზბესტის შემცველი ნარჩენების მართვის გეგმა;
- შედგენილი გეგმის თანახმად ნარჩენების გატანა და შესაბამისად მომზადებულ ადგილას შენახვა.

### **სამედიცინო ნარჩენები**

278. სამედიცინო ნარჩენები სამედიცინო დახმარებისა და კონტროლის პუნქტებში წარმოიქმნება და სახიფათო ნარჩენების კატეგორიას განეკუთვნება. ეს ნარჩენები სპეციალურ ჰერმეტიკულად დახურულ პლასტმასის კონტეინერებში გროვდება და სერტიფიცირებულ მენარდეს დაწვისთვის გადაეცემა.

## მშენებლობის დროს ზეგავლენა და ზეგავლენის შემცირება

279. **საგზაო მოძრაობის კონტროლისა და მუშაობის გეგმა**, ადგილობრივ საგზაო მოძრაობის მართვის ორგანოსთან ერთობლივად, მშენებლობის დაწყებამდე მომზადდება. გეგმაში გაწერილია სამშენებლო საგზაო მოძრაობის მართვა და განრიგი, რათა თავიდან ავირიდოთ დილისა და საღამოს პიკის საათები, უზრუნველყოთ გზაჯვარედინებზე საგზაო მოძრაობის რეგულირება, რა დროსაც განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს საგზაო ნიშნების განთავსებას, კონტროლსა და დაგეგმვას, რათა დავიცვათ საზოგადოებრივი უსაფრთხოება.

280. **სამშენებლო მოედნები**. აღმნიშვნელი ნიშნები სამშენებლო მოედნებზე თვალსაჩინო ადგილზე დამონტაჟდება, რომლებიც გააფრთხილებს ადამიანებს ისეთი საფრთხეების შესახებ, როგორებიცაა მოძრავი ავტომობილები, საშიში მასალები, ექსკავაცია და ა. შ., რაც უსაფრთხოების საკითხები მეტ გაცნობიერებას შეუწყობს ხელს. მძიმე დანადგარები ბნელ დროს აღარ გამოიყენება. ასეთი ტიპის დანადგარები თავის ღამის სადგომს/პოზიციას დაღამებამდე დაუბრუნდება. ყველა მოედანი იქნება დაცული და შემოღობილი, რათა უცხო პირებმა შეღწევა ვერ შეძლონ.

### ზეგავლენა მუშაობის დროს

281. მუშაობის ეტაპზე ზეგავლენა საბავშვო ბაღამდე მისასვლელ გზაზე მოძრაობის ზრდას უკავშირდება. აღნიშნული საკითხი ნიშნების მეშვეობით რეგულირდება.

### 2 F.11 არქეოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის ობიექტებზე ზეგავლენა

282. მიწის მოსუფთავების სამუშაოები, მიწის გასწორება და ექსკავაცია მიწისქვეშა არქეოლოგიური ობიექტებისათვის დაზიანების რისკს ქმნის. საპროექტო ადგილზე ამგვარი ზეგავლენა მინიმალურია.

283. პოტენციური არქეოლოგიური ღირებულების არტეფაქტების აღმოჩენის შემთხვევაში, შემდეგ ნაბიჯები გადაიდგმება:

- მშენებელი მუშები ვალდებული არიან, შეაჩერონ სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობონ არქეოლოგიურ ზედამხედველს.
- არქეოლოგიური ზედამხედველი ატყობინებს მთავარ ინჟინერს და მოითხოვს აღმოჩენის ადგილას სამუშაოების შეჩერებას. არქეოლოგიური ზედამხედველი აღმოჩენასა და მის ადგილს ამოწმებს;
- თუ აღმოჩენას პოტენციური არქეოლოგიური ღირებულება არ გააჩნია,

- არქეოლოგიური ზედამხედველი ატყობინებს ამის შესახებ მთავარ ინჟინერს და სამუშაოები განახლდება, აღნიშნული შემთხვევა ჩანაწერების წიგნში აისახება.
- თუ აღმოჩენა შეფასდა, როგორც პოტენციურად არქეოლოგიური ღირებულების მქონე რელიქვია, არქეოლოგიური ზედამხედველი ატყობინებს ამის შესახებ სამშენებლო მენარდეს მთავარ ინჟინერს და MDF-ს, გარემოს დაცვის სპეციალისტს (და ზედამხედველი კომპანიას / ინჟინერს) და მოითხოვს სამშენებლო სამუშაოების შეჩერებას და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთვის აღნიშნულის შესახებ შეტყობინებას.
  - სამშენებლო მენარდეს მთავარი ინჟინერი ატყობინებს MDF-ს სამუშაოების შეჩერების შესახებ და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დაუყოვნებლივ ჩართულობას მოითხოვს.
  - საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო ექსპერტს ან ექსპერტთა ჯგუფს დანიშნავს და პრობლემის დადგენის მიზნით ხსენებულ ადგილზე არქეოლოგიურ სამუშაოებს ჩაატარებს.
  - მარტივ შემთხვევებში, არტეფაქტების ამოღების, მასალების დაფიქსირებისა და სხვა საჭირო სამუშაოების ჩატარების შემდეგ, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ექსპერტები შეჩერებული სამშენებლო სამუშაოების განახლების თაობაზე გადაწყვეტილებას მიიღებენ.
  - ფასეული და მიმოხილული აღმოჩენების განსაკუთრებული შემთხვევებში, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო საპროექტო სამუშაოების არქეოლოგიური აღმოჩენიდან უსაფრთხო მანძილზე გადატანის მოთხოვნას გასცემს.

**F.12 ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების რისკები ადგილობრივი საზოგადოებისათვის**

284. ურბანულ არეში სამშენებლო სამუშაოების ჩატარების დროს მუდმივად არსებობს რისკები. ამიტომ, აუცილებელია უსაფრთხოების ზომების მიღება, რათა დაცული იქნას მუშებისა და მოქალაქეების უსაფრთხოება.
285. სამოქალაქო სამშენებლო სამუშაოების მენარდეს, სამუშაოების დაწყებამდე ჯანდაცვისა და უსაფრთხოების მართვის გეგმის შედგენა ევალება. მართვის გეგმა შრომის ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების რისკებსაც მოიცავს.
286. მშენებლობის დროს საზოგადოების უსაფრთხოება უნდა უზრუნველდეს. სამუშაოების მიმდინარეობის პერიოდში საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების პროგრამა უნდა მოქმედებდეს. ქვემოთ მოცემულია საზოგადოების უსაფრთხოებაზე ზეგავლენა და შესაბამისი ზომები:

**ცხრილი 15: პროექტის პოტენციური ზეგავლენა საზოგადოებრივ უსაფრთხოებაზე**

| პროექტის პოტენციური ზეგავლენა საზოგადოების უსაფრთხოებაზე | რეკომენდებული შემამცირებელი ზომები და მონიტორინგის ღონისძიებები |
|--|---|
| მშენებლობამდე:   |   |

|  |   |
|--|---|
| საზოგადოებრივ მხრიდან უსაფრთხოების გაცნობიერება - საჭიროა ადგილობრივი მოსახლეობის უსაფრთხოების შენარჩუნება | საზოგადოების კეთილდღეობისა და უსაფრთხოების თვალსაზრისით,<br><ul style="list-style-type: none"> <li>• ადგილობრივ საზოგადოებას არ შეექმნება სასმელი წყლის პრობლემა;</li> <li>• საზოგადოების უსაფრთხოების დაცვის ზომები მოიცავს, მათ შორის, უსაფრთხოების ბარიერებს და ლობეებს, საშიში არეების მონიშვნას გამაფრთხილებელი ნიშნებითა და საინფორმაციო წარწერებით.</li> </ul> |
| <b>სამშენებლო ეტაპი</b>  |   |
| საგზაო მოძრაობის უსაფრთხოება   | სატვირთო ავტომობილების მძღოლები და აღჭურვილობის ოპერატორები საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების დაცვის მნიშვნელობას უნდა აცნობიერებდნენ (განსაკუთრებით, გზების კვეთებზე). სათანადო ადგილებში უნდა დამონტაჟდეს საგზაო ნიშნები და გამაფრთხილებელი შუქები.   |
| ელექტრო სისტემა - ამ სისტემების განლაგებისას მნიშვნელოვანია უსაფრთხოების დაცვა                             | მშენებლობის დროს მენარდე ელექტროხაზების გამართულობას უზრუნველყოფს. ეს შეიძლება გულისხმობდეს დროებით გადამცემი ხაზების გაყვანას, როდესაც არსებული ხაზებისა და ბოძების გადაადგილება ხდება. აღნიშნულ პუნქტში ერთადერთი გამონაკლისია აფეთქებების პერიოდი, როდესაც მაღალი ძაბვის ხაზები უსაფრთხოების მიზნით გამოირთვება.   |

*F.13 შრომითი ჯანდაცვისა და უსაფრთხოების რისკები*

287. მშენებლობის დროს მნიშვნელოვანია დავიცვათ მუშათა უსაფრთხოება. სამუშაო ადგილისა და სამუშაოების შესრულებისას ჯანმრთელობა და უსაფრთხოება მენარდეს სამუშაო სტრატეგიის შემადგენელი ნაწილია. შემდეგი პუნქტები მუშათა უსაფრთხოებას ეხება, რაც პროექტის დროს აუცილებლად გასათვალისწინებელია (ცხრილი 20).
288. Covid 19-ის გავრცელებასა და მის პრევენციასთან დაკავშირებული უსაფრთხოების ზომები და რეგულაციები გამოიყენება. სამშენებლო სექტორისთვის ახალი კორონა ვირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეულ ინფექციასთან (Covid 19) დაკავშირებული ზოგადი რეკომენდაციები, რომლებიც დამტკიცებულია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და

სოციალური დაცვის მინისტრის #01-227/ი ბრძანებით, მკაცრად იქნება დაცული.

**ცხრილი 20: მუშათა უსაფრთხოების ასპექტი**

| პროექტის პოტენციური ზეგავლენა საზოგადოებრივ უსაფრთხოებაზე   | რეკომენდებული შემამცირებელი ზომები და მონიტორინგის ღონისძიებები   |
|---|---|
| <b>პროექტი და წინა სამშენებლო ეტაპი:</b>  |   |
| <p>პირადი დამცავი აღჭურვილობით (პდა) უზრუნველყოფა - სამუშაოების შესრულებისას მუშები სათანადოდ უნდა იყენენ დაცულნი.</p>  | <p>მუშების ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვის მიზნით უზრუნველყოფილია შემდეგი:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• მშენებლობაზე შესაბამისი ჯანმრთელობის დაცვის აღჭურვილობა (მათ შორის პირველადი დახმარების აღჭურვილობა);</li> <li>• მუშების ტრენინგი სანიტარული და ჯანმრთელობის დაცვის ნორმებში, ჯანმრთელობის დაცვისა და უსაფრთხოების საკითხებში და მათი სამუშაოსათვის დამახასიათებელი საფრთხეების თაობაზე;</li> <li>• პდა მუშებისთვის: უსაფრთხო ჩექმები, ჩაფხუტები, ხელთათმანები, დამცავი ტანსაცმელი, სათვალეები და ყურის დაცვა კანონმდებლობის შესაბამისად;</li> </ul>   |
| <p>მუშების მიერ უსაფრთხოების გაცნობიერება - მუშებმა უნდა გააცნობიერონ სამუშაოს რისკები და საფრთხეები, მათ აღნიშნულის შესახებ რჩევები და შეხსენებები უნდა მიეცეს</p> | <p>მენარდე დაიქირავეს კვალიფიცირებულ ჯანდაცვისა და უსაფრთხოების ექსპერტს, რომელიც პერსონალს უსაფრთხოების ტრენინგს ჩაუტარებს, კონკრეტული სამუშაო ადგილის მოთხოვნების შესაბამისად. სამუშაოების დაწყებამდე, მუშა პერსონალს სახიფათო ნივთიერებების (საწვავი, ზეთი, საპოხი, ბითუმი, საღებავი და ა. შ.) მოპყრობისა და შენახვის, ასევე, აღჭურვილობის გაწმენდის ინსტრუქციებს გააცნობენ. აღნიშნულის მომზადებისას მენარდემ გამოსაყენებელი მასალების სიას შეადგენს (ხარისხისა და რაოდენობის მიხედვით) და სამშენებლო პერსონალისთვის ჩასატარებელ ტრენინგის / ბრიფინგის კონცეფციას წარადგენს.</p> |
| <b>სამშენებლო ეტაპი:</b>  |   |
| <p>მუშების ჯანმრთელობა და უსაფრთხოება - მუშაობისთვის დამახასიათებელი რისკები და საფრთხეები ყოველდღიურ რეალობას წარმოადგენს. აქედან გამომდინარე,</p>                 | <p>მენარდე უზრუნველყოფს შემდეგს:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• უსაფრთხოების ტრენინგის პროგრამები. უსაფრთხოების ტრენინგის პროგრამა აუცილებელია და ის უსაფრთხოების შესავალი კურსით</li> </ul>  |

|  |   |
|--|---|
| <p>ჯანდაცვასა და უსაფრთხოებას სერიოზულად უნდა მოვეკიდოთ.</p> | <p>იწყება. უსაფრთხოების შესავალ კურსზე დასწრება ყველა მუშისთვის სავალდებულოა სამუშაო ობიექტზე პირველი კვირის მანძილზე, ასევე, სავალდებულოა პერიოდული ტრენინგ-კურსის გავლა.</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• უსაფრთხოების შეხვედრები. უსაფრთხოების რეგულარული შეხვედრები ყოველთვიურად ჩატარდება. აღნიშნულ შეხვედრებზე დასწრება სავალდებულოა ქვე-მენარდეს უსაფრთხოების ოფიცრებისთვის, თუ ინჟინერთან სხვაგვარად არ არის შეთანხმებული.</li> <li>• უსაფრთხოების ინსპექციები. მენარდე რეგულარულად შემოწმებს და სათანადო ფორმაში შეინარჩუნებს უსაფრთხოების აღჭურვილობას, ხარაჩოებს, მოაჯირებს, სამუშაო პლატფორმებს, ამწე მოწყობილობებს, მისადგმელ კიბეებს და წვდომის, აწევის, განათების, მანიშნებელ და დამცავს საშუალებებს. შუქები და ნიშნები კარგად უნდა ჩანდეს და იკითხებოდეს. დაზიანებული, ქუჩყიანი, არასწორად ან არა სამუშაო თანმიმდევრობით დამონტაჟებული აღჭურვილობა დაუყოვნებლივ უნდა შეკეთდეს ან შეიცვალოს.</li> <li>• უსაფრთხოების აღჭურვილობა და ტანსაცმელი. უსაფრთხოების აღჭურვილობა და დამცავი სამოსი მუდამ უნდა იყოს ობიექტზე, ასევე, უზრუნველყოფილი უნდა იყოს ზომები ამგვარი აღჭურვილობის და სამოსის სათანადო გამოყენების ზომები; ობიექტზე არსებული მთელი სამშენებლო აღჭურვილობა და დანადგარები აღჭურვილი უნდა იყოს სათანადო უსაფრთხოების მოწყობილობებით.</li> </ul> <p>მენარდე კოორდინაცია იმუშავებს ჯანდაცვის ადგილობრივ ოფიცრებთან და დოკუმენტურად დადასტურებულ ურთიერთშეთანხმებას მიაღწევს მათთან</p> |
|--|---|

|   |  |
|---|--|
|   | სავადმყოფოებითა და სხვა საზოგადოებრივი რესურსებით სარგებლობის მხრივ.   |
| ქვე-მენარდეები / მიმწოდებლები<br>EMP -სთან თავსებადობა - ქვე-მენარდეები პროექტში მონაწილე სამუშაო ძალის ნაწილს წარმოადგენენ. ამიტომ, ქვე-მენარდეებს ჩაუტარდება ინსტრუქტაჟი და მოეთხოვებათ EMP -სთან შესაბამისობა. | ყველა ქვე-მენარდეს / მიმწოდებელს SSEMP/ადგგ გადაეცემა. ყველა ქვე-კონტრაქტში შევა შესაბამისი დებულებები, რათა ქვე-მენარდობის ყველა ეტაპზე უზრუნველყოფილ იქნას SSEMP/ადგგ-სთან შესაბამისობა. ყველა ქვე-მენარდე ვალდებულია დანიშნოს უსაფრთხოების წარმომადგენელი, რომელიც შესაბამისი ქვე-კონტრაქტის მთელი სამუშაო პერიოდის მანძილზე იქნება ობიექტზე, თუ ინჟინერი საპირისპიროს წერილობით არ დაამტკიცებს. ინჟინრის დამტკიცების შემთხვევაში, ინჟინერმა, თავისი სხვა მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის სრული დაცვით, მაქსიმალურად უნდა უზრუნველყოს, რომ ქვე-მენარდის დასაქმებული ყველა დონის პერსონალი SSEMP/ადგგ-ს შესაბამის ნაწილებს იცნობს. |

*F.14 სამშენებლო ბანაკი*

289. მენარდეს სამშენებლო ბანაკის მოწყობამ შესაძლოა უარყოფით ზეგავლენა იქონიოს, თუ სათანადოდ არ გადაწყდა ისეთი საკითხები, როგორებიცაა თხევადი და მყარი ნარჩენების მართვა, აღჭურვილობის მომსახურება, მასალების შენახვა და სუფთა სასმელი წყლის მიწოდება. სამუშაო ეზოს ადგილს მენარდე შეარჩევს მუნიციპალიტეტთან, MDF-სთან და ზედამხედველთან შეთანხმებით.

290. პოტენციური ზეგავლენის მინიმუმამდე დაყვანისათვის მენარდემ შემდეგი გეგმები და მეთოდიკა უნდა შეიმუშაოს:

- ბანაკის ადგილის მართვის გეგმა;
- სამუშაო ბანაკის სქემა, რომელსაც დაერთვის გარემოზე შესაძლო უარყოფით ზეგავლენის თავიდან არიდების ზომები (ზედაპირული და გრუნტის წყალი, ნიადაგი, ჰაერი, დასახლებები);
- კანალიზაციის გეგმა: საპირფარეშოები, კანალიზაციის კოლექტორები და გატანის სისტემა, რათა გრუნტის წყლები არ დაბინძურდეს;
- ნარჩენების მართვის გეგმა: სანაგვე ურნები, ნარჩენების რეგულარული შეგროვება და გატანა ჰიგიენის ნორმების დაცვით, სხვადასხვა ტიპის ნარჩენებისათვის (მაგ., საყოფაცხოვრებო ნარჩენები, საბურავები და ა. შ.) გათვალისწინებული საყრდენები, რომლებიც შესაბამისობაშია ეროვნულ რეგულაციებთან და
- აღჭურვილობის მომსახურების, საპოხებისა და საწვავის შენახვის არეების აღწერა

და სქემა, უახლოესი ზედაპირული წყალსატევიდან მანძილის მითითებით. საწვავისა და ქიმიკატების შესანახი აღჭურვილობა წყალსატევიდან უსაფრთხო მანძილზე განლაგდება. აღნიშნული ობიექტები შეიზღუდება და აღჭურვება შეუღწევადი გარსაცმით, რათა თავიდან ავირიდოთ დაღვრა და ნიადაგისა და წყლის დაბინძურება.

291. აღნიშნულ გეგმებს სამშენებლო ღონისძიებების დაწყებამდე ინჟინერი ამტკიცებს.



## **G. ინფორმაციის გამჟღავნება, კონსულტაცია და მონაწილეობა**

292. შესაბამისი კვლევებმა LAR ზეგავლენა არ დაადასტურა. შესაბამისად, არსებულ პროექტს AP არ გააჩნია. მთავარი მონაწილეები არიან ადგილობრივი მცხოვრებლები, რომლებიც ქვე-პროექტის ობიექტთან სიახლოვეში ცხოვრობენ და ლანჩხუთის ადგილობრივი ხელისუფლება. ხსენებულ მონაწილეებთან კომუნიკაცია უკვე განხორციელდა დისტანციური კომუნიკაციის არხებით (პერსონალური კომპიუტერი, მობილური ტელეფონი).
293. „ფოთის საზღვრო ზონის მშენებლობის“ პროექტისათვის მომზადებული გარემოს დაცვითი და სოციალური დოკუმენტაციის (საწყისი გარემოს დაცვითი შემოწმება (სგდშ) და სოციალური კვლევის ანგარიში (სკა)) განხილვის მიზნით 2020 წლის 3 ივნისს, 15:00 სთ-ზე საზოგადოებრივი საკონსულტაციო შეხვედრა გაიმართა სოციალური ქსელის - ვაიბერის - მეშვეობით (პანდემიისა და შესაბამისი შეზღუდვების გამო). შეხვედრამდე, მერიის წარმომადგენლებსა და ადგილობრივ მაცხოვრებლებს დაგეგმილი ონლაინ შეხვედრის შესახებ კომუნიკაციის კონსულტანტმა - ირაკლი ჯაფარიძემ - ტელეფონის მეშვეობით შეატყობინა. შეხვედრის ჩანაწერები ერთვის სგდშ ანგარიში (დანართი 2).
294. ამ IEE- ს მომზადების ფარგლებში, ჩატარდა კონსულტაციები დაინტერესებულ მხარეებთან, პროექტთან დაკავშირებით მათი მოსაზრებების და გამოხმაურების გასაგებად. COVID-19 პანდემიის დროს უშუალო კონტაქტების შეზღუდვების გამო, 2020 წლის 3 ივნისს, 14:00 საათზე ჩატარდა პირველადი საჯარო კონსულტაცია შეხვედრა სოციალურ ქსელში (Facebook- ის საშუალებით). შეხვედრის დაწყებამდე მერიის წარმომადგენლებს და ადგილობრივ მაცხოვრებლებს კომუნიკაციის კონსულტანტმა, ირაკლი ჯაფარიძემ, ტელეფონით, პირადად შეატყობინა დაგეგმილი ონლაინ შეხვედრის შესახებ. შეხვედრის დროს განხილული თემები მოიცავდა პროექტისთვის მომზადებულ IEE- ს და სოციალური უსაფრთხოების სათანადო ანგარიშს (SDDR). შემდგომი კონსულტაციები ჩატარდება პროექტირების ეტაპზე და გაგრძელდება პროექტის დასრულებამდე. კონსულტაციები მიზნად ისახავს დაინტერესებული მხარეების ინფორმირებას პროექტის საქმიანობის მოცულობის, შემოთავაზებული საქმიანობის შედეგად შესაძლო გარემოზე ზემოქმედების შესახებ, ასევე იმ ზომების შესახებ, რომლებიც გატარდება იმის უზრუნველსაყოფად, რომ შესაძლო ზემოქმედებები შემოიფარგლოს სამუშაოების ჩატარების ადგილით და არ მოახდენს გავლენას საზოგადოებაზე. კონსულტაციის პროცესი გაგრძელდება და გაფართოვდება პროექტის განხორციელების პროცესში, რათა დაინტერესებული მხარეები სრულად ჩაერთონ პროექტში და მონაწილეობა მიიღონ მის შემუშავებაში, დასრულებასა და განხორციელებაში. ამ დაინტერესებული მხარეების მიერ წამოყენებული ნებისმიერი კომენტარი და / ან

შემფოთება ჩაიწერება და სათანადოდ მოგვარდება ამ IEE- ს განახლებულ ვერსიაში.

295. დაინტერესებული მხარეების პროექტის შესახებ ინფორმირების მიზნით, გარემოს დაცვის დოკუმენტები, როგორცაა ეს IEE და მისი განახლება, სამუშაოების ადგილის გარემოსდაცვითი მართვის გეგმა და გარემოსდაცვითი მონიტორინგის ანგარიშები, დროულად გახდება ხელმისაწვდომი საზოგადოებისთვის აზიის განვითარების ბანკისა და საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის ვებსაიტებზე. IEE და გარემოსდაცვითი მონიტორინგის ანგარიშები ხელმისაწვდომი იქნება ინგლისურ და ადგილობრივ ენებზე, რომლებიც დაინტერესებული მხარეებისთვის გასაგებია. საჭიროების შემთხვევაში, IEE, სამუშაოების ადგილის გარემოსდაცვითი მართვის გეგმა და გარემოსდაცვითი მონიტორინგის მოხსენებები განთავსდება საზოგადოების სარეკლამო დაფებზე, ადგილობრივი თემების სასარგებლოდ და სამუშაო ადგილების მიმდებარე ტერიტორიაზე. IEE-ში აღწერილია საჩივრების განხილვის მექანიზმი (GRM), რათა ნებისმიერ საჩივარზე სწრაფი რეაგირება მოხდეს.

## ჰ. საჩივრების დაკმაყოფილების მექანიზმი

### მიზნები

296. MDF მიერ განხორციელებულ პროექტებში საჩივრების დაკმაყოფილება ორ ეტაპიან პროცესად მოიაზრება. პირველი ეტაპი ადგილობრივ საშუალებებს მოიცავს, როგორცაა რეზიდენტი-ინჟინრის მოადგილესთან ან მენარდესთან განხილვა ადგილობრივ საკოორდინაციო პუნქტში ზედამხედველ კონსულტანტთან / კურატორთან ანდა ადგილობრივ მუნიციპალიტეტში წერილის მიწერა საჩივრის ადგილზე გადაწყვეტის თხოვნით. საჩივრის დაკმაყოფილების მექანიზმი ეხება ისეთ საკითხებს, როგორცაა, მაგალითად, კომპენსაციის ოდენობა, მისასვლელი გზის დაკარგვა და ა. შ., ასევე, სამშენებლო სამუშაოების მიერ გამოწვეული დანაკარგი და ზიანი, მაგ., მენარდის მიერ მიწის დროებით ან მუდმივი დაკავება. ამიტომ, საჩივრების დაკმაყოფილების მექანიზმი MDFG-სა და AP-ებს შორის მოლაპარაკებების დაწყებამდე უნდა იყოს მზად და მშენებლობის დასრულებამდე იმოქმედოს.

### საჩივრების დაკმაყოფილების პროცესი

297. საჩივრების დაკმაყოფილების 1-ლი ეტაპი არაფორმალური მოლაპარაკებების გზით საჩივრის გადაწყვეტის მექანიზმია. ის AP-ს და პროექტის განმახორციელებელ ჯგუფს საშუალებას აძლევს, საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ განხორციელებულ პროექტებში, საჩივრები ფორმალური პროცედურების, დაყოვნებისა და ბარიერების გარეშე გადაწყვიტონ. საცხოვრებელი ადგილის შეცვლის საერთაშორისო პრაქტიკა აჩვენებს, რომ საჩივრის გადაწყვეტის არაფორმალური მექანიზმი საჩივრების უმეტესობის ფორმალური პროცედურების გარეშე გადაწყვეტის შესაძლებლობას იძლევა (მაგ., დავების ადმინისტრაციული კოდექსში მითითებული პროცედურების გარეშე). ეს მექანიზმი პროექტის შესრულებას დაბრკოლებებს უხსნის და საჩივრების დროულ გადაწყვეტას უზრუნველყოფს. თუ AP არ დაკმაყოფილდა, ამ ეტაპზე საჩივარს განიხილავს მენარდე კომპანია, რომელიც საქმის კურსში ჩააყენებს სამეთვალყურეო კომპანიასა და IA-ს. თუ საჩივარი არ გადაწყდა ადგილზე, მას ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს კომიტეტი განიხილავს და შესაბამის რეაგირებას მოახდენს. თუ საჩივარი მაშინ, საჩივრების დაკმაყოფილების მექანიზმი დაეხმარება მათ ოფიციალური საჩივრის შეტანაში მე-2 ეტაპის პროცედურების თანახმად (მომჩივანი მხარე ინფორმირებული უნდა იყოს მისი უფლება-მოვალეობების, საჩივრის შეტანის წესებისა და პროცედურების, საჩივრის ფორმატის, საჩივრის შეტანის პირობების და ა. შ. თაობაზე).

298. ეტაპი 2 - საჩივრის განხილვა. საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდში უკვე შეიქმნა საჩივრების განხილვის კომისია (GRC), რომელიც პროექტის განხორციელების მთელი პერიოდის განმავლობაში იმუშავებს. კომისია განიხილავს მომჩივნების წერილობით საჩივრებს, რომლებიც არ დაკმაყოფილდა 1-ელ ეტაპზე.

მე-2 ეტაპზე საჩივრის საკითხი გადაწყდება. GRM ზემოხსენებული პროცედურები არ ართმევს მოსარჩელეს პირდაპირ სასამართლოში სარჩელის შეტანის უფლებას. პროცედურის მაქსიმალური ვადაა 5 თვე.

299. არსებული პროცედურები სპეციალურად მე-2 ეტაპისთვის, სგკ-ს მიერ დაკმაყოფილებისთვის, შემუშავდა. სგკ-ს პროცედურების მიზანია, რომ MDF პროექტის გავლენის ქვეშ მყოფი საზოგადოებისთვის უფრო ხელმისაწვდომი იყოს და პროექტთან დაკავშირებული საჩივრები უფრო ეფექტურად გადაწყდეს.
300. საჩივრის მიღებისას, ის MDF-ს მისაღებში რეგისტრირდება. მომჩივანს გადაეცემა საჩივრის მიღების ქვითარი. მიმღების თანამშრომელი საჩივარს MDF -ს დირექტორს გაუგზავნის, რომელიც ყველა შემომავალ საჩივარს გადახედავს და მიმღებ ოფისში საჩივრის მიღებიდან 5 სამუშაო დღეში შესაბამის საჩივრებს გარანტიის განყოფილებას გაუგზავნის. გარანტიის განყოფილება საჩივარს თავის ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში დაარეგისტრირებს. მონაცემთა ბაზაში რეგისტრაციის შემდეგ საჩივარს ნომერი მიენიჭება.
301. გარანტიის განყოფილების ბაზაში საჩივრის რეგისტრაციის შემდეგ, გარანტიის განყოფილება მომჩივანს წერილობით (წერილი ანდა ელ. ფოსტა) შეატყობინებს, რომ საჩივარი მიღებულია, რეგისტრირებულია და სამოქმედოდ პროექტის გუნდს გადაეცა; ასევე, მომჩივანს ეცნობება საჩივრის ნომერი და საკონტაქტო ინფორმაცია შემდგომი ინფორმაციის მისაღებად.
302. მონაცემთა ბაზაში საჩივრის რეგისტრაციიდან 15 სამუშაო დღეში გარანტიის განყოფილება მოიმოქმედებს შემდეგს:
- განსაზღვრავს, საჭიროა თუ არა მომჩივანისგან დამატებით ინფორმაციის ანდა დოკუმენტების შემოტანა და საჭიროა, მოითხოვოს წერილობით ფორმით მომჩივანისგან, წარმოადგინოს დამატებითი ინფორმაცია / დოკუმენტები.
  - მოიძიოს შესაბამისი და საჭირო ინფორმაცია შინაგანად, MDF-ის სხვადასხვა დეპარტამენტებისგან ან პროექტის პარტნიორებისგან,
  - გადაწყვიტოს თარიღი, თუ როდის მიეწოდება საჩივარი სგკ-ს მოსმენაზე;
  - საჭიროების შემთხვევაში მომჩივანს აცნობოს ამ თარიღის შესახებ;
  - განაახლოს მონაცემთა ბაზაში მომჩივანის სტატუსი;
303. სგკ-ს მოსმენა მინიმუმ თვეში ერთხელ უნდა გაიმართოს. ნებისმიერი საჩივარი MDF მიმღებში რეგისტრაციიდან ორ თვეში უნდა განხილულ იქნას. სგკ მოსმენების დღის წესრიგი, საჩივრების სიასთან ერთად, რომელიც ამ ამ მოსმენაზე უნდა განიხილებოდეს, წინასწარ შედგება. ამგვარი დღის წესრიგი, თითოეული საჩივრის მოკლე მიმოხილვასთან ერთად, სგკ-ს ყველა წევრს ეგზავნება სგკ-ს მოსმენამდე, მინიმუმ, სამი დღით ადრე.

- თითოეულ საჩივარზე პასუხისმგებელი პერსონალის წევრი, ჯერ, საჩივრის მოკლე

მიმოხილვას წარმოადგენს, შემდეგ კი სგკ-ს წევრების კითხვებს უპასუხებს. კომიტეტი, დისკუსიებისა და მსჯელობების საფუძველზე მიღებულ საბოლოო გადაწყვეტილებას ხმათა უმრავლესობით იღებს. საჭიროების შემთხვევაში, საქმესთან დაკავშირებული მოწმობის მისაცემად, მოიწვევენ მომჩივანს. შესაბამისIFI-ს მოსმენის ოქმის ასლი გადაეცემა.

- კომიტეტის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას აღმასრულებელი დირექტორი აწერს ხელს, მოსმენიდან 5 სამუშაო დღის ვადაში. საბოლოო გადაწყვეტილებაში მისი შესრულების ვადაა მითითებული.
- საინფორმაციო წერილი (გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით) მომჩივანს წერილობითი ფორმით ეგზავნება, აღმასრულებელი დირექტორის მიერ გადაწყვეტილების ხელის მოწერიდან ორი სამუშაო დღის ვადაში. მომჩივანისთვის მიწოდებული პასუხი უნდა იყოს ინფორმატიული და შესაბამის დეტალებს შეიცავდეს.
- გარანტიების განყოფილება შესაბამისად განაახლებს მონაცემთა ბაზაში მომჩივანის სტატუსს,
- MDF-ს შესაბამისი განყოფილება სგკ-ს გადაწყვეტილების შესრულებაზე პასუხისმგებელი, გადაწყვეტილების თანახმად. გარანტიის განყოფილება ყოველ მომდევნო სგკ-ს შეხვედრას სგკ-ს წინა შეხვედრებზე მიღებული გადაწყვეტილებების განხორციელების პროგრესსა და სტატუსს მოახსენებს.
- განხორციელების ვადა ყოველი შემთხვევისთვის ცალკე განისაზღვრება, მაგრამ 100 დღეს არ უნდა აღემატებოდეს. სგკ-ს მდივანი ღონისძიებების შესრულებას ადევნებს თვალს.
- როდესაც სგკ-ს შეხვედრაზე გადაწყვეტილი ზომები განხორციელდება, საჩივარი დაკმაყოფილებულად ჩაითვლება. სგკ მომჩივანს ზომების განხორციელების, პრობლემის გადაწყვეტისა და ამოწურვის ანდა საჩივრის უარყოფისა და დახურვის შესახებ აცნობებს. თუ მომჩივანისგან სამი კვირის მანძილზე არავითარი რეაგირება არ მოხდა, საჩივარი ოფიციალურად დახურულად მიიჩნევა.

304. თუ MDFG -ს გადაწყვეტილება მომჩივან AP არ აკმაყოფილებს, მათ შეუძლია მიიღონ შემდგომი ზომები - წარუდგინონ მათი საქმე სასამართლოს.


305. საჩივრების განხილვის პროცესი მოცემულია ქვემოთ, მე-10 სურათში.

306. საჩივრებს ADB ოფისი იღებს, როგორცაა მუდმივი წარმომადგენლობა, რეგიონალური ოფისი ან წარმომადგენლობით ოფისი, რომლებიც საჩივრებს გაუხსნელად CRO-ს უგზავნიან.

საჩივრების მიმღები ოფიცერი, ანგარისგების მექანიზმი აზიის განვითარების ბანკის სათაო ოფისი

ფილიპინები, 1550 მანდალუიონგი, 6ADB გამზირი.  
 ელ.ფოსტა: [amcro@adb.org](mailto:amcro@adb.org), ფაქსი+63-2-636-2086

სურ. 10. საჩივრების დაკმაყოფილების მექანიზმი



საჩივრის ფორმა

|  |   |
|--|---|
| #  |   |
| სახელი, გვარი  |   |
| საკონტაქტო ინფორმაცია  | <input type="checkbox"/> ფოსტა: მიუთითეთ თქვენი საფოსტო მისამართი:<br>_____<br>_____<br><input type="checkbox"/> ტელეფონი: _____<br><input type="checkbox"/> ელექტრონული ფოსტა: _____ |
| გთხოვთ, მიუთითოთ, რა ფორმით გსურთ, რომ დაგიკავშირდნენ (ფოსტა, ტელეფონი, ელექტრონული ფოსტა) |   |
| აირჩიეთ ენა  | <input type="checkbox"/> ქართული<br><input type="checkbox"/> ინგლისური<br><input type="checkbox"/> რუსული   |
|  |   |
| საჩივრის აღწერა:   | რა მოხდა? რაში მდგომარეობს თქვენი საჩივარი?   |
|  |   |
| მოლაპარაკების თარიღი:  | მოლაპარაკების შემდეგ მიღებული გადაწყვეტილება:   |
|  |   |
|  |   |
| რა არის თქვენი საჩივრის მიზეზი?  |   |
|  |   |
| ხელმოწერა _____<br>თარიღი: _____   |   |

## I. გარემოს დაცვის მართვის გეგმა

### *შესავალი*

307. გარემოს დაცვის მართვის გეგმა (გდმგ) ასახავს: ანგარიშში დადგენილ ზეგავლენებს, ამ ზეგავლენების მისაღებ დონემდე შესამცირებელ ღონისძიებებს საქართველოს საკანონმდებლო მოთხოვნების შესაბამისად და ADB გარანტიის სტრატეგიას; მონიტორინგის ღონისძიებებს, რომლებიც უნდა გატარდეს, როგორც პროექტის ნაწილი, რათა დადასტურდეს, რომ ზეგავლენის შესამცირებელი ღონისძიებები ეფექტური აღმოჩნდა ან საჭირო მაკორექტირებელი ზომების მიღებას.
308. გდმგ დაწვრილებით ასახავს ან არსებულ საორგანიზაციო ზომებსა და შესაძლებლობებს ან შემოსაღებ საორგანიზაციო ზომებსა და შესაძლებლობებს, რომლებიც პროექტის განხორციელების ნაწილი გახდება, რათა უზრუნველყოფილ იქნას, რომ გარემოს დაცვითი კვლევა (გდმგ-ს ჩათვლით) სრულად ითვალისწინებს გარემოს დაცვის ეროვნულ და ADB მოთხოვნებს, ადგენს ყველა შესაძლო ზემოქმედებას გარემოზე და სთავაზობს შესაბამის შესამცირებელ ზომებს, გააჩნია სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს გარემოს მონიტორინგის, პროექტის ზეგავლენის კონტროლის და შესამცირებელი ზომების განხორციელებას პროექტის მიმდინარეობის მანძილზე.
309. პროექტით გამოწვეული გარემოზე ზეგავლენა დაწვრილებით აღწერილია წინამდებარე IEE-ს F თავში. IEE-ში იდენტიფიცირებული ზეგავლენის შესამცირებელი ღონისძიებები შესაბამის მომდევნო ნაწილებშია შეჯამებული და მოიცავს გარემოზე პროექტით გამოწვეულ ზეგავლენას ფიზიკურ, ბიოლოგიურ და სოციო-ეკონომიკურ გარემოზე (თავი F). იდენტიფიცირებული ზეგავლენები და მათი შესამცირებელი ღონისძიებები თავმოყრილია გარემოზე ზემოქმედების შემცირების გეგმაში, რომელიც მატრიცის სახით ცხრილშია მოცემული და მოიცავს თითოეული ზომის სტრუქტურას, პასუხისმგებლობებს და ღირებულების შეფასებას.
310. გარემოზე ზემოქმედების შესამცირებელი ზომების გეგმა სამოქალაქო მშენებლობის მენარდეს მიერ არსებული EMP-ს საფუძველზე შემუშავებულ სამშენებლო ობიექტზე გარემოს დაცვის მართვის გეგმის (სოგდმგ) აუცილებლობაზე უთითებს. აღნიშნულს ერთვის დაგეგმილი ღონისძიებების, EMP-ს განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირებისა და მონიტორინგის აღწერა, დადგინდა და სამშენებლო ნარჩენების მართვის მეთოდოლოგია.

### *განხორციელების მექანიზმები და პასუხისმგებლობები*



311. სოგდმგ-ს განხორციელებასა და მონიტორინგში ჩართული მთავარი დაწესებულებებია აღმასრულებელი სააგენტო (ას), ზედამხედველი კონსულტანტი (ზკ), მენარდე და (შედარებით მცირე მასშტაბით) გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო. ას და ზკ პასუხისმგებელი არიან მშენებლობის ეტაპზე პროექტის განხორციელების მონიტორინგზე. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო პერიოდულად აუდიტს ატარებს, მაგრამ წინამდებარე IEE და EMP-ს თანახმად მონიტორინგზე პასუხისმგებელ მხარეს არ წარმოადგენს.
312. MDF, როგორც აღმასრულებელი სააგენტო პროექტის ყოველდღიურ მართვაზე, მათ შორის, სოგდმგ-ს განხორციელებაზეა პასუხისმგებელი. MDF გარემოს დაცვით საკითხებს მართავს გარემოს დაცვისა და გადასახლების განყოფილების მეშვეობით, რომელიც 2013 წლის ოქტომბერში ჩამოყალიბდა. აღნიშნული დროიდან მოყოლებული გარემოს დაცვისა და გადასახლების გუნდის წევრების რაოდენობა 6-დან 11-მდე გაიზარდა და ამჟამად შედგება შემდეგი წევრებისგან: განყოფილების უფროსი, გარემოს დაცვის 3 სპეციალისტი, ერთი სოციალური სპეციალისტი და გენდერული სპეციალისტი, ერთი ბენეფიციარული ურთიერთობების სპეციალისტი, ერთი გადასახლებისა და GIS სპეციალისტი, ორი გადასახლების სპეციალისტი და ორი ADB ინდივიდუალური კონსულტანტი (ერთი გადასახლებისა და მეურნეობის კომუნიკაციის), რომლებიც ასევე არიან გარემოს დაცვისა და გადასახლების განყოფილების წევრები.
313. MDF-ის გარემოს დაცვისა და სოციალური სპეციალისტების პასუხისმგებლობა EMP/სოგდმგ განხორციელებაში შემდეგია:
1. უზრუნველყონ EMP მოთხოვნების (გარემოს დაცვის პროექტისა და გავლენის შემცირების ზომების ჩათვლით) პროექტის სატენდერო დოკუმენტაციაში ჩართვა.
  2. შეამოწმონ, ფლობს თუ არა მენარდე ნებართვებს ანდა მოწმობებს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს (გდსმს) მიერ გაცემულ შესაბამის ნებართვებს ანდა მოწმობებს. შესაბამისი მარეგულირებელი მოწმობები პროექტის ფარგლებში სამოქალაქო სამუშაოების დაწყებამდე უნდა იქნას მოპოვებული;
  3. უზრუნველყონ, რომ მენარდეს EMP და IEE ანგარიშზე ხელი მიუწვდება;
  4. უზრუნველყონ, რომ მენარდე სამშენებლო სამუშაოების ზემოქმედების ზეგავლენის შემცირების პასუხისმგებლობას აცნობიერებს და პერსონალს EMP განხორციელების ტრენინგებს უტარებს;
  5. ამტკიცებს მენარდეს მიერ სამშენებლო ობიექტზე შესვლამდე შემუშავებულ სოგდმგ-ს;
  6. თვალყურს ადევნებს მენარდეს მიერ სოგდმგ-ს განხორციელებას გარემოს დაცვის მონიტორინგის გეგმის შესაბამისად;

7. ამზადებს და ADB-ს წარუდგენს გარემოს დაცვის მონიტორინგის ნახევარ წლიურ ანგარიშებს;
8. პროექტის განხორციელებისას გარემოზე გაუთვალისწინებელი ზემოქმედების შემთხვევაში გარემოს დაცვის საგანგებო პროგრამას მოამზადებს და განხორციელებს გდსმს-თან, სხვა შესაბამის სამთავრობო სააგენტოებთან და ADB-სთან შეთანხმებით;
9. შეამოწმოს, რომ მენარდემ დაიქირავა სპეციალიზებული კომპანიები აზბესტის ნარჩენების განკარგვისა და გაზზე მომუშავე სადგურების ზეთით დაბინძურებული მოწყობილობების დემონტაჟის, ტრანსპორტირებისა და შენახვის უსაფრთხო ოპერაციებზე. სხვა არჩევანი იმაში მდგომარეობს, რომ სამშენებლო მენარდეს მოეთხოვოს აღნიშნული ნარჩენების და დაბინძურების მართვის კომპანიის დაქირავება და ამ მოთხოვნის სამოქალაქო სამუშაოების ხელშეკრულებაში შეიტანოს.

314. MDF-ს მიერ დანიშნული ზედამხედველი კომპანია (ზკ) სამუშაოების შესრულების ადგილზე უნდა იყოს და ყურადღებით დააკვირდეს სამუშაოების მიმდინარეობას. სამუშაოების დიზაინთან შესაბამისობისა და ხარისხის უზრუნველყოფის პარალელურად, ზედამხედველს ევალება თვალყური ადევნოს მენარდეს მიერ EMP-ს შესრულებას და დადგენილი ღონისძიებებიდან გადახრა გამოავლინოს.

315. ზკ-ს სპეციალისტი EA -ს დაეხმარება მშენებლობის მანძილზე გდმგ-ს შესრულების კონტროლსა და მონიტორინგში. თუ ზკ მოითხოვს ზომების მიღებას, მემარდეს შეუსაბამობის შენიშვნა გადაეცემა. მენარდეს მოეთხოვება მაკორექტირებელი სამოქმედო გეგმის შედგენა, რომელიც უნდა განხორციელდეს ზკ-სთან შეთანხმებული თარიღისთვის. შეუსაბამობა შემდეგი კრიტერიუმებით ფასდება:

1. შეუსაბამობის 1 დონე: სიტუაცია, რომელიც არ შეესაბამება გდმგ-ის მოთხოვნებს, მაგრამ არ მიიჩნევა, რომ იგი წარმოადგენს უშუალო ან მძიმე სოციალურ ან გარემოსდაცვით რისკს. თუ 1-ლი დონის პრობლემები არ მოგვარდა, ისინი მე-2 დონის საკითხების კატეგორიაში გადადის.
2. შეუსაბამობის 2 დონე: სიტუაცია, რომელსაც ჯერ არ მოჰყოლია მკაფიოდ გამოვლენილი ზიანი ან შეუქცევადი ზემოქმედება, მაგრამ აღნიშნულის შესამღებლობაზე მეტყველებს. 2 დონე მოითხოვს სასწრაფო მაკორექტირებელ ზომებს და განსაკუთრებული ყურადღების მიქცევას ადგილზე, მძიმე შედეგების თავიდან ასაცილებლად. თუ 2-ლი დონის პრობლემები არ მოგვარდა, ისინი 3 დონის საკითხების კატეგორიაში გადადის;
3. შეუსაბამობის 3 დონე: კრიტიკული სიტუაცია, რომელიც გამოიწვევს

მნიშვნელოვან სოციალურ ან ეკოლოგიურ ზიანს, ან დიდი ზიანის გონივრულ მოლოდინს აჩენს. შეუსაბამობის შენიშვნის ან კონკრეტული აკრძალვების განზრახ უგულებელყოფა ასევე კლასიფიცირებულია, როგორც 3 დონის პრობლემა.

316. მაკორექტირებელი სამოქმედო გეგმის მოუმზადებლობა ან დადგენილი ვადებში შეუსრულებლობა გამოიწვევს დამპირავებლის მიერ სამუშაოს შესრულებას მენარდეს ხარჯზე (როგორც ეს განისაზღვრება ხელშეკრულებაში).
317. სამშენებლო მენარდე ვალდებულია დაიცვას IEE / გდმგ და კარგი სამშენებლო პრაქტიკა. ამ ვალდებულების შესასრულებლად, მენარდემ უნდა ჩამოაყალიბოს გარემოს დაცვის გუნდი და პროცედურები. მენარდე დანიშნავს სრულ განაკვეთზე მომუშავე გარემოს დაცვის, ჯანდაცვისა და უსაფრთხოების (EHS) ოფიცერი) ოფიცერს, რომელიც იქნება ობიექტზე მომუშავე სამშენებლო მენეჯმენტის გუნდის უფროსი წევრი, ხელშეკრულების მოქმედების პერიოდის განმავლობაში.
318. მენარდეს ძირითადი პასუხისმგებლობები (რომლებიც გარემოს დაცვის მენეჯერის მეშვეობით უნდა შეასრულოს):

1. ობიექტზე გარემოს დაცვის მართვის გეგმის (SSEMP) მომზადება, რომელსაც დამსაქმებლის მიერ (IA - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი) მენარდესთვის სამშენებლო ადგილის გადაცემამდე (იხილეთ ქვემოთ); ჩატარდეს წინასამშენებლო კვლევები, ხმაურისა და ვიბრაციის, ნიადაგის დაბინძურების, ჰაერის დაბინძურების კვლევების ჩათვლით, ფლორისა და ფაუნის ჯიშების სავლე კვლევა, სანამ დაიწყებოდეს სამშენებლო სამუშაოები; ასევე, დაერთოს, ყველა იმ ადგილის ჩანაწერი და ფოტო დოკუმენტაცია, სადაც სამშენებლო სამუშაოები ჩატარდება, რაც აისახება სამშენებლო ადგილის გარემოსდაცვითი მართვის გეგმაში.

იმის უზრუნველყოფა, რომ ყველა სამუშაო მოქმედი გარემოსდაცვითი სტანდარტების დაცვით ჩატარდა;

2. თემთან ურთიერთობის საკითხების კოორდინაცია, კონტრაქტორის თემთან ურთიერთობის საკოორდინაციო ცენტრის სახით მოქმედების საფუძველზე (პროაქტიული კონსულტაცია თემთან, საჩივრების შესწავლა და მოგვარება).

3. დარწმუნდეს, რომ SSEMP ეფექტურად სრულდება მშენებლობისას. (iii) საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხების კოორდინაცია, როგორც მენარდეს საზოგადოებასთან ურთიერთობის მთავარი პუნქტი (პროაქტიული საზოგადოებრივი კონსულტაცია, საჩივრების გამოკვლევა

და საჩივრების გადაწყვეტა)

4. ობიექტზე ჩანაწერების წარმოება შემდეგ საკითხებზე: (i) ზედამხედველი კომპანიის სპეციალისტის მიერ სამუშაოების ჩატარების ადგილის შემოწმება საკონტროლო სიის მიხედვით, სამუშაოების ადგილის გარემოსდაცვითი მართვის გეგმის საფუძველზე და საჭიროების შემთხვევაში, ინსტრუმენტული გარემოსდაცვითი მონიტორინგის ჩატარება; (ii) გარემოსთან დაკავშირებული ინციდენტები და მათი აღმოფხვრის ღონისძიებები; (iii) გარემოს მონიტორინგის მონაცემები; (iv) ზკ-ს მიერ გაცემული შეუსაბამობის შენიშვნები; (v) ზკ-სთვის გაცემული გამოსასწორებელი ღონისძიებების გეგმა შეუსაბამობის შენიშვნების საპასუხოდ; (vi) საზოგადოებასთან ურთიერთობის საქმიანობა, მათ შორის საჩივრების რეესტრის წარმოება; (vii) ანგარიშების მონიტორინგი; (viii) მონიტორინგის ანგარიში (ix) დამსაქმებლის ინჟინრისათვის შექმნილი გარემოსთან დაკავშირებული ინციდენტების/დაღვრის ანგარიშები, რომლებიც გარემოს დაცვის კონკრეტული გეგმის (SSEMP) საკითხების გადაწყვეტას ასახავს.

5. უზრუნველყოს, რომ ყველა სამუშაო შესრულებულია მიღებული ნარჩენების მართვის გეგმის შესაბამისად და ადადგინოს და დაუბრუნოს დარღვეულ ადგილებს იერსახე (ან უკეთესი სახე მისცეს) რომელიც სამუშაოების დაწყებამდე იყო. IA- ს დადასტურების ცნობა, რომ ყველა სამუშაო და დასუფთავება შესრულებულია დამაკმაყოფილებლად, რომელიც წარმოადგენს სამუშაოების მიღების ნაწილსა და გადახდის პირობას.

319. კონტრაქტის მინიჭების შემდეგ, მშენებლობის დაწყებამდე მენარდე უსაფრთხოების მითითებებს მიიღებს PMU-სგან. განავრცობს გარემოს დაცვის მართვის კონკრეტულ გეგმამდე (SSEMP), რომელიც აუთჯობსებს EMP- ში დადგენილი პირობებს, რომლებიც სპეციფიკურია პროექტისთვის, დაკისრებულ ამოცანებსა და სამშენებლო საქმიანობის გრაფიკს. SSEMP განსაზღვრავს პირებს, რომლებიც პასუხისმგებელი იქნებიან მენარდეს გუნდის მუშაობის ზედამხედველობაზე. SSEMP მოიცავს შემარბილებელი ღონისძიებების მატრიცას, რომელიც შეესაბამება კონკრეტულ საქმიანობას. როგორც ცალკეული დოკუმენტები, SSEMP-ს დაერთვება დაღვრის კონტროლისა და სამშენებლო ნარჩენების მართვის მეთოდიკები. დაღვრის კონტროლის მეთოდი მოიცავს საწვავის შენახვის, ავტოგასამართი სადგურების და მანქანების სარეცხის ადგილების სწორ ადგილსამყოფელს და ორგანიზებას.

320. SSEMP ასევე მოიცავს მონიტორინგის გეგმას და ანგარიშების პროგრამას, რომელიც შეესაბამება EMP მოთხოვნებს.

321. SSEMP დამატებითი თემის შექმნის გარდა, კონტრაქტორი შეიმუშავებს სპეციალურ

EMP- ებს (მაგ. ნარჩენების მართვის გეგმა, მოძრაობის მართვის გეგმა, ნავთობის დაღვრის მართვის გეგმა, ზანაკის მართვის გეგმა და ა.შ.). გარდა ამისა, საკვანძო ადგილებში ასევე შეიძლება შემუშავდეს EMP კონკრეტული ადგილებისთვის.

322. მშენებლობის დაწყებამდე სამშენებლო მენარდე შეაფასებს იმ მანქანების მარშრუტებს, რომლებიც მიაწვდიან მასალებს და ადგილიდან გაიტანენ ნარჩენებს, ასევე, შეაფასებს ადგილზე საგზაო მოძრაობის ზრდის პოტენციალს. საგზაო მოძრაობის მართვის სრულფასოვანი გეგმის შემუშავების აუცილებლობა განიხილება PIU–სთან. საჭიროების შემთხვევაში, უნდა დაიქირაოს კონსულტანტი ან კონსულტანტთა ჯგუფი საგზაო მოძრაობის მართვის გეგმის მოსამზადებლად. შემუშავებული გეგმა უნდა შეთანხმდეს ზედამხედველ კომპანიასთან. მშენებლობის ნებართვა გაიცემა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სამშენებლო მენარდეს მიერ შემუშავებული გეგმა დამტკიცებულია საზედამხედველო კომპანიისა და MDF- ის მიერ. ასეთი გეგმის არარსებობის შემთხვევაში, სამშენებლო მენარდეს არ ექნება უფლება დაიწყოს სამუშაოები
323. EA– ს მიერ SSEMP– ის დამტკიცების შემდეგ, მენარდე ვალდებულია დაესწროს ობიექტზე შეხვედრას ზკ–ს გარემოს დაცვის საერთაშორისო სპეციალისტთან, რომლის საშუალებითაც SSEMP დასტურდება მენარდესთან, რათა დარწმუნდეს, რომ შესაბამისობის ყველა პირობა გასაგებია. SSEMP– ის მენარდესთან დადასტურების შემდეგ, ზკ გარემოს დაცვის სპეციალისტი ურჩევს ზკ ჯგუფის ხელმძღვანელს, რომ მენარდეს ნებართვა მიეცა, რომ ობიექტი ჩაიბაროს მფლობელობაში და შეუძლია დაიწყოს ალჭურვილობის გადატანა საიტზე.
324. მენარდე პასუხისმგებელი იქნება ყველა ქვე-მენარდის მიერ SSEMP– ის პირობების დაცვაზე.

#### ანგარიშგება

325. გარემოსდაცვითი მონიტორინგის ანგარიშები (EMR/გმა) (წელიწადში ორჯერ) წარედგინება 1 თვის განმავლობაში ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს EA– ს და ADB– ს მიერ. პროექტის მიმდინარეობის კვარტალურ ანგარიშებში ასევე უნდა იყოს მოცემული გარემოს დაცვის შესაბამისობის ნაწილი. EMR (წელიწადში ორჯერ) უნდა იყოს მოკლე ანგარიში EMP / SSEMP მოთხოვნების დაცვის შესახებ, რომელსაც EA წარადგენს SC–ს დახმარებით. ანგარიშ შემდეგ ნაწილებს მოიცავს:
1. გარემოსთან დაკავშირებული ინციდენტების დეტალი;
  2. აუდიტისა და შემოწმების დროს გამოვლენილი ყველა შეუსაბამობის სტატუსი, რომლებიც დადგენილია შეუსაბამობის შესახებ შეტყობინებებით;
  3. საზოგადოების მხრიდან მიღებული საჩივრები და საზოგადოებასთან ურთიერთობა;
  4. ინციდენტების ყოველთვიური ანგარიში;
  5. ნარჩენების მოცულობა, ტიპი და მათ განკარგვა;

6. ყველა დადგენილი და რეაბილიტირებული დაბინძურებული არეალის დეტალები;
7. არქეოლოგიური აღმოჩენების დეტალები;
8. ეკოლოგიური საკითხების დეტალები;
9. გარემოს დაცვასთან დაკავშირებული სხვა საკითხები;
10. მაკორექტირებელი ზომების სამოქმედო გეგმა.

326. მენარდეს ევალეზა, დაუყოვნებლივ შეატყობინოს SC- ს, თუ მშენებლობის დროს მოხდა გარემოს სერიოზული დაბინძურება, მაგ. მოწყვლადი ადგილების გაწმენდა, ნავთობპროდუქტების დიდი ოდენობით დაღვრა და ა.შ.

327. SC ყოველთვიურად აწვდის EA-ს ანგარიშებს, მათ შორის, მენარდეს საქმიანობის გარემოსდაცვითი და სოციალური ასპექტების მიმოხილვას, აგრეთვე HSE- ს საკითხებს. სერიოზული ავარიის ან განმეორებითი დარღვევის შემთხვევაში, რომელიც EA-სა და ხელისუფლების ორგანოების დაუყოვნებლივ რეაგირებას მოითხოვს, SC დაუყოვნებლივ უგზავნის შესაბამის შეტყობინებას EA-ს.

328. MDF, როგორც აღმასრულებელი სააგენტო, ADB- ს წარუდგენს მონიტორინგის ნახევარწლიურ ანგარიშებს, რომელიც ასახავს პროექტის მიმდინარეობასა და უსაფრთხოების გარანტიების შესრულებას. კვარტალური ანგარიშები მოიცავს SC ყოველთვიურ ანგარიშებს და MDF სპეციალისტების მოკლე განმარტებით ბარათს.

329. პროექტისთვის გარემოსდაცვითი უსაფრთხოების უზრუნველყოფის მოთხოვნების შესრულებასთან დაკავშირებით ADB- ს პასუხისმგებლობა შემდეგს მოიცავს: SSEMP- ის განხორციელების პერიოდული აუდიტის ჩატარება და სათანადო გულდასმით განხორციელება (როგორც პროექტის საერთო მისიის ნაწილი); საჭიროების შემთხვევაში, MDF-ისთვის რჩევის მიცემა პროექტის SSEMP-ით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით. ინსტიტუციური შესაძლებლობების განვითარების მოთხოვნები MDF- სთვის.

330. MDF- ს შემადგენლობაში შედიან გარემოს დაცვისა და სოციალური სპეციალისტი და მონიტორინგის რამდენიმე თანამშრომელი. მიუხედავად იმისა, რომ სამუშაოების ყოველდღიური ხარისხის კონტროლი გადაეცემა სამუშაოების საინჟინრო ხელმძღვანელს, MDF- ს უნდა ჰქონდეს შიდა ადამიანური რესურსები, რომ გააკონტროლოს ამგვარი ტექნიკური ხელმძღვანელის საქმიანობა და შეიმუშაოს იმ საკითხების გადაწყვეტილებები, რომლებსაც ხელმძღვანელი MDF-ს წარუდგენს.

### **გარემოს დაცვის დოკუმენტები და ჩანაწერები**

331. სამშენებლო მენარდესა და მშენებლობის ორგანიზაციის საკითხების დადგენის შემდეგ, სამშენებლო მენარდე, ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად, ვალდებულია შეიმუშაოს შემდეგი გარემოსდაცვითი დოკუმენტები და წარუდგინოს ისინი დასამტკიცებლად საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს:

1. ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების გამოყოფის სტაციონარული წყაროების შესახებ ტექნიკური ანგარიში (საჭიროების შემთხვევაში);
2. ნარჩენების მართვის გეგმა (საჭიროების შემთხვევაში);
3. ხეების ინვენტარი (წითელ წიგნში შეტანილი ჯიშების მოჭრის საჭიროების შემთხვევაში)

332. სამშენებლო მენარდე ვალდებულია ზედამხედველობის კონსულტანტს წარუდგინოს და შეათანხმოს შემდეგი დოკუმენტები და ჩანაწერები:

1. ადგილთან დაკავშირებული გარემოსდაცვითი მართვის გეგმა (ადგგ)
2. საგზაო მოძრაობის მართვის გეგმა (საჭიროების შემთხვევაში);
3. ჯანდაცვისა და უსაფრთხოების მართვის გეგმა;
4. ხმაურისა და ვიბრაციის მართვის გეგმა;
5. აზბესტის შემცველი ნარჩენების მართვის გეგმა (მოთხოვნის შემთხვევაში).
- 6.. საგანგებო რეაგირების გეგმა.
- 7.. ბანაკის ადგილის მართვის გეგმა.

333. გარდა ამისა, მშენებლობის დროს, სამშენებლო მენარდემ უნდა აწარმოოს და გამოიყენოს შემდეგი ჩანაწერები :

1. შესასრულებელი სამუშაოების გეგმა და განრიგი;
2. მშენებლობისათვის საჭირო დანადგარებისა და აღჭურვილობის სია;
3. გარემოს დაცვით პრობლემებთან დაკავშირებული ჩანაწერები;
4. ნარჩენების მართვის საკითხებთან დაკავშირებული ჩანაწერები;
5. ნარჩენების განთავსების ადგილების წერილობით მონიშვნა და ადგილობრივი ხელისუფლების მიერ გაცემული ნარჩენების ტრანსპორტირების ინსტრუქციები;
6. აუცილებელი მასალებისა და მათი მოხმარების მიწოდების ჩანაწერები;
7. საჩივრების ჟურნალები;
8. ინციდენტების რეგისტრაციის ჟურნალები;
9. გამოსწორების ღონისძიებების ანგარიშები;
10. აღჭურვილობის კონტროლის და ტექნიკური მომსახურების ჟურნალები;

11. პერსონალის ტრენინგებთან დაკავშირებული ჩანაწერები.

### **განხორციელების ღირებულება**

334. **ნარჩენების მართვა.** "ნარჩენების მართვის კოდექსის" თანახმად (კომპანიის მე -14 მუხლი - ნარჩენების მართვის გეგმა), მენარდემ უნდა მოამზადოს კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმა (სახიფათო ნარჩენების მართვის დაწვრილებით აღწერით) და დასამტკიცებლად წარუდგინოს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს. გარდა ამისა, იმავე კანონის შესაბამისად (მუხლი 15) - მენარდემ უნდა დაიქირაოს გარემოსდაცვითი მენეჯერი და წარუდგინოს საკონტაქტო ინფორმაცია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს. ყველა სახის ნარჩენების მართვა უნდა განხორციელდეს ნარჩენების მართვის დამტკიცებული გეგმის შესაბამისად. ნარჩენების ტრანსპორტირება უნდა მოხდეს დადგენილ ნაგავსაყრელზე ან გადაეცეს ლიცენზირებულ კომპანიებს. ტრანსპორტირება, ნაგავსაყრელზე ნარჩენების განთავსება, აგრეთვე საშიში ნარჩენების გადაცემა ლიცენზირებული კომპანიებისთვის გარკვეულ ხარჯებთან არის დაკავშირებული.
335. **მონიტორინგი.** სამშენებლო მენარდემ უნდა აწარმოოს ხმაურის, ვიბრაციისა და ემისიების მუდმივი მონიტორინგი. გარდა ამისა, სამშენებლო ობიექტებზე დამონტაჟდება დროებითი ხმაურის ბარიერები. მონიტორინგის შედეგები ყოველთვიურ და კვარტალურ ანგარიშებში უნდა შევიდეს.
336. **პროფესიული და საზოგადოებრივ ჯანდაცვა და უსაფრთხოება.** მენარდე დაიქირავებს კვალიფიცირებულ ჯანდაცვისა და უსაფრთხოების სპეციალისტს, რომელიც პერსონალს უსაფრთხოების ტრენინგს ჩაუტარებს, კონკრეტული სამუშაო ადგილის მოთხოვნების შესაბამისად. სამუშაოების დაწყებამდე, მუშა პერსონალს სახიფათო ნივთიერებების (საწვავი, ზეთი, საპოხი, ბითუმი, საღებავი და ა. შ.) მოპყრობისა და შენახვის, ასევე, აღჭურვილობის გაწმენდის ინსტრუქციებს გააცნობენ.
337. **პერსონალი.** მენარდე დანიშნავს სრულ განაკვეთზე მომუშავე გარემოს დაცვის მენეჯერს (EM), რომელიც იქნება ობიექტზე მომუშავე სამშენებლო მენეჯმენტის გუნდის უფროსი წევრი, ხელშეკრულების მოქმედების პერიოდის განმავლობაში. SC არასრულ განაკვეთზე დანიშნავს საერთაშორისო გარემოს დაცვის სპეციალისტს.
338. სამშენებლო კომპანია, მისი პროექტის ბიუჯეტში პასუხისმგებელი იქნება EMP- ის განხორციელების ღირებულების გათვალისწინებაზე, შეთავაზებული შემარბილებელი ზომების (და დამატებითი ღონისძიებებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში), გამოკითხვების ჩათვლით (თუ ამას საჭიროებს MDF და IEE) . IEE/EMP განხორციელება მენარდესთვის სავალდებულოა. კონტრაქტორი IEE განახლებებს უნდა ეცნობოდეს.



ცხრილი 17: გარემოს დაცვის მართვის საორიენტაციო ღირებულებები

| პუნქტი  | ერთეულის ღირებულება | სულ ღირებულება                                       | შენიშვნები  |
|---|---------------------|--|---|
| IEE განახლება დაწვრილებითი პროექტისთვის                             | -                   | -  | -   |
| ძირითადი პარამეტრული გაზომვები (მინიმუმ 2 ქულა)                     | 100 აშშ დოლარი      | 200 აშშ დოლარი                                       | მენარდემ უნდა ჩაატაროს ხმაურის ვიზრაციის, ჰაერის ემისიების, მტვრის (და, საჭიროების შემთხვევაში, წყლის) გაზომვები. |
| ყოველთვიური პარამეტრული გაზომვები (მინიმუმ 2 ქულა)                  | 200 აშშ დოლარი      | ყოველთვიურად მთელი მშენებლობის პერიოდის განმავლობაში | კონტრაქტორის მიერ ჩასატარებელი ტესტები 2 პუნქტზე  |
| გარემოს დაცვის მართვის სპეციალისტი (SC)                             | 2 500 აშშ დოლარი    | ყოველთვიურად მთელი მშენებლობის პერიოდის განმავლობაში | ხარჯები შედის MDF- სა და SC- ს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში და დამატებითი ხარჯები არ მოხდება.                  |
| გარემოს დაცვის სპეციალისტი (მენარდე)                                | 1, 500 აშშ დოლარი   | ყოველთვიურად მთელი მშენებლობის პერიოდის განმავლობაში | ხარჯები შედის MDF- სა და კონტრაქტორს შორის გაფორმებული ხელშეკრულებაში.  |
| საბავშვო ბაღის მშენებლობაზე სამშენებლო მტვრისა და ხმაურის ბარიერებს | 5 000 აშშ დოლარი    | 5 000 აშშ დოლარი                                     | (საჭიროების შემთხვევაში) მენარდე დროებით დაამონტაჟებს.  |

|  |                           |   |  |
|--|---------------------------|---|--|
| <p>COVID- ის<br/>საწინააღმდეგო<br/>ღონისძიებები<br/>(ექიმისა და ექთნის<br/>დაქირავება<br/>რეგულარული<br/>შემოწმებისთვის და<br/>განსაზღვრული<br/>საკარანტინო ზონის<br/>დაარსება, საჭირო<br/>პირადი დაცვის<br/>აღჭურვილობა,<br/>სადეზინფექციო<br/>საშუალებების,<br/>ხელეების დასაბანი<br/>საშუალებების, სახის<br/>ნიღბების და ა.შ.<br/>შემენა)</p> | <p>400 აშშ<br/>დოლარი</p> | <p>მშენებლობის<br/>მთელი<br/>პერიოდის<br/>მანძილზე<br/>(დამოკიდებული<br/>ა COVID- ის<br/>მდგომარეობაზე<br/>ქვეყანაში და<br/>გლობალურად)</p> | <p>მშენებლობის პროცესში<br/>ჩართული ყველა პირს<br/>ყოველთვიურად ტრენინგი<br/>უნდა ჩაუტარდეს.</p> |
|--|---------------------------|---|--|

**ცხრილი 18. გარემოს დაცვის მართვის მატრიცა**

**მშენებლობამდე**

| სამუშაოების ტიპი                        | პოტენციური უარყოფითი ზეგავლენა   | ზეგავლენის შესამცირებელი ღონისძიებები  | პასუხისმგებლობა | ზედამხედველობა                    |
|---|--|--|-----------------|-----------------------------------|
| საპროექტო ადგილის წინასამშენებლო კვლევა | გაუთვალისწინებელი გარემოებების გამო პროექტის სამშენებლო ეტაპზე გამოვლენილ უზნებზე სამშენებლო სამუშაოების ჩაშლა და გარემოს დაზიანება, | <p>ყველა ახალი ინფრასტრუქტურის (მათ შორის, კარიერის, ბანაკის, სამშენებლო ეზოს) მდებარეობის კვლევა. პრიორიტეტი მიანიჭეთ პროექტის ადგილთან უახლოეს (ან თავისუფალ) ადგილებს; თუ სხვაგან განთავსების საჭიროება გამოიკვეთა, აირჩიეთ ისეთი ადგილები, რომლებიც არ გამოიწვევენ არასტაბილურობას და ქონების, მცენარეულობისა და სასმელი წყლის მიწოდების სისტემების განადგურებას; საცხოვრებელი ადგილები არ განიხილება.</p> <p>ჩატარდეს წინასამშენებლო კვლევები, ხმაურისა და ვიბრაციის, ნიადაგის დაბინძურების, ჰაერის დაბინძურების კვლევების ჩათვლით, ფლორისა და ფაუნის ჯიშების სავსე კვლევა, სანამ დაიწყებოდეს სამშენებლო სამუშაოები; ასევე, დაერთოს, ყველა იმ ადგილის ჩანაწერი და ფოტო დოკუმენტაცია, სადაც სამშენებლო სამუშაოები ჩატარდება, რაც აისახება სამშენებლო</p> | მენარდე         | ზედამხედველი კომპანია;<br><br>MDF |

|                         |   |   |         |  |
|-------------------------|---|---|---------|--|
|                         |   | <p>ადგილის გარემოსდაცვითი მართვის გეგმაში.</p> <p>განსაკუთრებული სიფრთხილე გმართებთ ადგილების შერჩევას, რათა თავიდან იქნას აცილებული წყლის ობიექტის პირდაპირი განადგურება (მდინარე წყალთან ახლოს), რაც საზოგადოებას დისკომფორტს შეუქმნის.</p>   |         |  |
| საჭირო გეგმების შედგენა | სათანადო გეგმების არარსებობის გამო გარემოსა და მშრომელთა ჯანმრთელობის დაზიანება | <p>ადგილთან დაკავშირებული გარემოზე მართვის გეგმა (ადგგ);</p> <p>ადგილთან დაკავშირებული ჯანდაცვისა და უსაფრთხოების გეგმა</p> <p>საგზაო მოძრაობის მართვის გეგმა (საჭიროების შემთხვევაში);</p> <p>ხმაურისა და ვიბრაციის მართვის გეგმა;</p> <p>ნარჩენების მართვის გეგმა</p> <p>აზბესტის შემცველი ნარჩენების მართვის გეგმა (საჭიროების შემთხვევაში).</p> <p>საგანგებო რეაგირების გეგმა</p> <p>ბანაკის ადგილის მართვის გეგმა მოსაჭრელი ხეების ინვენტარიზაცია (საჭიროების შემთხვევაში)</p> | მენარდე | <p>ზედამხედველი კომპანია;</p> <p>MDF</p> |

|   |  |  |         |                                   |
|---|--|--|---------|-----------------------------------|
|   |  | ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების გამოყოფის სტაციონარული წყაროების შესახებ ტექნიკური ანგარიში (საჭიროების შემთხვევაში)   |         |                                   |
| ყველა საჭირო ნებართვის, ლიცენზიისა და დასტურის მიღება | გარემოს დაზიანება ბუნებრივი რესურსების არასანქცირებული გამოყენების, ნარჩენების განადგურების, დაბინძურების გამო | ინერტული მასალის მოპოვების ლიცენზიები<br><br>საქართველო გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ ნარჩენების მართვის გეგმის დამტკიცება<br><br>საქართველო გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროს აღრიცხვის ტექნიკური ანგარიშის დამტკიცება (საჭიროების შემთხვევაში)<br>შეთანხმება სამშენებლო ნარჩენების უახლოეს ნაგავსაყრელზე განთავსების შესახებ<br>სახიფათო ნარჩენების განკარგვის შეთანხმება<br>ხეების ინვენტარიზაციის ანგარიში და ხის მოჭრის ნებართვა, გაცემული ადგილობრივი ხელისუფლების ან საქართველო გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ წითელ ნუსხაში მყოფი სახეობების შემთხვევაში (საჭიროების შემთხვევაში) | მენარდე | ზედამხედველი კომპანია;<br><br>MDF |

|   |   |  |         |                                   |
|---|---|--|---------|-----------------------------------|
| დაცვის პერსონალის დანიშვნა და საჭირო ტრენინგების ჩატარება                       | შეუსაბამობა გარემოს დაცვასთან, სოციალურ საკითხებთან და ჯანდაცვისა და უსაფრთხოების სფეროსთან | სრულ განაკვეთზე -დასაქმებული გარემოს დაცვის, ჯანდაცვისა და უსაფრთხოების (EHS) ოფიცერი; ტრენინგების ჩატარება IEE-ს დადგენილების თანახმად          | მენარდე | ზედამხედველი კომპანია;<br><br>MDF |
| ადგილობრივი მოსახლეობისთვის სამოქალაქო სამუშაოების დაწყების შესახებ შეტყობინება | ადგილობრივ მაცხოვრებლებთან შესაძლო კონფლიქტები  | პროექტის შესახებ საინფორმაციო ბანერის მოწყობა და საკონტაქტო პირების მითითება; ინფორმაციის გავრცელება მომავალი სამუშაოების ხანგრძლივობის შესახებ. | მენარდე | ზედამხედველი კომპანია;<br><br>MDF |

**შენიშვნა**

| სამუშაოების ტიპი  | პოტენციური უარყოფითი ზეგავლენა  | ზეგავლენის შესამცირებელი ღონისძიებები   | პასუხისმგებელი პირი | ზედამხედველობა         |
|---|---|---|---------------------|------------------------|
| მოსამზადებელი სამუშაოები:<br>დროებითი ინფრასტრუქტურის, სატრანსპორტო და სამშენებლო | მავნე ნივთიერებების ემისიები<br>ატმოსფერულ ჰაერში, ხმაურის გავრცელება | 1. ბეტონის დანაყოფის აღჭურვა ჰაერის გაწმენდის შესაბამისი სისტემებით.<br>2. საჭიროების შემთხვევაში ხმაურისგან დამცავი ბარიერების შექმნა ხმაურის წყაროებსა და ხმაურს დაქვემდებარებულ ობიექტებს (მოსახლეობას) შორის. | სამშენებლო მენარდე  | ზედამხედველი კომპანია; |

| სამუშაოების ტიპი  | პოტენციური უარყოფითი ზეგავლენა                   | ზეგავლენის შესამცირებელი ღონისძიებები   | პასუხისმგებელი პირი | ზედამხედველობა |
|---|--|---|---------------------|----------------|
| ტექნიკისა და აღჭურვილობისა და მშენებლობისთვის საჭირო მექანიზმების თავმოყრა. | ზედაპირული და გრუნტის წყლების დაბინძურების რისკი | <ol style="list-style-type: none"> <li>1. უნაკლო სამშენებლო ტექნიკისა და ავტომობილების გამოყენება;</li> <li>2. დანადგარები/აღჭურვილობა და პოტენციურად დამაბინძურებელი მასალები ზედაპირის წყლის ობიექტებიდან შორს განლაგდება, ატმოსფერული ნალექისგან დაცულ არეში.</li> <li>3. ტერიტორიის კანალიზაციის, სანიაღვრე წყლებისა და გამწმენდი სისტემებით აღჭურვა მშენებლობის საწყის ეტაპებზე.</li> <li>3. ნავთობპროდუქტების მომარაგების ავზების პერიმეტრის მეზღუდვა ავარიული დაღვრის შემთხვევაში და დამაბინძურებელი ნივთიერებების გავრცელების თავიდან ასაცილებლად.</li> <li>4. დაუშვებელია გაუწმენდავი ჩამდინარე წყლის მდინარეში გაშვება.</li> <li>5. წყალგაუმტარი ფენების მოწყობა შესაბამისი ადგილების ზედაპირებზე.</li> </ol> |                     | MDF            |
|   | ნეგატიური ეკოლოგიური ლანდშაფტის ცვლილება         | <ol style="list-style-type: none"> <li>1. დროებითი სტრუქტურები, მასალები და ნარჩენები განთავსდება შორეულ ადგილებში, რათა ისინი არ ჩანდეს.</li> <li>2. დროებითი სტრუქტურების ფერი და დიზაინი შეირჩევა გარემოს შესაბამისად.</li> <li>3. სამუშაოების დასრულების შემდეგ დროებითი ინფრასტრუქტურის დაშლა და რეკულტივაციის სამუშაოები.</li> </ol>  |                     |                |

| სამუშაოების ტიპი   | პოტენციური უარყოფითი ზეგავლენა                            | ზეგავლენის შესამცირებელი ღონისძიებები   | პასუხისმგებელი პირი | ზედამხედველობა                    |
|--|---|---|---------------------|-----------------------------------|
|  | ადგილობრივი მოსახლეობისა და პერსონალის უსაფრთხოების რისკი | <ol style="list-style-type: none"> <li>1. უნაკლო სამშენებლო ტექნიკისა და ავტომობილების გამოყენება;</li> <li>2. ზანაკის შემოღობვა მშენებლობის დაწყებით სტადიაზე;</li> <li>3. ტერიტორიის პერიმეტრზე უსაფრთხოების ნიშნების განთავსება.</li> <li>4. ტერიტორიის პერიმეტრის კონტროლი და უცხო პირთა გადაადგილების კონტროლი.</li> <li>5. პირადი დამცავი აღჭურვილობა პერსონალისთვის</li> <li>6. ზანაკის აღჭურვა პირველადი დახმარების ნაკრებებით;</li> <li>7. ელექტრო უსაფრთხოების უზრუნველყოფა;</li> <li>8. ინციდენტების რეგისტრაციის ჟურნალის წარმოება;</li> <li>9. დაწყებით ეტაპებზე პერსონალის ტრენინგი.</li> </ol> | სამშენებლო მენარდე  | ზედამხედველი კომპანია;<br><br>MDF |
| მცენარეული საფარის მოცილება და მიწის სამუშაოების შესრულება. ნიადაგის ზედა ფენის მოცილება | მცენარეული საფარის მოჭრა                                  | <ol style="list-style-type: none"> <li>1. საჭირო ნებართვების მოპოვება</li> <li>2. სპეციალისტებისა და ავტორიზებული სააგენტოების მეთვალყურეობის ქვეშ ხეებისა და მცენარეების მოჭრა;</li> <li>3. რეკულტივაციისა და ლანდშაფტური სამუშაოები მოსალოდნელ ზეგავლენას ნაწილობრივ ანაზღაურებს.</li> <li>4. საპროექტო ტერიტორიის დაცვა, რათა მცენარეებს ჭარბი ზიანი არ მიადგეს.</li> </ol>  | სამშენებლო მენარდე  | ზედამხედველი კომპანია;<br><br>MDF |
|  | ხმაურის გავრცელება, მტვრისა და წვის                       | <ol style="list-style-type: none"> <li>1. უნაკლო სამშენებლო ტექნიკისა და ავტომობილების გამოყენება;</li> </ol>   | სამშენებლო          | ზედამხედველი                      |



| სამუშაოების ტიპი | პოტენციური უარყოფითი ზეგავლენა                        | ზეგავლენის შესამცირებელი ღონისძიებები  | პასუხისმგებელი პირი | ზედამხედველობა             |
|------------------|---|--|---------------------|----------------------------|
|                  | პროდუქტების გამოყოფა                                  | 2. ხმაურიანი სამუშაოების, შეძლებისდაგვარად, დღისით შესრულება<br>3. მანქანების მინიმალური სიჩქარით მართვა.  | მენარდე             | კომპანია; MDF              |
|                  | ვიბრაცია  | 1. თუ ვიბრაცია გარკვეული დროით გაგრძელდა (მაგრამ დასაშვებ ზღვარზე ნაკლებია), შემარბილებელი სამუშაოები უნდა განხორციელდეს რეგულარული კონსულტაციების და საინფორმაციო ბროშურების გავრცელების თვალსაზრისით   | სამშენებლო მენარდე  | ზედამხედველი კომპანია; MDF |
|                  | ნიადაგის ზედა ფენის დაკარგვა და ადგილების დეგრადაცია. | 1. ნიადაგის ზედა ფენის მოჭრა და მისი დაყრა ნიადაგის ქვედა ფენებისგან და სხვა მასალებისგან განცალკევებულად<br>2. ნიადაგის ზედა ფენის ეროზიის თავიდან არიდების მიზნით, ნაყარის სიმაღლემ არ უნდა გადააჭარბოს 2 მეტრს, ხოლო ნაყარის დაქანება არ უნდა აჭარბებდეს 45°-<br>3. ნიადაგის ზედა ფენის ნაყარის პერიმეტრის გასწვრივ წყალგამყვანი არხები მოეწყობა, ასევე ნაყარი დაცული იქნება ქარისაგან, რათა არ მოხდეს მისი მიმოზნევა;<br>4. ნიადაგის ზედა ფენის დიდი ხნით შენახვის შემთხვევაში უნდა უზრუნველყოფთ მისი ხარისხის შენარჩუნება იგულისხმება გაფხვიერება ან ბალახის დათესვა. | სამშენებლო მენარდე  | ზედამხედველი კომპანია; MDF |
|                  | ზედაპირული და გრუნტის წყლების დაბინძურების რისკი      | 1. უნაკლო სამშენებლო ტექნიკისა და ავტომობილების გამოყენება;  | სამშენებლო მენარდე  | ზედამხედველი კომპანია; MDF |

| სამუშაოების ტიპი | პოტენციური უარყოფითი ზეგავლენა   | ზეგავლენის შესამცირებელი ღონისძიებები  | პასუხისმგებელი პირი | ზედამხედველობა   |
|------------------|--|--|---------------------|--|
|                  |  | <p>2. ზეთის/საპოხის დაღვრის შემთხვევაში, მოხდება დანაღვარის უმოკლეს დროში გატანა/გაწმენდა.</p> <p>3. გრუნტის წყლების დაბინძურების რისკის შემცველი მოწყობილობები მუშაობის დროს ქვესადგამებით აღჭურვება;</p> <p>4. სასურველია, ავტომობილები კერძო ავტო სამრეცხაოებში გაირეცხოს;</p> <p>5. დროებითი წყალგამყვანი არხები;</p> <p>6. ორმოების დროულად ამოვსება.</p> |                     |  |
|                  | არქეოლოგიური ძეგლებისადმი შემთხვევით მიყენებული ზიანი                          | <p>1. რაიმე უცნაური ნივთის აღმოჩენის შემთხვევაში, სამუშაოების დაუყოვნებლად შეჩერება და ტექნიკური ზედამხედველის ან კლიენტის ინფორმირება;</p> <p>2. სამუშაოების განახლება მხოლოდ ტექნიკური ხელმძღვანელის ან კლიენტისგან ოფიციალური ინსტრუქციის მიღების შემდეგ.</p>   | სამშენებლო მენარდე  | <p>ზედამხედველი კომპანია; MDF</p> <p>ეროვნული სააგენტო, რომელიც კულტურულ გარემოს იცავს</p> |
|                  | პერსონალის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკები<br>COVID-საწინააღმდეგო ზომები | <p>1. თხრის დროს სათანადო სავენტილაციო სისტემის გამოყენება</p> <p>2. ბურღვისას შრომის უსაფრთხოების წესების დაცვა</p> <p>3. პირადი დამცავი აღჭურვილობა პერსონალისთვის</p>   | სამშენებლო მენარდე  |  |

| სამუშაოების ტიპი | პოტენციური უარყოფითი ზეგავლენა | ზეგავლენის შესამცირებელი ღონისძიებები  | პასუხისმგებელი პირი | ზედამხედველობა |
|------------------|--------------------------------|--|---------------------|----------------|
|                  |                                | <p>4. შეიმუშავეთ საგანგებო სიტუაციების სამოქმედო გეგმა, რომელშიც აღწერილი იქნება ზომები, რომლებიც უნდა იქნას მიღებული ვირუსის გავრცელების თავიდან ასაცილებლად, აგრეთვე ზომები, რომლებიც უნდა იქნას მიღებული ვირუსის ექვის შემთხვევაში.</p> <p>5. სამუშაო ადგილზე COVID-19 გავრცელების საწინააღმდეგო ზომების შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნება</p> <p>6. საჭიროების შემთხვევაში, მისაღები ოთახის / სასადილო ოთახის შესასვლელთან ბარიერები განათავსეთ;</p> <p>7. სამუშაო ადგილზე ხელის ჰიგიენის დაცვა და მუშების შესაბამისი ინფორმირება</p> <p>8. დახურული სათავსოების / შესანახი ოთახების განთავსება პერიოდულად, დღეში რამოდენიმეჯერ;</p> <p>9. რეგულარული ინტერვალებით, ხშირად გამოიყენეთ სამუშაო აღჭურვილობის, ინვენტარის, სამუშაო იარაღებისა და სამუშაო ადგილების დეზინფექცია;</p> <p>10. სამუშაო ადგილი ისე მოაწყვეთ, რომ თანამშრომლებს და / ან სამუშაო ადგილას მყოფ სხვა პირებს მუშაობის დროს არ შეეკმნათ დაბრკოლება (ობიექტის დროული</p> |                     |                |

| სამუშაოების ტიპი | პოტენციური უარყოფითი ზეგავლენა                           | ზეგავლენის შესამცირებელი ღონისძიებები  | პასუხისმგებელი პირი | ზედამხედველობა             |
|------------------|--|--|---------------------|----------------------------|
|                  |  | <p>გაწმენდა და სამშენებლო ნარჩენების დროული გატანა)</p> <p>11. ხელსახოცების ან სხვა ჰიგიენური ნარჩენების კონტეინერების განთავსება, თანამშრომლებისა და ვიზიტორებისთვის.</p>   |                     |                            |
| ტრანსპორტირება   | ხმაურის გავრცელება, მტვრისა და წვის პროდუქტების გამოყოფა | <ol style="list-style-type: none"> <li>1. უნაკლო სამშენებლო ტექნიკისა და ავტომობილების გამოყენება;</li> <li>2. საგზაო მოძრაობის სიჩქარის შეზღუდვა;</li> <li>3. საზოგადოებრივი გზების გამოყენების მაქსიმალურად შეზღუდვა და ალტერნატიული გზების ძებნა;</li> <li>4. მშრალ ამინდში სამუშაო ადგილის მორწყვა</li> <li>5. მტვრიანი მასალის გადაზიდვისას სატვირთო ავტომობილის სათანადო გადაფარვა</li> <li>6. მოსახლეობის გაფრთხილება სატვირთო ავტომობილების მოძრაობის შესახებ</li> </ol> | სამშენებლო მენარდე  | ზედამხედველი კომპანია; MDF |
|                  | ადგილობრივი გზების ზედაპირის დაზიანება                   | <ol style="list-style-type: none"> <li>1. საზოგადოებრივ გზებზე მძიმე ტექნიკის გადაადგილების მაქსიმალური შეზღუდვა;</li> <li>2. მაქსიმალურად აღდგეს გზის დაზიანებული მონაკვეთები, რათა საზოგადოებამ შეძლოს გზებით სარგებლობა;</li> </ol>   | სამშენებლო მენარდე  | ზედამხედველი კომპანია; MDF |
|                  | გადატვირთული სატრანსპორტო ნაკადები,                      | <ol style="list-style-type: none"> <li>1. სამუშაოების ადგილის ოპტიმალური შემოვლითი გზის შერჩევა</li> <li>2. აუცილებელი ადგილებში საგზაო ნიშნებისა და ბარიერების დაყენება საზოგადოებრივ</li> </ol>  | სამშენებლო მენარდე  | ზედამხედველი კომპანია; MDF |

| სამუშაოების ტიპი      | პოტენციური უარყოფითი ზეგავლენა                            | ზეგავლენის შესამცირებელი ღონისძიებები   | პასუხისმგებელი პირი | ზედამხედველობა             |
|-----------------------|---|---|---------------------|----------------------------|
|                       | შეზღუდული მოძრაობა  | გზებზე მძიმე ტექნიკის გადაადგილების მაქსიმალური შეზღუდვა;<br>3. ინტენსიური საგზაო მოძრაობის შემთხვევაში მარეგულირებლის დაყენება;<br>4. დროებით შემოვლითი გზების მოწყობა;<br>5. მოსახლეობის ინფორმირება ტრანსპორტის ინტენსიური მუშაობის დროის და პერიოდის შესახებ.   |                     |                            |
|                       | ადგილობრივი მოსახლეობისა და პერსონალის უსაფრთხოების რისკი | 1. უნაკლო სამშენებლო ტექნიკისა და ავტომობილების გამოყენება;<br>2. ავტომობილების დასაშვები სიჩქარით მართვა.<br>3. გზაჯვარედინებზე მოძრაობის მინიმუმამდე შემცირება;<br>4. დღესასწაულებზე საგზაო მოძრაობის შეზღუდვა  | სამშენებლო მენარდე  | ზედამხედველი კომპანია; MDF |
| სამშენებლო სამუშაოები | ჰაერის დაბინძურება;<br><br>ხმაური და ვიბრაცია             | 1. გამოიყენეთ წყლის მოსხურება ან დააყენეთ მტვრის ბარიერები;<br>2. დროულად გაიტანეთ ნაგავი და სამშენებლო ნარჩენები;<br>3. ნარჩენების დროებითი საყრელი ადგილი მოასხურეთ წყლით ან გადააფარეთ;<br><br>1. ხმაურის და ვიბრაციის მართვისა და მონიტორინგის გეგმების შემუშავება და განხორციელება; გეგმის შესაბამისად გაზომვის განხორციელება; შემარბილებელი | სამშენებლო მენარდე  | ზედამხედველი კომპანია; MDF |

| სამუშაოების ტიპი   | პოტენციური უარყოფითი ზეგავლენა             | ზეგავლენის შესამცირებელი ღონისძიებები   | პასუხისმგებელი პირი | ზედამხედველობა             |
|--------------------|--|---|---------------------|----------------------------|
|                    |  | <p>ზომების გამოყენება (საჭიროების შემთხვევაში);</p> <p>2. უნაკლო სამშენებლო ტექნიკისა და ავტომობილების გამოყენება;</p> <p>3. ხმაურიანი სამუშაოების დღისით შესრულება</p> <p>4. თუ ვიზრაცია გარკვეული დროით გაგრძელდა (მაგრამ დასაშვებ ზღვარზე ნაკლებია), შემარბილებელი სამუშაოები უნდა განხორციელდეს რეგულარული კონსულტაციების და საინფორმაციო ბროშურების გავრცელების თვალსაზრისით</p>   |                     |                            |
| ნარჩენების მართვა. | ნარჩენების მიმოფანტვა, გარემოს დაბინძურება | <p>1. შეასრულოს სამუშაოები ნარჩენების მართვის მიღებული გეგმის შესაბამისად;</p> <p>2. ნარჩენების მაქსიმალურად ხელახლა გამოყენება, ინერტული მასალების გამოყენება საგზაო საფარის მოსაწყობად.</p> <p>3. ნარჩენების დროებითი შენახვის ადგილების მოწყობა და შესაბამისი ნიშნებით აღჭურვა.</p> <p>4. ნარჩენების მართვის კვალიფიციური პერსონალის დანიშვნა.</p> <p>6. პერსონალის ინსტრუქტაჟი</p> <p>7. ადადგინოს და პირვანდელი (ან უკეთესი სახე) დაუბრუნოს დარღვეულ ადგილებს, რომელიც მათ</p> | სამშენებლო მენარდე  | ზედამხედველი კომპანია; MDF |

| სამუშაოების ტიპი | პოტენციური უარყოფითი ზეგავლენა | ზეგავლენის შესამცირებელი ღონისძიებები   | პასუხისმგებელი პირი | ზედამხედველობა |
|------------------|--------------------------------|---|---------------------|----------------|
|                  |                                | ჰქონდათ სამუშაოების დაწყებამდე. IA-ს დასტურის ცნობა, რომ სამუშაოები და დასუფთავება ჩატარდა დამაკმაყოფილებლად, რომელიც წარმოადგენს სამუშაოების მიღებს ნაწილსა და გადახდის პირობას. |                     |                |

**სამუშაო ეტაპი**

| სამუშაოების ტიპი | მოსალოდნელი უარყოფითი ზეგავლენა                     | ზეგავლენის შესამცირებელი ღონისძიებები  | პასუხისმგებელი პირი         |
|------------------|---|--|-----------------------------|
|                  | ნარჩენების მიმოფანტვა; ნავთობპროდუქტების მიმოფანტვა | 1. რეაბილიტირებული ინფრასტრუქტურის რეგულარული გაწმენდა-გასუფთავება;<br>2. წყლის არხებისა და მილების რეგულარული წმენდა და შეკეთება  | ფოთის მუნიციპალიტეტის მერია |
|                  | საგანგებო სიტუაციის რისკები                         | 1. ინფრასტრუქტურის ტექნიკური მდგომარეობის მუდმივი კონტროლი და შესაბამისი სარეაბილიტაციო ზომების განხორციელება ნებისმიერი დაზიანების შემდეგ.<br>1. მისასვლელი გზების შესაბამისი ნიშნებით აღჭურვა; | ფოთის მუნიციპალიტეტის მერია |

| სამუშაოების ტიპი                               | მოსალოდნელი უარყოფითი ზეგავლენა  | ზეგავლენის შესამცირებელი ღონისძიებები  | პასუხისმგებელი პირი             |
|--|--|--|---------------------------------|
| გემიური სარემონტო და პროფილაქტიკური სამუშაოები | შეკეთებისა და შეცვლის დროს დამაბინძურებელი ნივთიერებების (წყალის, ნიადაგი, დაბინძურება) გავრცელება | 1. იმისათვის, რომ თავიდან ავიცილოთ სარემონტო მასალების გაფლანგვა, შესაბამისი სამუშაოები მიზანშეწონილად უნდა დაიგეგმოს. | ფოთის მუნიციპალიტეტის მერია     |
| გრუნტის წყლის ამოღება                          | გარემოს დაზიანება ბუნებრივი რესურსების არასანქცირებული გამოყენების გამო                            | 1. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია პასუხისმგებელია გრუნტის წყლის ამოღების ლიცენზიის მიღებაზე                           | ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია |



## G გარემოს დაცვის მონიტორინგი გეგმა

339. როგორც IEE ანგარიშის წინა თავებშია აღნიშნული, სამუშაოების დროს არსებობს გარემოზე გარკვეული ზემოქმედების რისკები. უარყოფითი ეფექტისა და ღირებულების შემცირების ერთ-ერთი წინაპირობაა მკაცრი და კარგად დაგეგმილი საქმიანობის სწორად მართვა მკაცრი მეთვალყურეობის ქვეშ (გარემოს მონიტორინგი).
340. გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმა მოცემულია 23-ე ცხრილში, სადაც აღწერილია შეთავაზებული შემარბილებელი გეგმის ეფექტურობის მონიტორინგთან და IEE- ს რეკომენდაციების შესრულებასთან დაკავშირებული მოქმედებები და პასუხისმგებლობები.
341. მონიტორინგის მეთოდები მოიცავს ვიზუალურ დაკვირვებას და გაზომვებს (საჭიროების შემთხვევაში). მონიტორინგის პროგრამა აღწერს მონიტორინგის პარამეტრებს, მონიტორინგის დროსა და სიხშირეს, აგრეთვე მონიტორინგის მონაცემების შეგროვებას და ანალიზს. მონიტორინგის ზომა დამოკიდებულია მოსალოდნელი ზემოქმედების / რისკის მნიშვნელობაზე.
342. გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმა უნდა მოიცავდეს ისეთ საკითხებს, როგორცაა:
- გარემოს საბაზისო მაჩვენებლის შეფასება;
  - გარემოში ცვლილებების მიზეზების დადგენა და შედეგების შეფასება;
  - კორექტირების ზომების დადგენა, როდესაც სამიზნე მნიშვნელობები ვერ მიიღწევა;
  - რეგულარული ზედამხედველობა გარემოზე საქმიანობის ზემოქმედების ხარისხსა და დინამიკაზე;
  - ზემოქმედების ინტენსივობის სამართლებრივი მოთხოვნების დაცვა;
  - მნიშვნელოვან ეკოლოგიურ ასპექტებთან დაკავშირებული დადგენილი პარამეტრების კონტროლი;
  - საქმიანობის დროს ეკოლოგიურ ასპექტებთან ან საგანგებო სიტუაციებთან დაკავშირებული შესაძლო დარღვევების პრევენცია და დროული გამოვლენა.
343. გარემოზე დაკვირვების პროცესში რეგულარულ დაკვირვებას და შეფასებას ექვემდებარება შემდეგი:
- ატმოსფერული ჰაერი და ხმაური;
  - წყალი;
  - ნიადაგი;
  - შრომის პირობები და უსაფრთხოების სტანდარტების დაცვა და ა. შ.



ცხრილი 19: გარემოს დაცვის მონიტორინგი გეგმა

| რა?<br>(პარამეტრი<br>ექვემდებარება<br>მონიტორინგს) | სად?<br>(ექვემდებარება<br>პარამეტრი<br>მონიტორინგს)  | როგორ?<br>(უნდა განხორციელდეს<br>პარამეტრის მონიტორინგი)                   | როდის?<br>(მონიტორინგის სიხშირე და<br>ხანგრძლივობა)  | ვინ?<br>(არის მონიტორინგზე<br>პასუხისმგებელი)                                |
|--|--|--|--|--|
| მტვრის გავრცელება,<br>გამონაბოლქვი                 | 1. სამშენებლო ბანაკი<br>2. სამშენებლო მოედანი;<br>3. ტრანსპორტირების<br>გზები;<br>4. უახლოესი შენობები | ინსტრუმენტული<br>გაზომვები   | 1. მტვრის გავრცელების<br>შემოწმება - ინტენსიური<br>ოპერაციების და მანქანების<br>გადაადგილების დროს,<br>განსაკუთრებით მშრალ და<br>ქარიან ამინდში.<br>2. ტექნიკური<br>მდგომარეობის შემოწმება<br>სამუშაო დღის დაწყებისას;<br>3. ინსტრუმენტული<br>გაზომვები ჩივილის<br>შემთხვევაში | მენარდე EHS /გარემოს<br>დაცვის სპეციალისტი<br>ზედამხედველობის<br>კონსულტანტი |
| წყლის დაბინძურება                                  | წყალსატევები<br>პროექტის ადგილის<br>სიახლოვეში   | ვიზუალური დაკვირვება   | სამშენებლო მასალების<br>დაყრით გამოწვეული<br>მდინარის კალაპოტის<br>დაბინძურების შემოწმება  | მენარდე EHS/ გარემოს<br>დაცვის სპეციალისტი;<br>SC                            |
| ხმაურის გავრცელება                                 | უახლოესი<br>საცხოვრებელი სახლები<br>და ოფისები   | ინსტრუმენტული გაზომვები  | კვირაში ერთხელ<br>ჩივილის შემთხვევაში  | მენარდე EHS /გარემოს<br>დაცვის სპეციალისტი<br>ზედამხედველობის<br>კონსულტანტი |
| საგზაო მოძრაობა                                    | მასალებისა და<br>ნარჩენების<br>გადაზიდვის<br>გაწვერივ გეზის  | ვიზუალური დაკვირვება   | მუდმივი  | მენარდე EHS /გარემოს<br>დაცვის სპეციალისტი<br>ზედამხედველობის<br>კონსულტანტი |
| საინჟინრო-<br>გეოლოგიური<br>სტაბილურობა            | მგრძობიარე<br>არასტაბილური<br>ნაწილები   | 1. ვიზუალური დაკვირვება<br>2. ინჟინერ-გეოლოგის მიერ<br>პერიოდული შემოწმება | განსაკუთრებით, ნალექიანი<br>პერიოდების შემდეგ  | მენარდე EHS<br>სპეციალისტი<br>ზედამხედველობის<br>კონსულტანტი                 |

| რა?<br>(პარამეტრი<br>ექვემდებარება<br>მონიტორინგს) | სად?<br>(ექვემდებარება<br>პარამეტრი<br>მონიტორინგს)  | როგორ?<br>(უნდა განხორციელდეს<br>პარამეტრის მონიტორინგი)  | როდის?<br>(მონიტორინგის სიხშირე და<br>ხანგრძლივობა)  | ვინ?<br>(არის მონიტორინგზე<br>პასუხისმგებელი)                                |
|--|--|---|--|--|
| ნიადაგისა და მიწის<br>ხარისხი                      | 1. სამშენებლო<br>ბანაკების მიმდებარე<br>არეალი<br>2. სამშენებლო<br>მოედნები;<br>3. მასალებისა და<br>ნარჩენების შენახვის<br>ადგილები. | ვიზუალური დაკვირვება<br>1. ნავთობპროდუქტების<br>მნიშვნელოვანი დაღვრა არ<br>შეიმჩნევა<br>2. ლაბორატორიული<br>კონტროლი  | ვიზუალური დაკვირვება<br>სამუშაო დღის ბოლოს<br>ლაბორატორიული<br>შემოწმება - დიდი<br>ოდენობით დაღვრის<br>შემთხვევაში | მენარდე EHS /გარემოს<br>დაცვის სპეციალისტი<br>ზედამხედველობის<br>კონსულტანტი |
| ადებული მიწისა და<br>ნიადაგის დროებით<br>შენახვა   | 1. სამშენებლო<br>მოედნები;<br>2. მიწის შესანახი<br>ადგილები  | ვიზუალური დაკვირვება<br>1. ნიადაგის ქვედა ფენა და<br>მიწის ზედა ფენა ცალ-ცალკე<br>იყრება.<br>2. ნიადაგის ზედა ფენის<br>ნაყარის სიმაღლე არ<br>აჭარბებდეს 2 მეტრს.<br>3. ნაყარის დახრა არ უნდა<br>აჭარბებდეს 45°.<br>4. ნიადაგი მოთავსებულია<br>ზედაპირული წყლის<br>ობიექტებისგან შორს.<br>5. შენახვის ადგილების<br>პერიმეტრის გასწვრივ<br>წყალგამყვანი არხები ეწყობა;<br>6. ნიადაგი დროებით<br>ინახება ტექნიკურ<br>ხელმძღვანელთან წინასწარ<br>შეთანხმებულ ადგილებში. | ყოველ დღე, მიწის<br>სამუშაოების დასრულების<br>შემდეგ.  | მენარდე EHS /გარემოს<br>დაცვის სპეციალისტი<br>ზედამხედველობის<br>კონსულტანტი |
| მცენარეული საფარი                                  |  | ვიზუალური დაკვირვება  | ვიზუალური დაკვირვება<br>სამუშაო დღის ბოლოს   | მენარდე EHS /გარემოს<br>დაცვის სპეციალისტი                                   |

| <b>რა?</b><br>(პარამეტრი<br>ექვემდებარება<br>მონიტორინგს) | <b>სად?</b><br>(ექვემდებარება<br>პარამეტრი<br>მონიტორინგს)   | <b>როგორ?</b><br>(უნდა განხორციელდეს<br>პარამეტრის მონიტორინგი)   | <b>როდის?</b><br>(მონიტორინგის სიხშირე და<br>ხანგრძლივობა)  | <b>ვინ?</b><br>(არის მონიტორინგზე<br>პასუხისმგებელი)                         |
|---|--|---|---|--|
|   | 1. სამშენებლო<br>მოედნები;   | 1. სამუშაოები ტარდება<br>მონიშნული ზონის<br>საზღვრებში და არანაირი<br>დამატებითი ზიანი ან<br>მცენარეების უკანონო მოჭრა<br>არ ხდება.   |   | ზედამხედველობის<br>კონსულტანტი   |
| ნარჩენების მართვა.  | 1. სამშენებლო ბანაკები;<br>2. სამშენებლო<br>მოედნები;<br>3. ნარჩენების დროებით<br>შენახვის ადგილები; | ვიზუალური დაკვირვება<br>1. ნარჩენების დროებითი<br>განთავსების ადგილები<br>გამოყოფილია მშენებლობის<br>არეალში და აღინიშნება<br>სათანადო ნიშნით.<br>2. საშიში ნარჩენების<br>შენახვის ადგილები<br>დაცულია უცხოთა<br>შეღწევისგან და ამინდის<br>ზემოქმედებისგან;<br>3. ტერიტორიაზე, სათანადო<br>ადგილებზე,<br>განთავსებულია შესაბამისი<br>მონიშვნებით კონტეინერები<br>საშინაო ნარჩენების<br>შეგროვებისთვის.<br>4. ტერიტორიის<br>სანიტარული მდგომარეობა<br>დამაკმაყოფილებელია - არ<br>ჩანს მიმოხვეული ნარჩენები.<br>5. ნარჩენები დიდხანს არ<br>ინახება ტერიტორიაზე; | 1. ვიზუალური დაკვირვება<br>სამუშაო დღის ბოლოს;<br>2. დოკუმენტების შემოწმება<br>წარმოებული და<br>განკარგული ნარჩენების<br>რაოდენობის შესახებ | მენარდე EHS /გარემოს<br>დაცვის სპეციალისტი<br>ზედამხედველობის<br>კონსულტანტი |

| რა?<br>(პარამეტრი<br>ექვემდებარება<br>მონიტორინგს)  | სად?<br>(ექვემდებარება<br>პარამეტრი<br>მონიტორინგს) | როგორ?<br>(უნდა განხორციელდეს<br>პარამეტრის მონიტორინგი)   | როდის?<br>(მონიტორინგის სიხშირე და<br>ხანგრძლივობა)   | ვინ?<br>(არის მონიტორინგზე<br>პასუხისმგებელი)                                |
|---|---|--|---|--|
|   | 1. სამშენებლო<br>მენარდეს ოფისი                     | 1. ნარჩენების რეგისტრაციის<br>ჟურნალის შემოწმება,<br>2. ნარჩენების განკარგვის<br>დოკუმენტირებული<br>შეთანხმების შემოწმება  | 1. დოკუმენტები თვეში<br>ერთხელ მოწმდება   | მენარდე EHS /გარემოს<br>დაცვის სპეციალისტი<br>ზედამხედველობის<br>კონსულტანტი |
| ნავთობპროდუქტების<br>მართვა   | 1. სამშენებლო ბანაკები;<br>2. სასაწყობო მეურნეობა   | ვიზუალური დაკვირვება<br>1. ზეთების,<br>ნავთობპროდუქტებისა და<br>სხვა თხევადი პროდუქტების<br>დაცული ადგილები,<br>რომლებიც მონიშნულია<br>სათანადო წესით;   | 1. ვიზუალური დაკვირვება<br>სამუშაო დღის ბოლოს;<br>2. ნავთობპროდუქტების<br>ტიპისა და ოდენობის<br>დოკუმენტაციის შემოწმება | მენარდე EHS /გარემოს<br>დაცვის სპეციალისტი<br>ზედამხედველობის<br>კონსულტანტი |
| მისასვლელი გზების<br>ტექნიკური<br>მდგომარეობა,<br>თავისუფალი<br>გადაადგილების<br>შესაძლებლობა | 1. სატრანსპორტო<br>გზების კორიდორები                | ვიზუალური დაკვირვება<br>1. ავტომობილები წინასწარ<br>მითითებული გეზით<br>მომრაობენ და რაც შეიძლება<br>შორიდან უვლიან გვერდს<br>დასახლებულ ადგილებს,<br>2. საავტომობილო გზების<br>მდგომარეობა<br>დამაკმაყოფილებელია,<br>3. თავისუფალი მოძრაობა არ<br>იზღუდება,<br>4. გადაადგილების სიჩქარე<br>დაცულია, | 1. ინტენსიური<br>სატრანსპორტო ოპერაციების<br>დროს   | მენარდე EHS /გარემოს<br>დაცვის სპეციალისტი<br>ზედამხედველობის<br>კონსულტანტი |
| შრომის უსაფრთხოება  | 1. სამუშაო ადგილი                                   | ვიზუალური დაკვირვება<br>1. ტერიტორია<br>შემოღობილია და უცხო<br>პირთა შეღწევისგან<br>დაცულია,   | 1. ვიზუალური დაკვირვება<br>სამუშაოს დაწყებამდე;<br>2. ადგილზე ჩასატარებელი<br>ტრენინგებისა და<br>ჯანდაცვისა და          | მენარდე EHS<br>სპეციალისტი<br>ზედამხედველობის<br>კონსულტანტი                 |

| რა?<br>(პარამეტრი<br>ექვემდებარება<br>მონიტორინგს) | სად?<br>(ექვემდებარება<br>პარამეტრი<br>მონიტორინგს) | როგორ?<br>(უნდა განხორციელდეს<br>პარამეტრის მონიტორინგი)   | როდის?<br>(მონიტორინგის სიხშირე და<br>ხანგრძლივობა)             | ვინ?<br>(არის მონიტორინგზე<br>პასუხისმგებელი)       |
|--|---|--|---|---|
|  |   | <p>2. პერსონალს პირადი დაცვის აღჭურვილობა დაურიგდა</p> <p>3. სამუშაო აღჭურვილობისა და მექანიზმების ტექნიკური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია.</p> <p>4. დაცულია ელექტრო და სახანძრო უსაფრთხოების ნორმები.</p> <p>5. უსაფრთხოების, ამკრძალავი და ინფორმაციის ნიშნები დამონტაჟებულია ტერიტორიაზე და მისი პერიმეტრის გასწვრივ.</p> <p>6. ტერიტორიაზე განთავსებულია ბანერი, რომელზეც უსაფრთხოების ძირითადი წესებია მოცემული.</p> <p>7. ცალკე გამოყოფილია მოსაწვევი არე.</p> | უსაფრთხოების თემაზე ყოველდღიური სამუშაო შეხვედრების დოკუმენტები |   |
|  |   | <p>რიგგარეშე კონტროლი (ინსპექცია):</p> <p>1. პერსონალი იცავს უსაფრთხოების წესებს და პირადი დაცვის აღჭურვილობით სარგებლობს.</p>   | ინსპექციის რეგულარობა.  | მენარდე EHS სპეციალისტი ზედამხედველობის კონსულტანტი |





## **K. დასკვნები და რეკომენდაციები**

344. ჩატარებული IEE შედეგების საფუძველზე შეიძლება გაკეთდეს შემდეგი დასკვნები:
345. შემოთავაზებული პროექტი შეფასდა საქართველოს კანონმდებლობისა და ADB-ის დაცვის შესაბამისად. დოკუმენტის მომზადების ეტაპზე გამოიკვეთა გარემოზე შესაძლო ზემოქმედება და შემუშავდა შესაბამისი შემამსუბუქებელი ღონისძიებები.
346. მსოფლიოში ვირუსის გავრცელებისა (COVID 19) და სოციალური დისტანციის დაწესებიდან გამომდინარე, IEE-ს მომზადების ეტაპზე ადგილზე ვიზიტები ვერ განხორციელდა. ამრიგად, IEE მიზნის მისაღწევად, გუნდმა ჩატარა ონლაინ კონსულტაციები ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებთან შესაბამისი ინფორმაციის მისაღებად და ანალიტიკური კვლევა ჩატარა. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლებმა დაათვალიერეს პროექტის ადგილი, გადაიღეს არსებული ვითარების ამსახველი სურათები, რომლებიც მოცემულ იქნა დამატებითი ინფორმაციის სახით. კერძოდ, კონსულტანტთა ჯგუფმა განიხილა პროექტის ძირითადი დოკუმენტები, გაანალიზა შესაბამისი სამართლებრივი კანონები და ტექნიკური სტანდარტები; ჩატარა ონლაინ შეხვედრები იმ ადამიანებთან, მიღებულ დოკუმენტაციასთან დაკავშირებით დამატებით ინფორმაციას ფლობდნენ, რომელიც საჭიროა სიტუაციის საფუძვლიანი ანალიზისთვის და დოკუმენტის შემუშავებისთვის.
347. სამშენებლო სამუშაოების დროს ადგილობრივი მოსახლეობა დროებითი დისკომფორტს, რაც დაკავშირებული იქნება დემონტაჟის, სამშენებლო სამუშაოებთან და სამშენებლო მასალების და აღჭურვილობის ტრანსპორტირებასთან. სხვა შემთხვევებში, სოციალურ გარემოზე გავლენა პოზიტიური იქნება, რადგან მოსალოდნელია ადგილობრივი მოსახლეობის დროებითი დასაქმება;
348. საბავშვო ბაღის ფუნქციონირების დროს მოსალოდნელი არ არის უარყოფითი გავლენა ფიზიკურ გარემოსა და ბიოლოგიურ სისტემებზე;
349. საბავშვო ბაღის ფუნქციონირებისას სოციალურ სისტემაზე დადებითი გავლენას მოახდენს. პროექტი გრძელვადიან დადებით გავლენას მოახდენს სოფ. სუფსას მოსახლეობაზე, განსაკუთრებით ახალგაზრდებსა და მშობლებზე, რომლებიც საბავშვო ბაღის სიახლოვეში ცხოვრობენ, რადგან ისინი ისარგებლებენ მაღალი ხარისხის მომსახურებით.
350. სამშენებლო მენარდე ვალდებულია დადოს ხელშეკრულება ინერტული მასალების მოპოვების ლიცენზიის მფლობელ კომპანიებთან. თუ კომპანია გადაწყვეტს ინერტული მასალების მოპოვებას თავად და გახსნის კარიერს, იგი ვალდებულია ლიცენზია მიიღოს მადარობის ეროვნული სააგენტოსგან.
351. ნავაგასაყრელების ტექნიკური მახასიათებლები და შესაბამისი გადაწყვეტილება ჯერ არ მიღებულა. ამ ინფრასტრუქტურის დეტალური მახასიათებლები მოცემული იქნება კონკრეტული გარემოსდაცვითი მართვის გეგმებში.

## რეკომენდაციები

352. EMP, მასში მოცემული შემსუბუქების და მონიტორინგის პროგრამები, სატენდერო დოკუმენტაციაში შევა პროექტის ყველა კომპონენტისთვის. სატენდერო დოკუმენტაციის თანახმად, მენარდე პასუხისმგებელია EMP- ის მოთხოვნების შესრულებაზე საკუთარი შემუშავებული SSEMP- ს მეშვეობით, რომელშიც EMP- ის ყველა პირობა შევა; ასევე, დაამატებს კონკრეტულ ელემენტებს, რომლებიც ამჟამად არ არის ცნობილი, მაგალითად, მენარდეს სათადარიგო ნათხარის/კარიერის მდებარეობა. ეს უზრუნველყოფს, რომ ყველა პოტენციურ პრეტენდენტს ეცოდინება პროექტის გარემოსდაცვითი მოთხოვნები და მასთან დაკავშირებული გარემოსდაცვითი ხარჯები.
353. EMP და მისი ყველა მოთხოვნა დაემატება მენარდეს ხელშეკრულებას. ამგვარად, ხელშეკრულების შესაბამისად, EMP- ის განხორციელება კანონიერი მოთხოვნის სახეს მიიღებს. შემდეგ, მენარდე მოამზადებს SSEMP- ს, რომელსაც დაამტკიცებს და მონიტორინგს გაუწევს ინჟინერი. თუ ინჟინერმა შენიშნა SSEMP (და EMP) - სთან შეუსაბამობა, მენარდეს შეიძლება დაეკისროს პასუხისმგებლობას EMP- ის ხელშეკრულებითი ვალდებულებების დარღვევის გამო. SSEMP- სთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, მენარდემ უნდა დაიქირაოს გარემოსდაცვითი მენეჯერი, რომელიც პროექტის მონიტორინგსა და ანგარიშგებას განახორციელებს.
354. სამშენებლო მენარდეს მენეჯმენტი ჩაატარებს პერიოდულ ტრენინგებს და ტესტირებას პროექტის განხორციელების საქმიანობაში ჩართული პერსონალისთვის, გარემოს დაცვისა და სამუშაოების უსაფრთხოების წესების დაცვასთან დაკავშირებით.
355. პერსონალის მიერ უსაფრთხოების მოთხოვნებისა და ჰიგიენური ნორმების დაცვაზე მკაცრი კონტროლი განხორციელდება.
356. სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე მენარდე ჩაატარებს ხმაურისა და ვიბრაციის, ნიადაგისა და ჰაერის დაბინძურების, ფლორისა და ფაუნის სახეობების კვლევას არსებული საწყისი მდგომარეობის დასადგენად;
357. სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე სამშენებლო მენარდე ვალდებულია მოამზადოს შემდეგი გარემოსდაცვითი გეგმები: (i) სამშენებლო ობიექტზე გარემოს დაცვის გეგმა. (ii) ხმაურის და ვიბრაციის მართვის გეგმა; (iii) მოძრაობის მართვის გეგმა; (iv) ნარჩენების მართვის გეგმა; (iv) ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების მართვის გეგმა, (v) საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმა; (vi) ბანაკის ადგილის მართვის გეგმა. საჭიროების შემთხვევაში ჩატარდება ხეების ინვენტარიზაცია. ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების გამოყოფის სტაციონარული წყაროების შესახებ ტექნიკური ანგარიში (საჭიროების შემთხვევაში);
358. სამშენებლო მენარდემ უნდა განახორციელოს შემარბილებელი ზომები ხმაურისა და ჰაერში მოხვედრილი გამონაბოლქვის შემცირების მიზნით, ხმაურის ზემოქმედების

შემცირების მიზნით.

359. პროექტის სამუშაო ეტაპზე აუცილებელია ხმაურის დონისა და ჰაერის ხარისხის პერიოდული კონტროლი. თუ ხმაურისა და ჰაერის დაბინძურების დონე იზრდება დასაშვებ სტანდარტებთან მიმართებაში, საჭირო იქნება დამატებითი შემამსუბუქებელი ზომების შემუშავება და განხორციელება. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია პასუხისმგებელია გრუნტის წყლის ამოღების ლიცენზიის მიღებაზე.

3 დანართ 1. ზეგავლენის შეფასები კრიტერიუმები<sup>3</sup>

ცხრილი 22: ხმაურისა და ვიბრაციის გავრცელება - ზეგავლენის შეფასები კრიტერიუმები

| ზეგავლენის სახე           | შეფასების კრიტერიუმები   |   |   |
|---------------------------|--|---|---|
|                           | მნიშვნელოვანი (მაღალი) ზეგავლენა   | საშუალო ზეგავლენა   | უმნიშვნელო (დაბალი) ზეგავლენა   |
| <u>ხმაურის გავრცელება</u> | დასახლებული პუნქტის საზღვარზე ხმაურის დონე აღემატება 55 dbA დღისით და 45 dbA ღამით, ან აღემატება 50 dbA დღისით და 40dbA ღამით, მგრძნობიარე ობიექტების შემთხვევაში. ჭარბი ხმაურის დონე ინტენსიურია. მოსახლეობა უკმაყოფილო იქნება. | დასახლებული პუნქტის საზღვარზე ხმაურის დონე აღემატება 55 dbA დღისით და 45 dbA ღამით; თუმცა, ზეგავლენა მხოლოდ ცალკეულ შემთხვევებში იქნება ან დროებით ხასიათს ატარებს. დასაშვებია ხმაურის დონე მგრძნობიარე ობიექტებზე; თუმცა, რეკომენდებულია დამატებითი პროფილაქტიკური ზომები. | ხმაურის ფონზე დონე ცოტათი გაუარესდა დასახლებული ადგილების ან მგრძნობიარე ობიექტების მახლობლად. ნებისმიერ შემთხვევაში, დასაშვებზე მაღალი დონეები არ არის მოსალოდნელი. საკმარისია სტანდარტული შემარბილებელი ზომების მიღება. |
| <u>ვიბრაცია</u>           | მძიმე ტექნიკისა და სხვა მეთოდების გამო, ვიბრაცია ვრცელდება დიდ მანძილებზე. არსებობს შენობების, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაზიანების ან განადგურების ალბათობა ან გეოლოგიური სტაბილურობის დარღვევა.                         | ვიბრაცია შორ მანძილზე არ ვრცელდება ან მისი ზეგავლენა ხანმოკლეა. შენობების, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაზიანების ან გეოლოგიური სტაბილურობის დარღვევის ალბათობა ძალიან მცირეა. მოსალოდნელი პერიოდული ხასიათის მცირე დისკომფორტი.                                       | ვიბრაცია მხოლოდ სამუშაოების ზონაში ვრცელდება. შენობების, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაზიანება ან გეოლოგიური სტაბილურობის დარღვევა არ არის მოსალოდნელი. დამატებით შემარბილებელი ზომების საჭიროება არ იკვეთება.       |

<sup>3</sup> დანართ1-ში მოცემულ ცხრილებში გარემოსდაცვითი შეფასების კრიტერიუმებია წარმოდგენილი, რაც შეფასების მეთოდოლოგიის ნაწილს წარმოადგენს, რომლის მეშვეობითაც წარმოდგენილ პროექტს შემთხვევაში პოტენციური ზემოქმედებები და რისკები ფასდება.

| ზეგავლენის სახე   | შეფასების კრიტერიუმები   |  |   |
|---|--|--|---|
|   | მნიშვნელოვანი (მაღალი) ზეგავლენა   | საშუალო ზეგავლენა  | უმნიშვნელო (დაბალი) ზეგავლენა   |
| <u>სამუშაო ადგილის მდგომარეობა (ხმაური და ვიბრაცია)</u> | მუშაობა შეუძლებელია. ნაკლებად ეფექტურია ყურსაცობების ან სხვა დამცავი აღჭურვილობის გამოყენება. აუცილებელია მომსახურე პერსონალის ხშირი ცვლა. | ხმაური და ვიბრაცია სამუშაო არეალში შემაწუხებელია, მაგრამ მუშაობა შესაძლებელია შესაბამისი დამცავი აღჭურვილობის გამოყენების ან სხვა ზომების მიღების შემთხვევაში (მაგ. სამუშაო საათების შემცირება და სხვა). | სამუშაო არეში ხმაური და ვიბრაციის დონე დაბალია. არ არსებობს პირადი დამცავი აღჭურვილობის საჭიროება ან მისი გამოყენება მხოლოდ მცირე პერიოდით არის შესაძლებელი. დაშვებულია 8 საათიანი სამუშაო დღე. |

**ცხრილი 23: წყალზე მოსალოდნელი ზეგავლენის შეფასების**

| ზეგავლენის სახე  | შეფასების კრიტერიუმები   |  |   |
|--|--|--|---|
|  | მნიშვნელოვანი (მაღალი) ზეგავლენა   | საშუალო ზეგავლენა  | უმნიშვნელო (დაბალი) ზეგავლენა   |
| <u>ზედაპირული წყლების დინების შეცვლილი კოეფიციენტი</u> | პროექტის ზემოქმედების შედეგად მდინარის ბუნებრივი დინების მაჩვენებელი მკვეთრად შეიცვალა (ან წელიწადის მოცემული დროისთვის, ან დროებით); მწელია წყლის ეკოსისტემის ამჟამინდელი მდგომარეობის შენარჩუნება. სხვა წყალ მომხმარებელ | პროექტის ზემოქმედების შედეგად, მდინარის ბუნებრივი ნაკადის სიჩქარე შემცირდა 70% -მდე (ან წლისთვის, ან დროებით); ამასთან, წყლის ეკოსისტემა ძირითადად შენარჩუნებულია. სხვა წყალ მომხმარებელ ერთეულს წყალთან წვდომა უცვლელად აქვს. | პროექტის ზემოქმედების შედეგად, მდინარის ბუნებრივი ნაკადის სიჩქარე შემცირდა 70% -მდე (ან წლისთვის, ან დროებით). სხვა წყალ მომხმარებელ ერთეულს წყალთან წვდომა უცვლელად აქვს ან ერთეული სხვა მიზნებისთვის არ გამოიყენება. პროექტის ზეგავლენის გამო |

| ზეგავლენის სახე   | შეფასების კრიტერიუმები  |   |   |
|---|---|---|---|
|   | მნიშვნელოვანი (მაღალი) ზეგავლენა  | საშუალო ზეგავლენა   | უმნიშვნელო (დაბალი) ზეგავლენა   |
|   | <p>ერთეულს წყალთან შეზღუდული წვდომა აქვს.</p> <p>ან</p> <p>წყლის ნაკადის მომატების გამო საშიში ჰიდროლოგიური მოვლენების განვითარების რისკი გაიზარდა.</p>   | <p>ან</p> <p>პროექტის ზეგავლენის გამო მდინარის ბუნებრივი ნაკადის სიჩქარე 110% -ით გაიზარდა.</p> <p>საშიში - ჰიდროლოგიური მოვლენების განვითარების რისკების აღმოფხვრა შესაძლებელია შესაბამისი დამცავი ზომების გამოყენებით.</p>  | <p>მდინარის დინების სიჩქარე არ მოიმატებს.</p>   |
| <p><u>ზედაპირული წყლის ხარისხის გაუარესება, ჩამდინარე წყლების წარმოშობა</u></p> | <p>სათევზაო ან სასმელ-სამრეწველო წყლის ობიექტების განიცდიან ზეგავლენას.</p> <p>ან</p> <p>მოსალოდნელია მნიშვნელოვანი ოდენობის ჩამდინარე წყლები არსებობს დაბინძურებული წყლის ჭარბი ოდენობით გაშვება ან საგანგებო ვითარების ალბათობა მაღალია. წყალსატევის ახლო მდებარეობის გამო არსებობს მასში მყარი ნარჩენებისა და თხევადი მასების შეღწევის ალბათობა.</p> | <p>სამრეწველო-სამეურნეო წყალი განიცდის ზეგავლენას. წარმოიქმნება ჩამდინარე წყალი, თუმცა, შესაბამისი პრევენციული ზომების ხარჯზე (და ა. შ.) შესაძლებელია ზედაპირული წყლის ხარისხობრივი მდგომარეობის შენარჩუნება. არსებული ხარისხი შეიძლება მცირედით შეიცვალოს, რაც წყლის ბიომრავალფეროვნებაზე მცირე გავლენას მოახდენს</p> <p>ან</p> <p>საგანგებო ვითარების ალბათობა არ არის მაღალი. ასეთ შემთხვევაში, მანძილი იმდენად დიდია, რომ დაბინძურებული ნივთიერებების წყალში ჩადინების რისკები მინიმალურია.</p> | <p>წყლის ობიექტთან სიახლოვეში ზედაპირული წყლები არ არის. ამიტომ, ირიბი ზეგავლენის ალბათობა არ არის მაღალი. არ არის მოსალოდნელი ჩამდინარე წყლის წარმოშობა, ან მცირე რაოდენობით თხევადი ნაშთების მართვა შესაძლებელია წყლის გარემოსთვის უსაფრთხო მეთოდების გამოყენებით (მაგალითად, აორთქლებული ტბორით, თხევადი ნაშთების გადამუშავებით და ა. შ.).</p> |

| ზეგავლენის სახე   | შეფასების კრიტერიუმები   |   |  |
|---|--|---|--|
|   | მნიშვნელოვანი (მაღალი) ზეგავლენა   | საშუალო ზეგავლენა   | უმნიშვნელო (დაბალი) ზეგავლენა  |
| <u>მიწისქვეშა წყლების დაბინძურება</u>   | საქმიანობა გულისხმობს მეთოდებს, რომლებიც მიწისქვეშა წყლების ჭარბი დაბინძურების რისკის ქმნიან (მაგ., დაბინძურებული ნივთიერებების შემცველი მასალების დამარხვა და ა.შ.); შემარბილებელი ღონისძიებები ნაკლებად ეფექტურია, ან საგანგებო სიტუაციების აღზატობას ზრდის დიდი რაოდენობით ნავთობპროდუქტების ან სხვა დამაბინძურებელი ნივთიერებების მიწის ფენებში შეღწევა. | საქმიანობა გულისხმობს მეთოდებს, რომლებიც მიწისქვეშა წყლების დაბინძურების რისკებს ქმნიან; ამასთან, შემარბილებელი ზომების გამოყენება ეფექტურია და მნიშვნელოვნად ამცირებს რისკებს, ან არსებობს საგანგებო შემთხვევების აღზატობა; ამასთან, ტარდება შესაბამისი პროფილაქტიკური ზომები.                     | მიწისქვეშა წყლის დაბინძურების რისკები დაკავშირებულია მხოლოდ გაუთვალისწინებელ შემთხვევებთან (ნავთობპროდუქტების მცირე გაჟონვა ტექნიკიდან ან მოწყობილობიდან და სხვა.). დიდი ოდენობით თხევადი დამაბინძურებელი ნივთიერებები არ ინახება, რაც ინციდენტების შემთხვევაში საფრთხეს შექმნიდა. |
| <u>ზემოქმედება მიწისქვეშა წყლების ნაკადის სიჩქარეზე, ნიადაგების ინფილტრაციის შეცვლილი თვისებები</u> | ღონისძიება ითვალისწინებს ღრმა საინჟინრო ობიექტების მოწყობას, რომლითაც შესაძლებელია მიწისქვეშა წყალგამტარ ინფრასტრუქტურის გადაკვეთა. შედეგად, მიწისქვეშა წყლების გადინება შეიძლება შემცირდეს, ან აქტივობა ითვალისწინებს მსხვილი მიწის ფართობების გამოყენებას / ტყეების მოჭრას, . რაც გააუარესებს ნიადაგის ინფილტრაციის თვისებებს. ამან                        | საქმიანობა არ ითვალისწინებს ღრმა საინჟინრო ობიექტების მოწყობას და გარდა ამისა, ტერიტორიაზე წყალგამტარი ჰორიზონტები არ ვრცელდება. ამის მიუხედავად, მიწის ფართობების დამუშავებამ ან მშენებლობის და ექსპლუატაციის მეთოდებმა შეიძლება გარკვეული გავლენა იქონიოს ნაკლებად ღირებული წყაროების გადინებაზე. | მცირე პროექტის არეალის სიმცირის, მშენებლობისა და ექსპლუატაციის მეთოდების და არსებული ჰიდროგეოლოგიური პირობების გათვალისწინებით, მიწისქვეშა წყლების ნაკადის სიჩქარეზე ზემოქმედება მცირე იქნება. სასმელ და სამრეწველო წყალზე ზემოქმედება არ არის მოსალოდნელი                         |

| ზეგავლენის სახე | შეფასების კრიტერიუმები   |                          |                                      |
|-----------------|--|--------------------------|--------------------------------------|
|                 | <i>მნიშვნელოვანი (მაღალი) ზეგავლენა</i>                          | <i>საშუალო ზეგავლენა</i> | <i>უმნიშვნელო (დაბალი) ზეგავლენა</i> |
|                 | შეიძლება შეამციროს მიწისქვეშა წყლის ატმოსფერული ნალექებით კვება. |                          |                                      |

ცხრილი 24: ნიადაგზე მოსალოდნელი ზეგავლენის შეფასების კრიტერიუმები

| ზეგავლენის სახე                                     | შეფასების კრიტერიუმები  |   |  |
|---|---|---|--|
|   | <i>მნიშვნელოვანი (მაღალი) ზეგავლენა</i>   | <i>საშუალო ზეგავლენა</i>  | <i>უმნიშვნელო (დაბალი) ზეგავლენა</i>   |
| <i>ნაყოფიერი ნიადაგის ფენის დაზიანება და ეროზია</i> | პროექტი ითვალისწინებს 12,5 ჰექტარზე მეტი ისეთი სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთის ან სხვა მიწის ნაკვეთების გამოყენებას, რომელთა ნაყოფიერებაც მაღალია, ან მშენებლობისა და ექსპლუატაციის დროს გამოყენებული მეთოდები ხელს უწყობს ნიადაგის ეროზიის პროცესების გააქტიურებას მნიშვნელოვან ტერიტორიებზე. | პროექტი ითვალისწინებს 12,5 ჰექტარზე ნაკლები ისეთი სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთის ან სხვა მიწის ნაკვეთების გამოყენებას, რომელთა ნაყოფიერებაც მაღალია ან მართვის არე 12,5 ჰა-ზე მეტია, მაგრამ ეს არ არის სასოფლო-სამეურნეო მიწები ან სხვაგვარად ფასეული ღირებულები, მიწები ან | პროექტი ითვალისწინებს 12,5 ჰექტარზე ნაკლები ისეთი არა სასოფლო-სამეურნეო მიწების ან სხვა მიწის ნაკვეთების გამოყენებას, რომელთა ნაყოფიერებაც ნაკლებ ღირებულაია. ნაყოფიერი ნიადაგის ფენასთან სწორ მოპყრობის პირობებში გავლენა მინიმალურია. გამოყენებული პერიმეტრის ფარგლებს გარეთ ეროზია მოსალოდნელი არ არის. |



| ზეგავლენის სახე                   | შეფასების კრიტერიუმები  |  |  |
|-----------------------------------|---|--|--|
|                                   | მნიშვნელოვანი (მაღალი) ზეგავლენა  | საშუალო ზეგავლენა  | უმნიშვნელო (დაბალი) ზეგავლენა  |
|                                   |   | მშენებლობისა და ექსპლუატაციის დროს გამოყენებული მეთოდები ხელს უწყობს ნიადაგის ეროზიის პროცესის გააქტიურებას ზოგიერთ რაიონში, მაგრამ მათი თავიდან აცილება შესაძლებელია შესაბამისი შერბილების ზომებით.   |  |
| <u>ნიადაგის/მიწის დაბინძურება</u> | მშენებლობისა და ექსპლუატაციის დროს გამოყენებული მეთოდების გამო, ნებისმიერი ტერიტორიის სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაყოფიერი ფენის დაბინძურების რისკი (ჭარბი MAC) საკმაოდ მაღალი ან პრაქტიკულად გარდაუვალია. ან საკმაოდ მაღალია ისეთი საგანგებო სიტუაციების განვითარების ალბათობა, რომლების შედეგადაც 100 მ2-ზე მეტი ფართობის ან 0,3 მ-ზე მეტი სიღრმის ნიადაგისა და მიწის დაბინძურება მოხდება. | მშენებლობისა და ექსპლუატაციის დროს გამოყენებული მეთოდების გამო, არსებობს მიწის ნაკლებად ღირებული ზედაპირული ფენის დაბინძურების რისკი (ჭარბი MAC) ან საკმაოდ მაღალია ისეთი საგანგებო სიტუაციების განვითარების ალბათობა, რომლების შედეგადაც 100 მ2-ზე ნაკლები ფართობის ან 0,3 მ-ზე ნაკლები სიღრმის ნიადაგისა და მიწის დაბინძურება მოხდება. | მოსალოდნელია მხოლოდ ნიადაგის / მიწის მცირე ადგილობრივი დაბინძურება, ძირითადად გაუთვალისწინებელ შემთხვევებში. შესაძლებელია დაბინძურებული ნიადაგის ადგილობრივი გაწმენდის ტექნოლოგიის გამოყენება. |

ცხრილი 25: გეოლოგიურ გარემოზე მოსალოდნელი ზეგავლენის შეფასების კრიტერიუმები

| ზეგავლენის სახე  | შეფასების კრიტერიუმები   |  |  |
|--|--|--|--|
|  | მნიშვნელოვანი (მაღალი) ზეგავლენა   | საშუალო ზეგავლენა  | უმნიშვნელო (დაბალი) ზეგავლენა  |
| <i>პროექტის ზემოქმედების შედეგად გეოლოგიური გარემოს სტაბილურობის დარღვევა, საშიში პროცესების გააქტიურება</i> | პროექტის განხორციელება დაგეგმილია (საინჟინრო გეოლოგიური თვალსაზრისით) III დონის სირთულის რელიეფზე. მიწის სამუშაოების დროს არსებობს ისეთი სახიფათო გეოდინამიკური პროცესების გააქტიურების ალბათობა, როგორცაა მეწყერი, კლდის ვარდნა, ღვარცოფი და ა. შ. ან ობიექტის ექსპლუატაციის ფაზაში არსებობს იგივე პროცესების გააქტიურების რისკები (ასეთ ობიექტად შეიძლება ჩაითვალოს ჰიდროტექნიკური ნაგებობები, მიწისქვეშა გადასასვლელი და ა.შ.). აუცილებელია კომპლექსური ნაგებობების დამცავი ობიექტების აშენება ან პროექტში შესწორებების შეტანა. | პროექტის განხორციელება დაგეგმილია (საინჟინრო გეოლოგიური თვალსაზრისით) II დონის სირთულის რელიეფზე. მიწის სამუშაოების დროს ან ექსპლუატაციის ეტაპზე საშიში გეოდინამიკური პროცესების გააქტიურების ალბათობა. ამასთან, მარტივი სტრუქტურის მქონე ობიექტების დამცავი ზომების გათვალისწინებით, მათი თავიდან აცილება შესაძლებელია. | პროექტის განხორციელება დაგეგმილია ხელსაყრელ რელიეფში. დამცავი სტრუქტურების აგება მნიშვნელოვან რესურსებს არ მოითხოვს. შესაძლებელია განვითარდეს მხოლოდ ადგილობრივი მცირე ეროზიული პროცესები. |
| <i>არსებული საინჟინრო-გეოლოგიური პირობების გავლენა საპროექტო ობიექტებზე</i>                                  | მიწის საინჟინრო-გეოლოგიური თვისებები ნიადაგის საინჟინრო-გეოლოგიური თვისებები არ არის ხელსაყრელი; კლდეზე  | მიწის საინჟინრო-გეოლოგიური თვისებები ობიექტის აგების საშუალებას იძლევა, თუმცა გარკვეული პირობების დაცვით. გარემოს (მიწისქვეშა და მიწისქვეშა  | ობიექტი არ წარმოადგენს რთულ სტრუქტურას. ტერიტორიის შემადგენელი მიწების საინჟინრო-გეოლოგიური თვისებები დამაკმაყოფილებელია.  |

| ზეგავლენის სახე | შეფასების კრიტერიუმები  |   |  |
|-----------------|---|---|--|
|                 | <i>მნიშვნელოვანი (მაღალი) ზეგავლენა</i>   | <i>საშუალო ზეგავლენა</i>  | <i>უმნიშვნელო (დაბალი) ზეგავლენა</i>   |
|                 | <p>ობიექტების აგება ღრმა სამირკვლევს საჭიროებს, ან</p> <p>ობიექტის სტაბილურობას საშიში გეოდინამიკური პროცესები ემუქრება.</p> <p>აუცილებელია კომპლექსური ნაგებობებისთვის დამცავი ობიექტების აშენება ან პროექტში შესწორებების შეტანა.</p> | <p>წყლების) აგრესიულობის ხარისხი რკინაბეტონის მიმართ დამაკმაყოფილებელია, ან</p> <p>სახიფათო გეო-დინამიური პროცესები გარკვეულ საფრთხეს უქმნის ობიექტის სტაბილურობას; ამასთან, რისკი შეიძლება აღმოიფხვრას მარტივი სტრუქტურის მქონე დამცავი ზომების გამოყენებით.</p> | <p>შესაბამისად, არ არის საჭირო არც ღრმა საფუძველი და არც მნიშვნელოვანი ზომები საინჟინრო ნაგებობების დასაცავად.</p> |

ცხრილი 25: ბიოლოგიური გარემოზე მოსალოდნელი ზეგავლენის შეფასების კრიტერიუმები

| ზეგავლენის სახე   | შეფასების კრიტერიუმები  |  |   |
|---|---|--|---|
|   | <i>მნიშვნელოვანი (მაღალი) ზეგავლენა</i>   | <i>საშუალო ზეგავლენა</i>   | <i>უმნიშვნელო (დაბალი) ზეგავლენა</i>  |
| <i>მცენარეული საფარის ზოგადი და რაოდენობრივი ცვლილებები</i>   | <p>პროექტის განხორციელება გამოიწვევს ენდემური ან წითელ ნუსხაში მყოფი სახეობების განადგურებას ან</p> <p>პროექტის განხორციელება გამოიწვევს 1 ჰექტარზე მეტი ტყის მასივის გამოყენებას ან</p> <p>არსებობს ინვაზიური ჯიშების გავრცელების რისკი</p>  | <p>პროექტის განხორციელების შემდეგ, ენდემურ ან წითელ ნუსხაში მყოფ სახეობებზე პირდაპირი ან ირიბი ზემოქმედების რისკები მინიმალურია ან</p> <p>პროექტის განხორციელება გამოიწვევს 1 ჰექტარზე ნაკლები ტყის მასივის გამოყენებას</p>  | <p>პროექტის განხორციელების შემდეგ, ენდემურ ან წითელ ნუსხაში მყოფ სახეობებზე პირდაპირი ან ირიბი ზემოქმედების რისკები არ არსებობს. მოსალოდნელია მხოლოდ ერთგვაროვანი დაბალი ღირებულების მცენარეული საფარის განადგურება. ინვაზიური ჯიშების გავრცელების რისკი არ არსებობს.</p> |
| <i>ცხოველთა საბინადრო გარემოს გაუარესება, დაკარგვა ან დანაწევრება ენდემური ჯიშის ან წითელ წიგნში შეტანილი ცხოველი</i> | <p>პროექტის განხორციელება გამოიწვევს ენდემური და წითელ ნუსხაში მყოფი ცხოველების სახეობების საბინადრო ტერიტორიის განადგურებას, შემცირებას ან დანაწევრებას ან</p> <p>შესაძლებელია გარკვეული სახეობების შემცირება ან გარკვეული პოპულაციის გაქრობა პროექტის განხორციელების არეალში ან</p> <p>ობიექტი არის წრფივი ობიექტი, რომელიც ქმნის ერთგვარ</p> | <p>პროექტის განხორციელების შემდეგ, ენდემურ ან წითელ ნუსხაში მყოფ სახეობებზე პირდაპირი ან ირიბი ზემოქმედების რისკები ნაკლებ სავარაუდოა. ისეთი ცოცხალი ორგანიზმების გავრცელების ფართობი, რომლებსაც არ აქვთ ხანგრძლივი მიგრაციის უნარი, შეიძლება შემცირდეს, ან</p> <p>პროექტის განხორციელების სფეროში მოსალოდნელია გარკვეული სახეობების რაოდენობრივი ცვლილებები, მაგრამ მათი განადგურება არ არის ნავარაუდელი.</p> | <p>პროექტის ტერიტორია ანთროპოგენული ზემოქმედების ქვეშ არის და არ წარმოადგენს ცხოველთა სახეობების თავშესაფარს. მაღალი ეკოლოგიური ვალდებულების მქონე არეალში მხოლოდ ადამიანის საქმიანობაზე ადაპტირებული ცხოველები ცხოვრობენ. ობიექტი ცხოველები მიგრაციას ხელს არ უშლის.</p> |

| ზეგავლენის სახე                                   | შეფასების კრიტერიუმები  |  |   |
|---|---|--|---|
|   | <i>მნიშვნელოვანი (მაღალი) ზეგავლენა</i>   | <i>საშუალო ზეგავლენა</i>   | <i>უმნიშვნელო (დაბალი) ზეგავლენა</i>  |
|   | ბარიერს ცხოველთა მიგრაციისთვის ან არსებობს ინვაზიური ჯიშების გავრცელების რისკი.   |  |   |
| <i>ფაუნას ჯიშებზე უშუალო ზეგავლენა</i>            | პროექტის განხორციელების გამო, წლის განმავლობაში ცხოველების დაღუპვის რამდენიმე შემთხვევა მოხდა (მათ შორის, ენდემური ან წითელ ნუსხაში მყოფი სახეობები), ან გაიზარდა ბრაკონიერობის ალბათობა. | პროექტის განხორციელების გამო, წლის განმავლობაში ცხოველების დაღუპვის რამდენიმე შემთხვევა მოხდა (ნაკლებ ფასეული სახეობები),                | ცხოველთა ჯიშების განადგურება ნაკლებ სავარაუდოა. ზეგავლენა მოკლე ვადიანია. ბრაკონიერობის მატების შესაძლებლობა მინიმალურია. |
| <i>დაცულ არეებზე პირდაპირი და ირიბი ზეგავლენა</i> | მცირე მანძილისა და შენობისა და ექსპლუატაციის ეტაპებზე გამოყენებული მეთოდების შედეგად, არსებობს გრძელვადიანი პირდაპირი ან არაპირდაპირი ზემოქმედების რისკები.                               | მშენებლობისა და ექსპლუატაციის მეთოდების გამო დაცულ ტერიტორიაზე ირიბი ზემოქმედების საფრთხე არსებობს, მაგრამ ზეგავლენა ხანგრძლივი არ არის. | დიდი მანძილის გამო, დაცულ არეზე ზეგავლენა ნაკლებ სავარაუდოა.  |

ცხრილი 26: ვიზუალურ ლანდშაფტზე მოსალოდნელი ზეგავლენის შეფასების კრიტერიუმები

| ზეგავლენის სახე             | შეფასების კრიტერიუმები  |   |   |
|-----------------------------|---|---|---|
|                             | მნიშვნელოვანი (მაღალი) ზეგავლენა  | საშუალო ზეგავლენა   | უმნიშვნელო (დაბალი) ზეგავლენა   |
| <i>ზეგავლენა ლანდშაფტზე</i> | პროექტის განხორციელება დაგეგმილია იშვიათი და მაღალი ფასეულობის ლანდშაფტებზე ან ლანდშაფტი და მისი კომპონენტები ხელშეუხებელია და ბუნებრიობის მაღალი დონით ხასიათდება. | პროექტის განხორციელება დაგეგმილია რეგიონულ და ადგილობრივ ლანდშაფტებზე ან ლანდშაფტი და მისი კომპონენტები, ცხოველების ბინადრობის შედეგად, გარკვეულ წილად შეცვლილია. მათი ბუნებრიობის დონე საშუალოა. | პროექტის განხორციელება დაგეგმილია დაბალი ფასეულობის მქონე ლანდშაფტზე, რომელიც შეიძლება ჩანაცვლდეს. ან ლანდშაფტი და მისი კომპონენტები, ადამიანის ეკონომიკური საქმიანობის გამო, საკმაოდ დაზიანებულია. |
| <i>ვიზუალური ცვლილებები</i> | პროექტის არე სხვადასხვა ადგილიდან კარგად ჩანს. ღონისძიებების განხორციელება ადგილობრივი მკვიდრებისა და ტურისტებისთვის შესამჩნევ ვიზუალურ ცვლილებას გამოიწვევს.       | პროექტი არე ზოგიერთი ადგილიდან ჩანს, რომელთაც ტურისტული ფასეულობა არ გააჩნია.   | პროექტის არე თითქმის უხილავია. მშენებლობა და ექსპლუატაცია ადგილობრივი მკვიდრებისა და ტურისტებისთვის მინიმალურად შესამჩნევ ცვლილებებს გამოიწვევს..   |

ცხრილი 27: სოციალურ გარემოზე მოსალოდნელი ზეგავლენის შეფასების კრიტერიუმები

| ზეგავლენის სახე                                   | შეფასების კრიტერიუმები                        |   |  |
|---|---|---|--|
|   | მნიშვნელოვანი (მაღალი) ზეგავლენა              | საშუალო ზეგავლენა                                   | უმნიშვნელო (დაბალი) ზეგავლენა            |
| <i>დადებით გავლენა</i>                            |   |   |  |
| <i>გაზრდილი საბიუჯეტო შემოსავლები</i>             | გაზრდილი ცენტრალურ საბიუჯეტო შემოსავლები      | <i>გაზრდილი საბიუჯეტო შემოსავლები</i>               | გაზრდილი ცენტრალურ საბიუჯეტო შემოსავლები |
| <i>დასაქმება და მოსახლეობის შემოსავლების ზრდა</i> | შესაძლებელია სამუშაო ძალის 70%-ით ადგილობრივი | შესაძლებელია 30-დან 100-მდე ადამიანის დასაქმება. ან | 10 ადამიანის დასაქმების შესაძლებლობა.    |

| ზეგავლენის სახე                                  | შეფასების კრიტერიუმები   |   |   |
|--|--|---|---|
|  | <i>მნიშვნელოვანი (მაღალი) ზეგავლენა</i>  | საშუალო ზეგავლენა   | <i>უმნიშვნელო (დაბალი) ზეგავლენა</i>  |
|  | <p>მოსახლეობისგან დაკომპლექტება ან შესაძლებელია სამუშაო ძალის 40%-ით ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო მხარის მოსახლეობისგან დაკომპლექტება ან შესაძლებელია სამუშაო ძალის 20%-ით ადგილობრივი მაღალ მთიანი რეგიონის მოსახლეობისგან დაკომპლექტება</p> | <p>შესაძლებელია 10-დან 30-მდე ადამიანის დასაქმება ადგილობრივი სოფლებიდან. ან სასოფლო-სამეურნეო მხარის მაცხოვრებელთა მაღალმთიანი სტატუსი დასაქმების შესაძლებლობები.</p>  |   |
| <u>სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება</u> | <p>საერთაშორისო, სახელმწიფო და რეგიონული გზების ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესება, ტრანსპორტის ინტენსივობის შემცირების დიდი ალბათობა.</p>  | <p>ზოგ სოფელში ან მაღალმთიან სოფლებში გზების ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესება და მარტივი ტრანსპორტირება.</p>   | <p>სოფლის გზებისა და ტრანსპორტის გამარტივებული რეაბილიტაცია</p>                                 |
| <u>სხვა სახის სოციალურ-ეკონომიკური სარგებელი</u> | <p>ქვეყნისთვის, რეგიონულ ან მუნიციპალურ დონეზე ან რამდენიმე მაღალმთიანი სოფლისთვის:<br/>1. ნარჩენების მართვის გაუმჯობესებული პირობები.<br/>2. წყალმომარაგებისა და წყლის დრენაჟის გაუმჯობესებული პირობები.</p>                                  | <p>რამდენიმე მაღალმთიანი სოფლისთვის:<br/>5. ნარჩენების მართვის გაუმჯობესებული პირობები.<br/>6. წყალმომარაგებისა და წყლის დრენაჟის გაუმჯობესებული პირობები.<br/>7. ელექტრო და ბუნებრივი აირით მომარაგების გაუმჯობესებული პირობები.</p> | <p>სხვადასხვა სახის სოციალურ-ეკონომიკურ სარგებელს მხოლოდ რამდენიმე ოჯახი (ნაკვეთი) მიიღებს.</p> |

| ზეგავლენის სახე  | შეფასების კრიტერიუმები   |  |   |
|--|--|--|---|
|  | <i>მნიშვნელოვანი (მაღალი) ზეგავლენა</i>  | საშუალო ზეგავლენა  | <i>უმნიშვნელო (დაბალი) ზეგავლენა</i>  |
|  | 3. ელექტრო და ბუნებრივი აირით მომარაგების გაუმჯობესებული პირობები.<br>4. სხვა სახის რესურსებზე წვდომის გაუმჯობესება.   | 8. სხვა სახის რესურსებზე წვდომის გაუმჯობესება.   |   |
| <b><i>უარყოფითი ზეგავლენა</i></b>                          |  |  |   |
| <i>გადასახლება, კერძო საკუთრების გამოყენების საჭიროება</i> | ფიზიკური გადასახლების ერთ ან რამდენიმე შემთხვევა.<br>ან<br>ეკონომიკური გადასახლების 10-ზე მეტი შემთხვევა.<br>ან<br>მაღალ მთაში ერთი ან რამდენიმე ეკონომიკური გადასახლების შემთხვევა.<br>სოფელი | ეკონომიკური გადასახლების 10-მდე შემთხვევა. კომპენსაციების გაცემის შემთხვევაში მოსახლეობის უკმაყოფილება არ არის მოსალოდნელი.                                  | ფიზიკური ან ეკონომიკური გადასახლება არ არის მოსალოდნელი. შესაძლოა საჭირო გახდეს კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების დროებითი გამოყენება, რისთვისა დაგეგმილია შესაბამისი საკომპენსაციო ზომები. |
| <i>სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის გაუარესება</i>             | საერთაშორისო, სახელმწიფო და რეგიონული გზების ტექნიკური მდგომარეობის გაუარესება, ტრანსპორტის ინტენსივობის მნიშვნელოვანი ზრდა.   | ზოგ სოფელში ან მაღალმთიან სოფლებში გზების ტექნიკური პირობები გაუარესება.<br>ან<br>საავტომობილო მოძრაობის მნიშვნელოვანი ზრდა;<br>აღნიშნული გავლენა დროებითია. | ადგილობრივი გზები არ გაუარესდება, სატრანსპორტო მოძრაობის ინტენსივობის მნიშვნელოვანი არ მოიმატებს.   |
| <i>სხვა სახის უარყოფით სოციალურ-ეკონომიკური ზეგავლენა</i>  | ქვეყნისთვის, რეგიონულ ან მუნიციპალურ დონეზე ან რამდენიმე მაღალმთიანი სოფლისთვის:   | რამდენიმე სოფლისთვის ან მაღალმთიანი სოფლებისთვის:  | რამდენიმე ოჯახისთვის 15. ნარჩენების მართვის პირობების გაუარესება და ნაგავსაყრელების გადატვირთვა.  |



| ზეგავლენის სახე | შეფასების კრიტერიუმები  |  |  |
|-----------------|---|--|--|
|                 | <i>მნიშვნელოვანი (მაღალი) ზეგავლენა</i>   | <i>საშუალო ზეგავლენა</i>   | <i>უმნიშვნელო (დაბალი) ზეგავლენა</i>   |
|                 | 9. ნარჩენების მართვის პირობების გაუარესება და ნაგავსაყრელების გადატვირთვა.<br>10. გაუარესებული წყალმომარაგება და წყლის სადრენაჟო სისტემა ან შესაბამისი სისტემების გადატვირთულობა<br>11. სხვა რესურსებისადმი შეზღუდული წვდომა. | 12. ნარჩენების მართვის პირობების გაუარესება და ნაგავსაყრელების გადატვირთვა.<br>13. გაუარესებული წყალმომარაგება და წყლის სადრენაჟო სისტემა ან შესაბამისი სისტემების გადატვირთულობა<br>14. სხვა რესურსებისადმი შეზღუდული წვდომა. | 16. გაუარესებული წყალმომარაგება და წყლის სადრენაჟო სისტემა ან შესაბამისი სისტემების გადატვირთულობა<br>17. სხვა რესურსებისადმი შეზღუდული წვდომა.<br>პრობლემა შეიძლება გადაწყდეს ალტერნატიული გზების მოძებნით. |

**ცხრილი 28: ისტორიულ-კულტურულ ძეგლებზე მოსალოდნელი ზეგავლენის შეფასების კრიტერიუმები**

| ზეგავლენის სახე  | შეფასების კრიტერიუმები  |   |   |
|--|---|---|---|
|  | <i>მნიშვნელოვანი (მაღალი) ზეგავლენა</i>   | <i>საშუალო ზეგავლენა</i>  | <i>უმნიშვნელო (დაბალი) ზეგავლენა</i>  |
| <i>ისტორიულ-კულტურული მონუმენტების დაზიანება</i>             | მცირე მანძილის და შენობისა და ექსპლუატაციის მეთოდების გამო არსებობს ალბათობა საერთაშორისო ან ადგილობრივი ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაზიანებისა. | მცირე მანძილის და მშენებლობისა და ექსპლუატაციის მეთოდების გამო არსებობს ალბათობა ადგილობრივი ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაზიანებისა. | მცირე მანძილის და მშენებლობისა და ექსპლუატაციის მეთოდების გამო ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაზიანების ალბათობა ნაკლებ სავარაუდოა. |
| <i>არქეოლოგიური ძეგლებისადმი შემთხვევით მიყენებული ზიანი</i> | საპროექტო ტერიტორიის ისტორიული მონიშვნის შემდეგ, არსებობს არქეოლოგიური ძეგლების გვიან იდენტიფიკაციის ალბათობა.  |   | არეალი საკმაოდ ანთროპოგენურია. ამიტომ, არქეოლოგიური მონუმენტების დადგენის ალბათობა ნაკლებია.  |



**დანართი 2. მონაწილე მხარეებთან შეხვედრის ოქმები**  
**სუფსას საბავშვო ბაღის მშენებლობა**  
**დაინტერესებულ მხარეებთან შეხვედრის ოქმები**

„ფოთში საბავშვო ბაღის მშენებლობის“ პროექტისათვის მომზადებული გარემოს დაცვითი და სოციალური დოკუმენტაციის (საწყისი გარემოს დაცვითი შემოწმება (სგდშ) და სოციალური კვლევის ანგარიში (სკა)) განხილვის მიზნით სუფსაში, 2020 წლის 3 ივლისს, 14:00 საათზე, ჩატარდა საჯარო საკონსულტაციო შეხვედრა სოციალურ ქსელში (ფეისბუკი), შეხვედრამდე, მერიის წარმომადგენლებსა და ადგილობრივ მაცხოვრებლებს დაგეგმილი ონლაინ შეხვედრის შესახებ კომუნიკაციის კონსულტანტმა - ირაკლი ჯაფარიძემ - ტელეფონის მეშვეობით შეატყობინა.

შეხვედრა მიზნად ისახავდა დაინტერესებული მხარეებისთვის ქვე-პროექტთან დაკავშირებულ დაგეგმილ ღონისძიებების გაცნობას, ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე მოსალოდნელ ნეგატიურ გავლენებზე საუბარს და მათი პრევენციის გზებსა და საშუალებებზე მსჯელობას.

შეხვედრას ესწრებოდნენ:

**ადგილობრივები** ნანული ჯიბლაძე, სოფო ჩხარტიშვილი

**ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის წარმომადგენელი:** ბახვა ღლონტი

**საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის წარმომადგენლები:**

გარემოს დაცვის სპეციალისტი - ნინიკო ისაკაძე

ADB განსახლების კონსულტანტი - დავით არსენაშვილი

ADB კომუნიკაციის სპეციალისტი - ირაკლი ჯაფარიძე

პროექტის მენეჯერი - ზურა ჩინჩალაძე

სუფსას საბავშვო ბაღის მშენებლობა ერთ-ერთი პროექტია, რომლის განხორციელებაც გათვალისწინებულია საცხოვრებელი ქალაქების საინვესტიციო პროგრამის ფარგლებში. პროექტის არეალი მდებარეობს სოფ. სუფსაში (საკადასტრო კოდი: 27.15.52.668).

შერჩეულ ტერიტორიზე არ არის შენობა-ნაგებობები და კერძო საკუთრება. ახალი შენობის მშენებლობის მიწის ნაკვეთის საერთო ფართობია 3,504 მ<sup>2</sup> და ახალი შენობის განაშენიანების ფართობია 980.52 მ<sup>2</sup>. პროექტი ითვალისწინებს საბავშვო ბაღის მოწყობას 4 ჯგუფისთვის - 100 ბავშვი სოფ. სუფსაში, საერთო ფართობით 1,612,9 მ<sup>2</sup>. საბავშვო ბაღის შენობა მოიცავს საძინებლების მოწყობას, სათამაშო ოთახებს, მოსასვენებელ ოთახებს, სასადილოს, შენახვის ოთახებს, დარბაზს, ადმინისტრაციულ ოთახებს, სარეცხის ოთახებს, სამზარეულოს, შემსუბუქებას, ევაკუაციის კიბეებს, ქვაბს. პროექტი ასევე ითვალისწინებს ბაღის, სკამების, ფარდულების, სათამაშო მოედნების, ნაგვის ურნების და წყლის

შადრევენების მოწყობას ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ გამოყოფილ დანარჩენ ტერიტორიაზე (3,504 მ 2).

პროექტი მოიცავს სოფ. სუფსას საბავშვო ბაღის მშენებლობას. სუფსა მდებარეობს დასავლეთ საქართველოში და საავტომობილო გზის გავლით თბილისიდან დაშორებულია 249 კმ-ით. მანძილი ფოთის ზღვის პორტამდე შეადგენს 22 კმ-ს (ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი). გამოყოფილი მიწის საკადასტრო კოდია 27.15.52.668; ტერიტორიის საერთო ფართობია 3,504 მ 2. განაშენიანების ფართობია 980.52 მ 2. პროექტი მოიცავს საბავშვო ბაღის მოწყობას 4 ჯგუფისთვის - 100 ბავშვი სოფ. სუფსაში. საბავშვო ბაღის შენობა მოიცავს საძინებლების მოწყობას, სათამაშო ოთახებს, მოსასვენებელ ოთახებს, სასადილოს, სათავსების შენობას, დარბაზს, ადმინისტრაციულ ოთახებს, სარეცხის ოთახებს, სამზარეულოს, შემსუბუქებას, ევაკუაციის კიბეებს, ქვაბს (საერთო ფართობი 1,612,9 მ 2). პროექტი ასევე ითვალისწინებს ბაღის, სკამების, ფარდულების, სათამაშო მოედნების, ნაგვის ურნების და წყლის შადრევენების მოწყობას ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ გამოყოფილ დანარჩენ ტერიტორიაზე (3,504.00 მ 2).

პროექტის ფარგლებში მოსალოდნელი არ არის მიწის შეძენა და იძულებითი განსახლება.

საპროექტო ტერიტორიას შემოეკლება დროებითი ღობე მშენებლობის პერიოდში და მუდმივი 2.2 მეტრის სიმაღლის ლითონის ღობე მშენებლობის დასრულების შემდეგ. პროექტის და მასთან დაკავშირებული სკრინინგის ფარგლებში არ არის გათვალისწინებული კომუნალური მომსახურებების გადაადგილების ღონისძიებები ანდა სარეაბილიტაციო მისასვლელი გზები.

პროექტის განხორციელება, სუფსას საცხოვრებელ პირობებს გააუმჯობესებს ხარისხიანი სკოლამდელი ინფრასტრუქტურისა და გაუმჯობესებული გარემოს წყალობით, რაც მოიცავს შემდეგს: ახალი სათამაშო მოედნები ბავშვების აქტიური მოტორიკის განვითარებისთვის, უსაფრთხო შენობა, აღჭურვილი სახანძრო სიგნალისა და უსაფრთხოების სისტემებით, სუფთა და განახლებული სანიტარული სისტემის გათვალისწინებით; ახალი ინფრასტრუქტურა (საპირფარეშოსა და სამზარეულოს ჩათვლით), საბავშვო ბაღის შენობის გაუმჯობესებული დაგეგმვა; გაზრდილი სივრცე თითო ბავშვზე და თითო მასწავლებელზე; ენერგოეფექტური საბავშვო ბაღის შენობები; საბავშვო ბაღში ბავშვებისა და მასწავლებლების სასწავლო და სამუშაო პირობების გაუმჯობესება; ბავშვებისათვის ინკლუზიური ხარისხიანი განათლების გაუმჯობესებული ხელმისაწვდომობა. პროექტის პოტენციური ბენეფიციარი იქნება დაახლოებით 200 ოჯახი წელიწადში, რომლებიც ბავშვების საბავშვო ბაღში მიყვანას შეძლებენ.

წელიწადში, პროექტის პოტენციური ბენეფიციარი იქნება დაახლოებით 200 ოჯახი სუფსიდან, რომლებსაც შეეძლებათ თავიანთი ბავშვების საბავშვო ბაღში მიყვანა.

შეხვედრა გახსნა კომუნიკაციის კონსულტანტმა ირაკლი ჯაფარიძემ, მოკლედ გააცნო შეხვედრის მიზანი და სიტყვა გადასცა შემდეგ მომხსენებელს - პროექტის მენეჯერს ზურაბ ჩინჩალაძეს. პროექტის მენეჯერმა შეხვედრის მონაწილეებს პროექტი და განსახორციელებელი სამუშაოების სპეციფიკა გააცნო; ასევე, დაწვრილებით ისაუბრა სუფსის საბავშვო ბაღის დანიშნულებაზე. შემდეგ, სიტყვით გამოვიდა განსახლების კონსულტანტი, ბ-ნ არსენაშვილი და ბ-ნი ჯაფარიძე. ბატონმა ბ-ნ არსენაშვილმა და ბ-მა ჯაფარიძემ წარმოადგინეს დეტალური ინფორმაცია გასატარებელ ღონისძიებებთან დაკავშირებით, კომპლექსური შემოწმების ანგარიშის სახით. ბ-მა არსენაშვილმა განმარტა, რომ კომპლექსური შემოწმების ანგარიში უსაფრთხოების სტანდარტების მაქსიმალურ დაცვას ითვალისწინებს. ბ-მა არსენაშვილმა დამსწრეებს აჩვენა ფოტოები, რომლებიც ასახავდა სამშენებლო მოედანზე მისასვლელ გზებს და იმას, თუ როგორ უნდა მოძრაობდეს სამშენებლო ტექნიკა მშენებლობის პროცესში. დავით არსენაშვილმა და ირაკლი ჯაფარიძემ შეხვედრის მონაწილეებს აცნობეს, რომ მშენებლობის დროს დამონტაჟდება სპეციალური ღობე. დავით არსენაშვილმა განმარტა, თუ როგორ და რა ფორმით მიიღებენ და განიხილავენ საჩივრებს ლანჩხუთის მერიასა და მგფ-ში.



შემდეგ სიტყვით გამოვიდა MDF- ის გარემოს დაცვის სპეციალისტი ნინიკო ისაკაძე. ნინიკო ისაკაძემ დამსწრეებს აცნობა პროექტისთვის მომზადებული IEE. მან მოკლედ განუმარტა საზოგადოებას ADB- სთვის გამოყენებული სოციალური და გარემოსდაცვითი სკრინინგის პროცედურები და წარმოდგინილი პროექტის მოთხოვნები. ასევე განიხილეს შემარბილებელი ღონისძიებები, რათა შემცირდეს პოტენციური უარყოფითი ზემოქმედება, რომელიც შეიძლება წარმოიშვას პროექტის განხორციელების პროცესში. ნ.ისაკაძემ აღნიშნა, რომ „საქართველოს გარემოზე ზემოქმედების კოდექსის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, პროექტი არ საჭიროებს რაიმე სახის ნებართვას და შეთანხმებას გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსგან. ნ. ისაკაძემ განიხილა IEE / EMP სტრუქტურა და შინაარსი და მოკლედ განიხილა საზოგადოებასთან ურთიერთობისა და შრომის მენეჯმენტის ღონისძიებები. მან აღნიშნა, რომ IEE / EMP წარმოადგენს სამშენებლო მენარდესთან დადებული ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს. მენარდე ვალდებულია ზედმიწევნით განახორციელოს IEE / EMP- ით განსაზღვრული ზომები სოციალური და ბუნებრივი გარემოს დასაცავად.



პრეზენტაციის დასრულების შემდეგ, აუდიტორიას მიეცა შესაძლებლობა, გამოეთქვა საკუთარი მოსაზრებები ანდა მონაწილეობა მიიღონ კითხვა-პასუხის სესიაში. მათ დასვეს შემდეგი კითხვები: დავით არსენაშვილმა, ზურაბ ჩინჩალაძემ,

ირაკლი ჯაფარიძემ, ნინიკო ისაკაძემ და თამაზ ჭითანავამ უპასუხეს ყველა დასმულ კითხვას.

| კითხვა                                 | პასუხი  |
|--|---|
| როდის დაიწყება სამშენებლო სამუშაოები?  | სამშენებლო სამუშაოების დაწყება იგეგმება სექტემბერში   |
| როდის დასრულდება პროექტი?              | სამშენებლო სამუშაოების დასრულება დაგეგმილია 2021 წელს |
| საბავშვო ბაღი კერძო იქნება, თუ საჯარო? | საჯარო  |

### შეხვედრის ფოტოები





**დანართი 3. სწრაფი გარემოსდაცვითი შეფასების (REA) ჩამონათვალი**

**ინსტრუქციები:**

**4** (i) პროექტის გუნდი ავსებს ამ სიას, რათა მხარი დაუჭიროს პროექტის გარემოს კლასიფიკაციას. იგი უნდა დაერთოს გარემოს კატეგორიზაციის ფორმას და წარედგინება გარემოს დაცვის სამმართველოს (RSES) დირექტორს დასადასტურებლად, RSES- ს და შესაბამისობის უფროსს დასამტკიცებლად.

(ii) ეს ჩამონათვალი ყურადღებას ამახვილებს გარემოს დაცვის საკითხებსა და პრობლემებზე. სოციალური ზომების ადეკვატურად გათვალისწინებისთვის, აგრეთვე იხილეთ ADB (ა) იძულებითი განსახლებისა და ადგილობრივი მოსახლეობის სია; (ბ) სიღარიბის დამღვეის სახელმძღვანელო; გ) პერსონალის კონსულტაციისა და მონაწილეობის სახელმძღვანელო ; და (დ) გენდერული სიები.

(iii) უპასუხეთ კითხვებს იმ ვარაუდით, რომ შემთხვევა არის „შემარბილებელი ზომების“ გარეშე. აღნიშნულის მიზანია პოტენციური ზეგავლენების დადგენა. „შენიშვნების“ სექციაში იმსჯელოთ სავარაუდო შემარბილებელ ზომებზე.

ქვეყნის/პროექტის სახელწოდება: **საქართველო: საზაფხუო ბაღის მშენებლობა ზაგვივის ოთხი უკუფისთვის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფ. სუფსაში**

სექტორის განყოფილება: **CWSS**

| შესარჩევი კითხვები   | დიახ | არა | შენიშვნები |
|--|------|-----|------------|
| ა. პროექტის ადგილმდებარეობა<br>პროექტის ადგილი შემდეგ არეებს ემოჯენტა და მათშია მოთავსებული: |      |     |            |
| ▪ კულტურული მემკვიდრეობის ტერიტორია  |      | X   |            |



| შესარჩევი კითხვები  | დია<br>ხ | არა      | შენიშვნები   |
|---|----------|----------|--|
| ▪ დაცული ტერიტორია  |          | <b>X</b> |  |
| ▪ დაჭაობებული ადგილი  |          | X        |  |
| ▪ მანგროს ტყეები  |          | X        |  |
| ▪ შესართავი   |          | X        |  |
| ▪ დაცული ტერიტორიის ბუფერული<br>ზონა                                    |          | <b>X</b> |  |
| ▪ ბიომრავალფეროვნების დაცვის<br>სპეციალური ტერიტორია                    |          | X        |  |
| ▪ მიწისქვეშა კომუნიკაციები  |          | <b>X</b> |  |
| ბ. პოტენციური ზეგავლენა გარემოზე<br><b>გამოიწვევს თუ არა პროექტი...</b> |          |          |  |
| ▪ ისტორიული / კულტურული ტერიტორიების<br>დარღვევას?                      |          | <b>X</b> | ისტორიული / კულტურული<br>ტერიტორიები არ დაირღვევა. საბავშვო<br>ბაღის მშენებლობა არ გამოიწვევს<br>ადგილმდებარეობის ლანდშაფტის<br>ცვლილებას. |
| ▪ ეკოლოგიის დარღვევა (მაგ., ფაქიზი ან დაცული<br>ტერიტორიები)?           |          | <b>X</b> | პროექტი არ დაარღვევს ფაქიზ ან<br>ეკოლოგიურად ფაქიზ ტერიტორიებს.  |

| შესარჩევი კითხვები   | დიახ     | არა      | შენიშვნები  |
|--|----------|----------|---|
| <p>▪ გავლენა სანიტარული და მყარი ნარჩენების განადგურების სისტემების მდგრადობაზე?</p>                           | <b>X</b> |          | <p>გათხრებისა და სამშენებლო სამუშაოების შედეგად ფუჭებადი მასალა და სამშენებლო ნარჩენები წარმოიქმნება. ნარჩენების მართვის გეგმა (საჭიროების შემთხვევაში) საქართველოში გარემოსდაცვითი კანონმდებლობის შესაბამისად (საქართველოს ნარჩენების მართვის კოდექსი) მომზადდება და დაწარმდება საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს დასადასტურებლად, თუ წარმოქმნილი ნარჩენების ოდენობა აღემატება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ზღვარს (1000 ტონაზე მეტი ინერტული ნარჩენები, 200 ტონაზე მეტი არასახიფათო ნარჩენები და 120 კგ-ზე მეტი სახიფათო ნარჩენები). ასევე, პროექტის განხორციელების პერიოდში გამოიყენება საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა.</p> |
| <p>▪ ადამიანების გადასვლა თუ იძულებითი განსახლება?</p>   |          | <b>X</b> | <p>პროექტის განხორციელების შედეგად განსახლება არ მოხდება. პროექტის ადგილი მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწაა.</p>   |
| <p>▪ არაპროპორციული გავლენა ღარიბებზე, ქალებსა და ბავშვებზე, მკვიდრი მოსახლეობა ან სხვა მოწყვლადი ჯგუფები?</p> |          | <b>X</b> | <p>ღარიბებზე, ქალებსა და ბავშვებზე, მკვიდრი მოსახლეობა, ან სხვა მოწყვლადი ჯგუფები არაპროპორციული გავლენა არ იქნება.</p>   |
| <p>▪ სატრანსპორტო მოძრაობის მატებით გამოწვეული რისკები, რასაც შესაძლოა სიცოცხლის მოსპობა მოჰყვეს?</p>          |          | <b>X</b> | <p>შეთავაზებული განაშენიანების განხორციელებისას ამგვარი რისკების არსებობას პროექტი არ ითვალისწინებს.</p>  |

| შესარჩევი კითხვები  | დიახ     | არა      | შენიშვნები  |
|---|----------|----------|---|
| <ul style="list-style-type: none"> <li>საგზაო მოძრაობის მატებით გამოწვეული ხმაურის დონე და ჰაერის დაბინძურება?</li> </ul>   |          | <b>X</b> | პროექტის განხორციელების დროს მძიმე ტექნიკისა და მომსახურე მანქანების მუშაობამ შეიძლება გამოიწვიოს ხმაურის დონის მკვეთრი, მოკლევადიანი და დროებითი მატება და ჰაერში მტვრის ნაწილაკების რაოდენობის ზრდა.  |
| <ul style="list-style-type: none"> <li>პროფესიული და საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და უსაფრთხოების რისკები?</li> </ul>  | <b>X</b> |          | საპროექტო ტერიტორია მდებარეობს სოფლის შუაგულში და მის გარშემო საცხოვრებელი სახლებია განთავსებული, შესაბამისად, ახალი ბაღის მშენებლობის პროცესში იარსებებს საზოგადოებრივ ჯანმრთელობასთან და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკები. გარემოს დაცვის მართვის გეგმის ანგარიშში წარმოდგენილია შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები, ან შესაძლებლობის შემთხვევაში, შემთხვევითობასთან დაკავშირებული რისკების აღმოფხვრის გზები. |
| <ul style="list-style-type: none"> <li>პროექტის მშენებლობისა და ექსპლუატაციის დროს ფიზიკური, ქიმიური, ბიოლოგიური და რადიაციული რისკები და მოწყვლადობა?</li> </ul> | <b>X</b> |          | პროექტის განხორციელების დროს ფიზიკური საფრთხეებით გამოწვეული შრომის ჯანდაცვისა და უსაფრთხოების რისკები და მოწყვლადობა უმნიშვნელოა. შრომის ჯანმრთელობა და უსაფრთხოება უმნიშვნელოვანესი საკითხია, განსაკუთრებით, სიმაღლეებზე, ელექტროგადამცემ ხაზებთან ან ქიმიკატებთან მუშაობის დროს. უსაფრთხოების შესაბამისი ზომები განისაზღვრება EMP- ში.   |
| <ul style="list-style-type: none"> <li>მშენებლობისას მგრძობიარე არეგში მტვრის წარმოქმნა?</li> </ul>   | <b>X</b> |          | ექსკავაციისა და მშენებლობის დროს მტვერი წარმოიქმნება. თუმცა, აღნიშნული პრობლემა მოკლევადიანია და სამშენებლო მოედნით შემოიფარგლება.  |

| შესარჩევი კითხვები  | დიახ     | არა      | შენიშვნები  |
|---|----------|----------|---|
| <p>▪ ნაყარის, ამოთხრილი მასებისა და ფუჭებადი მასალების განკარგვის მოთხოვნები?</p> |          | <b>X</b> | <p>მიწის სამუშაოების შედეგად ინერტული ნარჩენები წარმოიქმნება. საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, ინერტული ნარჩენების გამოყენება შეიძლება ამოსავსებად ან სამშენებლო მიზნებისთვის, სახელმწიფო ან მუნიციპალურ ორგანოებთან შეთანხმებით. ამოვსების ოპერაციებისათვის ინერტული ნარჩენების განთავსების ადგილს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მიერ განისაზღვრება. ნარჩენების მართვის გეგმა (საჭიროების შემთხვევაში) უნდა შემუშავდეს (მოთხოვნის შემთხვევაში) და დასამტკიცებლად გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს (გდსმს) წარედგინოს, თუ წარმოქმნილი ნარჩენების ოდენობა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ზღვარს გადააჭარბებს (1000 ტონაზე მეტი ინერტული ნარჩენები, 200 ტონაზე მეტი არასახიფათო ნარჩენები და 120 კგ-ზე მეტი სახიფათო ნარჩენები).</p> |
| <p>▪ ხმაური და ვიბრაცია აფეთქებებისა და სხვა სამუშაოების დროს?</p>                | <b>X</b> |          | <p>აფეთქება არ იქნება გამოყენებული, მაგრამ ხმაური და ვიბრაცია იქნება მოკლევადიანი ლოკალიზებული ზემოქმედება, რომელმაც შეიძლება გავლენა იქონიოს ადგილობრივი მოსახლეობაზე, რომელიც პროექტის ადგილთან ახლოს ცხოვრობს.</p> <p>სამშენებლო მენარდე ვალდებულია ჩაატაროს ხმაურისა და ვიბრაციის კვლევები და მოამზადოს შესაბამისი დოკუმენტები და შემარბილებელი ზომები. ხმაურისა და ვიბრაციის დონეზე დაკვირვება სამშენებლო სამუშაოების პროცესშიც მოხდება.</p>   |

| შესარჩევი კითხვები   | და<br>ბ | არა | შენიშვნები   |
|--|---------|-----|--|
| <p>▪ ზედაპირული წყლების ჰიდროლოგიის ან წყლის ნაკადებში ცვლილება, რაც ნაკადებში დანალექებს გამოიწვევს ნიადაგის ეროზიის შედეგად?</p>   |         | X   | <p>პროექტის ტერიტორიასთან მდებარე ზედაპირული წყლის უახლოესი ობიექტია მდინარე სუფსა, რომელიც მდებარეობს პროექტის ადგილის ჩრდილოეთით, დაახლოებით 168 მ.</p> <p>ზედაპირული წყლის დაბინძურება შეიძლება გამოიწვიოს უბედურმა შემთხვევებმა, არასწორად ჩატარებულმა სამუშაოებმა და წარმოქმნილი ნარჩენების არასწორმა მართვამ.</p> <p>პროექტის ტერიტორიაზე დაგეგმილი სამუშაოების შედეგად, მცირეა ზედაპირული წყლის დაბინძურების რისკი, თუმცა წყლის ობიექტებზე მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედების შემცირების მიზნით, შემარბილებელი ზომები უნდა აისახოს მენეჯმენტის გეგმებში და შესაბამისად განხორციელდეს.</p> |
| <p>▪ გრძელვადიანი ზემოქმედება მიწისქვეშა წყლის ნაკადებზე, მშენებლობის დაწყებამდე პროექტის ადგილის დრენაჟის განხორციელების გამო?</p>  |         | X   |  |
| <p>▪ გრძელვადიანი ზემოქმედება ადგილობრივ ჰიდროლოგიაზე მშენებლობის მახლობლად არსებული მყარი ზედაპირების შედეგად?</p>  |         | X   |  |
| <p>▪ პროექტის მშენებლობის დროს მოსახლეობის დიდი შემოდინება, რომელიც ზრდის სოციალურ ინფრასტრუქტურასა და მომსახურებებზე ზეწოლას (მაგალითად, წყალმომარაგებისა და სანიტარული სისტემები)?</p> |         | X   | <p>მშენებლობაზე დასაქმებული პერსონალი, სავარაუდოდ, ადგილობრივებისგან დაკომპლექტდება.</p>   |

| შესარჩევი კითხვები  | დიახ | არა      | შენიშვნები  |
|---|------|----------|---|
| <ul style="list-style-type: none"> <li>▪ მოხდება თუ არა სოციალური კონფლიქტები, თუ მუშები იქნებიან სხვა რეგიონებიდან ან უცხო ქვეყნებიდან?</li> </ul> |      | <b>X</b> | <p>კონფლიქტები შესაძლებელია, თუმცა ამის ალბათობა მცირეა, რადგან მუშების უმეტესობა ადგილობრივი მოსახლეობიდან იქნება. სწორი დაგეგმარება და მართვა ამგვარ პრობლემებს აგვარიდებს. პერსონალს ადგილობრივი კულტურული ნორმები განემარტება, რაც კიდევ უფრო შეამცირებს კონფლიქტების წარმოქმნის ალბათობას.</p> |
| <ul style="list-style-type: none"> <li>▪ ხანძრით, დენის დარტყმით, შენობების ჩამონგრევით გამოწვეული რისკები?</li> </ul>                              |      | X        | <p>შეთავაზებული განაშენიანების განხორციელებისას ამგვარი რისკების არსებობას პროექტი არ ითვალისწინებს.</p>  |
| <ul style="list-style-type: none"> <li>▪ ნარჩენების მართვისა და განკარგვისას წარმოქმნილი რისკები?</li> </ul>  |      | <b>X</b> | <p>EMP მოიცავს საშიში ნარჩენების და მასალების ტრანსპორტირების, შენახვის, გამოყენებისა და განადგურების კონტროლის ზომებს. პროექტის გავლენის არეალში მცხოვრები თემები მიიღებენ კონსულტაციას და ინფორმაციას საზოგადოების ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების რისკების შესახებ.</p>                            |

| შესარჩევი კითხვები  | დიახ | არა | შენიშვნები  |
|---|------|-----|---|
| <p>▪ საზოგადოების უსაფრთხოების რისკები, რომლებიც გამოწვეულია შემთხვევითი და ბუნებრივი საფრთხეებით, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც პროექტის სტრუქტურული ელემენტები ან კომპონენტები ხელმისაწვდომია საზოგადოების წევრებისთვის.</p> |      | X   | <p>მოსალოდნელი არ არის საზოგადოების უსაფრთხოების რისკები, რადგან პროექტის ფარგლებში გათვალისწინებულია სამშენებლო უბნის ღობე. გარდა ამისა, სამშენებლო მოედანზე აკრძალულია არასანქცირებული შესვლა.</p> <p>პროექტის გავლენის არეალში მცხოვრები თემები მიიღებენ კონსულტაციას და ინფორმაციას საზოგადოების ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების რისკების შესახებ. მიღებული იქნება საშიში მასალების შესაბამისი კონტროლი რისკების შემცირების მიზნით. პროექტის გავლენის არეალში მცხოვრები თემები მიიღებენ კონსულტაციას და მიიღებენ ინფორმაციას საზოგადოების ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების რისკების შესახებ. მიიღება საშიში მასალების კონტროლის ზომები რისკების შემცირების მიზნით.</p> |

კლიმატთან დაკავშირებული რისკების წინასწარი შემოწმების ნუსხა

ქვეყნის/პროექტის სახელწოდება:

სექტორი:

ქვე-სექტორი:

დანაყოფი/განყოფილება:

| შესარჩევი კითხვები                     |   | ქულები | შენიშვნები <sup>4</sup> |
|--|---|--------|-------------------------|
| <b>პროექტი და მისი ადგილმდებარეობა</b> | გავლენას ახდენს თუ არა კლიმატური პირობები (მათ შორის წყალდიდობა, გვალვა, შტორმი, მეწყერი) პროექტის (ან მისი კომპონენტების) განთავსებაზე და განლაგებაზე?   | 0      |                         |
|  | საჭიროა თუ არა პროექტის შემუშავებისას ჰიდრომეტეოროლოგიური პარამეტრების გათვალისწინება (მაგ., ზღვის დონე, მდინარის პიკური დინება, წყლის საიმედო დონე, ქარის პიკური სიჩქარე და ა. შ.)?  | 0      |                         |
| <b>მასალები და მომსახურება</b>         | ახდენს თუ არა გავლენას ამჟამინდელი ამინდი და სამომავლო კლიმატური პირობები (მაგ. არსებული ტენიანობის დონე, ტემპერატურის კონტრასტი ზაფხულისა და ზამთრის დღეებს შორის, ქარისა და ტენიანობის ზემოქმედება, ჰიდრომეტეოროლოგიური პარამეტრები) გავლენას პროექტის საწყის მონაცემებზე (მაგ., სამშენებლო მასალების შერჩევაზე)? | 0      |                         |
|  | ახდენს თუ არა არსებული ამინდი და მომავალში შესაძლო კლიმატი გავლენას პროექტის შედეგების შენარჩუნებაზე?   | 0      |                         |
| <b>პროექტის შედეგები</b>               | ახდენს თუ არა ამინდი და კლიმატური პირობები გავლენას პროექტის შედეგების შენარჩუნებაზე?   | 0      |                         |

პასუხების ვარიანტები და შესაბამისი ქულები მოცემულია ქვემოთ:

| პასუხი         | ქულები |
|----------------|--------|
| მცირე ალბათობა | 0      |
| სავარაუდოა     | 1      |

<sup>4</sup> თუ შესაძლებელია, დეტალური მიუთითეთ პროექტის კომპონენტების მგრძობიანების შესახებ კლიმატის პირობების მიმართ მაგალითად თურგორგანიხილება კლიმატის პარამეტრები ინფრასტრუქტურის კომპონენტების დონის სტანდარტებში? როგორ შეიძლება გავლენა მოახდინოს კლიმატის ძირითად პარამეტრებისა და ზღვის დონის ცვლილებებმა პროექტის განლაგებაზე / მარშრუტზე, ასევე სამშენებლო მასალის შერჩევაზე, და პროექტის შედეგების შენარჩუნებაზე / დგეგმვაზე.



|                 |   |
|-----------------|---|
| მაღალი ალბათობა | 2 |
|-----------------|---|

პასუხების შეკრების შედეგად თუ 0 ქულა მივიღეთ, ეს ნიშნავს, რომ პროექტის რისკი დაბალია. თუ ყველა პასუხის ქულების შეკრებით 1 - 4 ქულა მივიღეთ, ამასთან, არც ერთ პასუხს არ მიენიჭა 2 ქულა, ე. ი. პროექტის რისკი საშუალოა. თუ საერთო ქულა არის 5 ან მეტი (რაც ყველა პასუხში 1 ქულის მინიჭებას მოიცავს) ან რომელიმე პასუხს მიენიჭა 2 ქულა, პროექტის რისკის მაღალია.

საწყისი შემოწმების შედეგები (დაბალი, საშუალო, მაღალი: ~~დაბალი~~)

სხვა კომენტარები: -----